ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 3 ივნისი 2000 №104 (1126) | ფასი 50 თეთრი


# ლევან კობიაშვილი!

## ქართული სპორტული მედიის რჩეული

**სარბიელის** *ტრადიციული მერვე გამოკითხვის შედეგად საქართველოს 1999-2000 წლების საუკეთესო ფეხბურთელად გერმანული „ფრაიბურგის“ ნახევარმცველი დასახელდა.*

*„ტორპედოს“ თავდამსხმელი* ***ზურაბ იონანიძე*** *კი საქართველოს მეთერთმეტე ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.*


გამოკითხვის შედეგები
და ინტერვიუები ლაურეატებთან
იხილეთ მესამე-მეექვსე გვერდებზე





ეს-ესაა, ლევან კობიაშვილმა მიუნხენის „ბაიერნის“ კარში კარიერაში უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა

# ვაჟა ჟვანია: ან მე, ან მერაბ რატიანი!

*ერთი კვირის წინ ისინი თანამოაზრეები იყვნენ, ერთად აძლევდნენ ინტერვიუს „სარბიელს“ და „დინამოს“ გადარჩენის საერთო გეგმებზე საუბრობდნენ. პრეზიდენტი და გენერალური მდივანი, მერაბ რატიანი და ვაჟა ჟვანია, 26 მაისს ერთად იყვნენ, დღეს კი... „რატიანმა ზურგში დანა ჩამცა, შეურაცხყოფილი ვარ და ამას არ ვაპატიებ“ — ამბობს ვაჟა ჟვანია. რა ხდება? „დინამოში“ დიდი სკანდალია, სკანდალი რომელსაც შესაძლოა კლუბის ხელმძღვანელობაში გვარიანი ცვლილებები მოჰყვეს... ყველაფერი კი 26 მაისს დაიწყო... „მერაბ რატიანი: რა აზრი აქვს ინტერტოტოზე თამაშს, ჯერ ერთი, არც ისე პრესტიჟული ტურნირია, მეორე და მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ იქ მონაწილეობისთვის 50 ათასი შვეიცარიულ ფრანკს ავიღებთ, ეს თანხა კი გზის ხარჯებს — ჩასვლა-ჩამოსვლას და სტუმრების მიღებას ვერ აუვა. სამწუხაროდ, დღეს ამგვარად არ ვართ მოწყობილი“. „სარბიელი“ 27 მაისი. ასე ფიქრობდა რატიანი 26 მაისს, ამ აზრზე გახლდათ გენერალური მდივანიც. 31 მაისს, როცა სფფ-ში საინტერტოტოოდ „დინამოს“ თანხმობას ელოდნენ, ჟვანიამ ფაქსი გააგზავნა. მისი ახსნა-განმარტებით, კლუბს შეჭირვებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით არ შეეძლო ინტერტოტოზე თამაში. მოკლედ, ჟვანიას განცხადებით, „დინამო“ უარს ამბობდა ამ ორმხრივ წამგებიან ტურნირზე, მაგრამ... სფფ-მ უეფას მისწერა რომ საქართველოდან ინტერტოტოს გათამაშებაში „დინამო“ ითამაშებდა, ჰქონდა კიდეც საამისო მიზეზი — „დინამოს“ პრეზიდენტმა მერაბ რატიანმა ინტერტოტოზე თამაშზე ოფიციალური თანხმობა განაცხადა...*

— რატიანმა დანა ჩაგვცა ზურგში მეც და „დინამოსაც“. გარწმუნებთ, თანხმობის წერილი მან ჩემთან შეუთანხმებლად მისწერა სფფ-ს. არადა, სიგიჟეა ინტერტოტოზე თამაში. წარმოიდგინეთ, ამდენი ვალია გადასახდელი, იქ თამაშით კიდევ ვალს ვიდებთ. ისიც საკითხავია რა იმედით უნდა ითამაშონ. 7 კაცი გუნდიდან ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებშია გამოძახებული. 3, 4 და 11 ივნისს აზერბაიჯანელებს და ესტონელებს ეთამაშებიან. ინტერტოტოს გათამაშება კი 18 ივნისს იწყება. ესე იგი მოსამზადებელი პერიოდი ფაქტობრივად ჩაგდებულია. უეფას შტაბ-ბინიდან გუშინ ფაქსი მივიღე, პირველ თამაშს „დინამო“ 18 ივნისს შინ „ეროვნულ“ სტადიონზე გამართავს „სტანდარდთან“... ამიხსნან, რა აზრი აქვს თამაშს? ვალის გადახდა არ უნდათ, ფეხებზე დავიკიდოთ ყველაფერი? მე ჩემი სინდის-ნამუსი მაქვს, პასუხისმგებლობასაც ამიტომ ვიხსნი.

**— რატიანს თუ ელაპარაკეთ?**

— ტელეფონზე ვესაუბრე, ჩემი არგუმენტაცია დავუსაბუთე. მე მას კაცურადაც დავუდექი გვერდით, ფულითაც, სიკეთითაც, ყველანაირად, მან კი რით გადამიხადა? ეს ღალატია, ღალატი კი ბავშვობის მეგობარ მერაბ ჟორდანიასაც არ ვაპატიე და არც არავის ვაპატიებ.

**— „დინამოს“ ლობისტის ვინაობის დასახელებას დაგვპირდით...**

— თვე-ნახევრის განმავლობაში ვხვდებოდი ბატონ ედუარდ სურმანიძეს. მას ჩემი გულისტკივილი გავუზიარე „დინამოს“ ირგვლივ. თვე-ნახევარი დამჭირდა მის დასათანხმებლად. მარტო სურმანიძე კი არა, მოქალაქეთა კავშირი და მისი გენერალური მდივანიც ჩვენს გვერდში არიან. „დინამოს“ გადარჩენის ერთადერთი გზა ეს არის. ამის შესახებ რატიანმაც მშვენივრად იცის, მაგრამ... მოკლედ, ბატონი ედუარდ სურმანიძე დათანხმდა იმაზე, რომ „დინამოს“ ლობისტის სტატუსი იტვირთოს. რატიანს კი ურჩევნია ტვინს ძალა დაატანოს, პირი გამოირეცხოს და ისე ილაპარაკოს ამ მოვლენაზე. ბატონი ედუარდ სურმანიძე რატიანის და ჩემს გვერდით არ დამდგარა, იგი „დინამოს“ ამოუდგა მხარში.

**— 31 მაისი „TBC-ბანკისთვის“ ვალის გადახდის ბოლო ვადა იყო, დაფარა „დინამომ“ დავალიანება?**

— ბლეფი ყოფილა „დინამოს“ საბჭოს განცხადება, რომ ყვიროდნენ ვალი დროზე გადავიხადოთ, საქმე გამოვიტანოთ სასამართლოდანო... მე საბოლოოდ დავრწმუნდი ერთ რამეში — ამ ვალის გადახდა არავის არ უნდა. ნახეთ, რა ხდება. მივედი „დინამოს“ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თუშურაშვილთან და მის მოადგილე მაჭავარიანთან, ავუხსენი, რომ დიდავა-წიტაიშვილის ტრანსფერის საქმე თითქმის მოგვარებულია, რომ ებრაელები მზად არიან, დაუყოვნებლივ გადმოაგზავნონ 200 ათასი დოლარი ტრანსფერის სანაცვლოდ. საჭირო იყო მხოლოდ თუშურაშვილის და მაჭავარიანის ხელმოწერა იმაზე, რომ თანახმანი არიან გაიცეს ტრანსფერი. როგორ გგონიათ, რა ქნეს? ხელი არ მოაწერეს საბუთს, ჩოლარიას დაველოდოთო. გეკითხებით, რა ლოდინზეა საუბარი, როცა 31-ში „TBC-ბანკს“ ვალი უნდა დაბრუნებოდა. მე ფულს ხელს არ ვკიდებ „მაკაბისთან“ შეთანხმებით ეს თანხა პირდაპირ „TBC-ბანკს“ უნდა დაჯდომოდა ანგარიშზე, მაგრამ... თუშურაშვილ-მაჭავარიანის უარის შემდეგ სასწრაფოდ დოკუმენტი შევადგინე, რომ „დინამოს“ საბჭო უარზეა, ტრანსფერი გაიცეს და ჩემი მხრივ ნებისმიერ მოსალოდნელ შედეგზე პასუხისმგებლობას ვიხსნი. ამ განცხადებაზე თავად თუშურაშვილს მოვაწერინე ხელი. იცით თქვენ უსაბუთოდ მოქმედება არ მჩვევია განცხადება წარვადგინე „TBC-ბანკშიც“, რომ „დინამოს“ საბჭოსგან ხელისშემშლელი მიზეზები გამოჩნდა და პასუხისმგებლობა მათ წინაშეც მოვიხსენი.

**— ტრანსფერის შეფერხებაში სფფ-საც ხომ არ მიუძღვის ბრალი?**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სფფ-ს მხრიდან არავითარი დაბრკოლება არ ყოფილა, პირიქით მზად იყვნენ სატრანსფერო ფურცლის გაგზავნაში. გასაკვირია, მაგრამ ეჭვის თვალით ვუყურებ ამ კონკრეტულ სიტუაციაში სფფ-ს როლს, როგორც სიკეთის გამოვლინებას ფეხბურთელებისადმი და „დინამოს“ ვალებისადმი.

**— კი მაგრამ, რა მიზეზით ამბობენ უარს 200 ათას დოლარზე, ან ფეხბურთელთა საქმე როგორ იქნება?**

— ორივე ფეხბურთელი შინ დაბრუნდება და ვისი იმიჯი ილახება ამ დროს? ვაჟა ჟვანიასი. გეკითხებით, რა ჰქვია ამას. რატიანის განცხადებით, ამ ფეხბურთელებში უფრო მეტი ფულის აღებაა შესაძლებელი და ალბათ ამიტომაც ამბობენ უარს ტრანსფერის გაცემაზე, მაგრამ დრო გადის, ვალი გადასახდელი რჩება, რა უნდა რატიანს? რას ფიქრობს, დამისაბუთოს რა სტრატეგიით, რა საშუალებით აპირებს ფულის შოვნას, როდის უნდა გაისტუმროს ვალი. „დინამოში“ მისვლის დღიდან ვამბობ, რომ ყველაფერი გამჭირვალედ უნდა ხდებოდეს, ის კი იტყუება, მითებს ქმნის, რვა წლის განმავლობაში მისმა რომელმა იდეამ, ჩანაფიქრმა გაამართლა... მე პირადად უკვე ეჭვით არ ვუყურებ რატიანს, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მოცილება უნდათ.

**— რას აპირებთ?**

— რატიანი ან გვერდზე გადგეს და საქმე მაცალოს, ან მე გავეცლები და ნგრევა განაგრძოს.

**— გაცლას ფიქრობთ?**

— თუ „დინამოს“ დანგრევა უნდათ, უჩემოდ დაანგრიონ... ორი წელი შინაურ ემიგრაციაში ვიმყოფებოდი, ახლაც შემიძლია იგივე გავაკეთო, მაგრამ ასე ადვილად აღარ წავალ, რადგან ფულით და სიკეთით ვარ „დინამოში“ მოსული. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მე რომ „დინამოში“ ფული (55 ათასი დოლარი) არ მომეტანა, ეს კლუბი ეროვნულ ჩემპიონატს ვერ დაასრულებდა.

**ბაატა ქვანტალიანი**

## დინამო მეტს ითხოვს

შესაძლოა კიდევ ერთი სკანდალის მომსწრენი შევიქნათ. საქმე ის გახლავთ, რომ თელ ავივის „მაკაბიში“ წასულ ორ ფეხბურთელს — გივი დიდავასა და კობა წიტაიშვილს „დინამოს“ საბჭო კლუბიდან განთავისუფლების ფურცელს არ აძლევს, უიმისოდ კი, ალბათ იცით, ფეხბურთელები უცხოურ კლუბში ვერ ითამაშებენ. არადა, წარმოიდგინეთ თელ ავივს ჩასულ ორივე დინამოელს „მაკაბისთან“ პირადი კონტრაქტი გაფორმებული აქვს.

„დინამოს“ პრეზიდენტი განთავისუფლების ფურცლის გაუცემლობას იმით ხსნის, რომ დიდავასა და წიტაიშვილის სანაცვლოდ მათ 200 ათასი დოლარზე გაცილებით მეტის, 300 ათასის მიღება შეუძლიათ ცეესკადან.

ერთი სიტყვით, გაურკვეველი ვითარებაა. „დინამოს“ „TBC ბანკს“ შეპირებული იყო „მაკაბიდან“ გადმორიცხული 200 ათასი თქვენს ანგარიშზე დაჯდება, ჩვენი ვალიც გასტუმრებული იქნებაო. და ახლა...

ჩვენ კი წუხელ თელ ავივში კობა წიტაიშვილს დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ.

— „მაკაბისთან“ მეც და გივიმაც ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ. პირობებზე შევთანხმდით, ყველაფერი კარგადაა. აქაურებისგან ასეთ დახვედრას არ ველოდით, თქვენი კოლეგები არ გვცილდებიან, ინტერვიუს ინტერვიუზე გვთხოვენ. არც კლუბის ხელმძღვანელები გვაკლებენ ყურადღებას. ეგაა, რომ რაღაცას ელოდებიან, რას, ზუსტად ვერ გეტყვით. არ ვიცი — გვითხრა ისრაელს აბარგებულმა ჩვენებურმა.

ჩვენც მოვითმინოთ, უახლეს დღეებში ალბათ ყველაფერი გაირკვევა.

**კობა ინასარიძე**

# ძირს მუსაევის დიქტატურა!

## ბაქოში სიურპრიზს გვპირდებიან

4 ივნისს საქართველოს ნაკრები მორიგ ამხანაგურ მატჩს გამართავს აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდთან. წესით და რიგით, ეს შეხვედრა ევროპაში დიდ ინტერესს არც უნდა იწვევდეს — ევროპულ რეიტინგში დაბალ საფეხურებზე მყოფი მეზობელი ქვეყნების ნაკრებები ამხანაგურად პაექრობენ, მაგრამ ერთი რამ უდავოდ ყურადსაღებია. თავად განსაჯეთ, რამდენიმე დღის წინ ევროპის სააგენტოებმა ინფორმაცია გაავრცელეს იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციების ასოციაციამ (აფფა) შეხვედრის მსვლელობისას ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს ექსცესების აღსაკვეთად. მაინც, რა შეიძლება მოხდეს? „აზერბაიჯანი — საქართველოს მატჩისთვის აფფა-ს დიდ სიურპრიზს ვუმზადებთ“ — განაცხადა იქაური ფეხბურთის ფედერაციის ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. ეს სიტყვები თავისთავად ანგარიშგასაწევია იმის გათვალისწინებით, რომ ოპოზიციამ დიდი ომი გამოუცხადა აზერბაიჯანული ფეხბურთის ზემდგომ ორგანოს.

აზერბაიჯანში წლეულს იმგვარი სიტუაციაა, როგორიც რამდენიმე წლის წინ ქართულ ფეხბურთში იყო. გეხსომებათ, მაშინ ჩვენმა სპორტის დეპარტამენტმა სფფ-ს მუშაობა არადამაკმაყოფილებლად რომ მიიჩნია, ცნობილი „ლ“ პუნქტი მოიშველია და ფედერაციას უფლებამოსილება შეუჩერა. იმასაც გაგახსენებთ, თუ რა მოჰყვა ამას ფიფა-უეფას მხრიდან. ქვეყნის ხელმძღვანელობამ მდგომარეობა რეალურად შეაფასა და სპორტის დეპარტამენტის გადაწყვეტილება გააუქმა.

ასეა, ფიფა-უეფას და მასში შემავალი ორგანიზაციების მუშაობაში ჩარევის უფლება არავის აქვს. როგორც ჩანს, ჩვენი მაგალითი სრულიად დაივიწყეს მეზობლებმა და ჯერ კიდევ დაუსრულებელი იქაური ჩემპიონატის მიმდინარეობისას აზერბაიჯანულ ფეხბურთში დიდი სკანდალი ატყდა. ოპოზიციამ, სადაც ძირითადად ჩემპიონატში მონაწილე კლუბების ხელმძღვანელები არიან გაერთიანებულნი, მე-7 ტურის შემდეგ აფფა-ს პრეზიდენტ ფუად მუსაევის გადადგომა მოითხოვა, პირველობაზე მონაწილე თერთმეტმა გუნდმა კი ბოიკოტი გამოაცხადა. თორმეტგუნდიან ჩემპიონატს მხოლოდ იმჟამად მეცხრე ადგილოსანმა „ვილიას მასალმა“ არ უგანა და მოგვიანებით ერთგულებისთვის ფედერაციისგან სამი ქულაც მიიღო საჩუქრად. ყველა სხვა გუნდს წაგება ჩაეთვალა.



გურჯაანი. 1992 წლის 17 სექტემბერი. საქართველო — აზერბაიჯანი 6:3.
შოთა არველაძე, დავით ყიზილაშვილი და დიმიტრი კუდინოვი (№3) აზერბაიჯანელთა კარს უტევენ

ოპოზიციონერების მოთხოვნას, რიგგარეშე ყრილობა მოვიწვიოთ და მუსაევი გადავაყენოთო, ფიფას რეაქცია მოჰყვა — ან შერიგდ-დალაგდით, ანდა ერთიანი ოჯახიდან გაგრიცხავთო.

მოგვიანებით ფიფას დელეგაცია აზერბაიჯანს ესტუმრა და ჩემპიონატიც განახლდა. ფიფამ დაწყებული საქმე გუშინწინ დააგვირგვინა. აზერბაიჯანში იქაური ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გაიმართა. 153 დელეგატიდან უმრავლესობამ კვლავაც ძველ პრეზიდენტს დაუჭირა მხარი და ფუად მუსაევი აფფა-ს სათავეში მინიმუმ 2002 წლამდე დარჩება.

უსკანდალოდ გუშინწინდელ ყრილობასაც არ ჩაუვლია. ოპოზიციონერები სხდომის დარბაზში შეღწევას ლამობდნენ, მაგრამ შესასვლელთან მობილიზებულმა დაცვამ ისინი იქიდან მიაბრძანა.

ერთი სიტყვით, მუსაევმა გაიმარჯვა და აღმასკომის 21-კაციანი შემადგენლობაც თავისთვის სასურველი კანდიდატებით დააკომპლექტა. მაგრამ არის კი ეს საბოლოო გამარჯვება.

მუსაევის მოწინააღმდეგენი კვლავაც იმუქრებიან, ბოლომდე ვიბრძოლებთო, მაგრამ საეჭვოა, რაიმე მოახერხონ, თუმცა, ბუნებრივია, გამოხდომებს არ მოიშლიან და ეგებ თავიანთი პროტესტის გამოსახატავად ხვალინდელი მატჩიც გამოიყენონ. ძნელი სათქმელია, რა ხერხს მიმართავენ ისინი. იმედია, ფუად მუსაევის დაცვა და ადგილობრივი პოლიცია მათ კვლავაც მარჯვედ დაუხვდება.

დაპირისპირებული მხარეები რომ არ შერიგებულან, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ყრილობის წინა დღეს პრესკონფერენცია გამართეს იქაური უმაღლესი ლიგის ხუთი გუნდის („ყარაბაღი“, „ანს პივანი“, „ტურანი“, „ნეფტჩი“, ასკ) პრეზიდენტებმა. მათ დაგმეს მუსაევის საფეხბურთო პოლიტიკა და ჟურნალისტებს აქტიურობისკენ მოუწოდეს „ყარაბაღის“ პრეზიდენტმა — იუნუს ილდრიმზადემ კი ზოგიერთი ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგა პროფესიის ბოროტად გამოყენებაშიც დაადანაშაულა.

სენსაციური გახლდათ „ტურანის“ პრეზიდენტის, ვიდადი ახმედოვის განცხადებაც: „კლუბის პრეზიდენტები იმაზე მეტს ვაკეთებთ, ვიდრე აფფა-ს ყველა ჩინოვნიკი ერთად. ჩვენ ფულს ვდებთ ფეხბურთში, ისინი კი ამ თანხებს ჭამენ და ქუჩის მაწანწალებს გვიწოდებენ“ — თქვა ახმედოვმა. გგონიათ, რომელიმე ევროპული საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტს ასე საჯაროდ გამოელანძღოს საკუთარი ფედერაცია?

აზერბაიჯანულ ფეხბურთში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ამას უეფას შტაბბინაშიც გრძნობენ და ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო მალე, ალბათ, დამატებით ლონისძიებებს ჩაატარებს. ძნელი სათქმელია, რა ელით აზერბაიჯანელებს. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ხვალინდელ მატჩს დაველოდოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ქართველთათვის ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდება.

**ბაატა ქვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელის გამოკითხვა

„სარბიელის“ ტრადიციულ გამოკითხვაში წლეულს მონაწილეობა 43-მა ჟურნალისტმა მიიღო.

წლეულსაც, შარშანდელის მსგავსად, გამოკითხვა ორ ნომინაციაში ჩატარდა: საქართველოს 1999-00 წლების საუკეთესო ფეხბურთელთან ერთად მეთერთმეტე ჩემპიონატის მოთამაშეც გამოვლინდა.

პირველ, ანუ უმთავრეს რეფერენდუმში რესპოდენტებს ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეთა დასახელებაც შეეძლოთ — ამ უფლებით ერთადერთმა გამოკითხულმა ისარგებლა.

ჟურნალისტებს ჩვენი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად უცხოელი მოთამაშის არჩევის უფლებაც ჰქონდათ, მაგრამ რაკი საქართველოში ერთადერთი ლეგიონერი, ჩემპიონატის პირველ ეტაპზე მოთამაშე „დინამოს“ ბელგიელ მეკარე დენიტ დონდტი იყო, იგი არავის გახსენებია.

უკვე მეორედაა, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაში წინა რეფერენდუმის გამარჯვებული რომ ვერ მოხვდა. პირველი, 1998-99 წლების შეჯამებისას ტრავმებისგან დატანჯული, შოთა არველაძე იყო. წლეულს იგივე მიზეზით შარშანდელი გამარჯვებული ზაზა ჯანაშია გამოგვაკლდა.

თვალში საცემია ორივე გამოკითხვის გამარჯვებულის უდავო პროგრესი. ლევან კობიაშვილი შარშან მეოთხე იყო, ხოლო ზურაბ იონანიძე გასული წლის გამოკითხვაში სულაც ვერ მოხვდა.

საქართველოს X ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი რატი ალექსიძე კი პირველობიდან მეთორმეტეობამდე ჩამოქვეითდა.

შარშანდელი გამოკითხვის მესამეადგილოსნები თემურ ქეცბაია და მიხეილ აშვეთია წლეულს ნომინანტთა რიგებში ვერ მოხვდნენ.

ქულათა დარიცხვის სისტემა ძველებურია: პირველი ადგილისთვის — 5 ქულა, მეორისთვის — 3, მესამისთვის — 1.

### „სარბიელის“ რვავე გამოკითხვის გამარჯვებულები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1992–93 | გიორგი ქინქლაძე | 1993–94 | შოთა არველაძე |
| 1994–95 | აკაკი დევაძე | 1995–96 | გიორგი ქინქლაძე |
| 1996–97 | თემურ ქეცბაია | 1997–98 | შოთა არველაძე |
| 1998–99 | ზაზა ჯანაშია | 1999–00 | ლევან კობიაშვილი |

### საქართველოს 1999–00 წლების საუკეთესო ფეხბურთელი

| | | | | I | II | III | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლევან | კობიაშვილი | ფრაიბურგი, გერმანია | 23 | 12 | 7 | 158 |
| 2 | კახა | კალაძე | დინამო, კიევი, უკრაინა | 13 | 22 | 5 | 136 |
| 3 | გიორგი | დემეტრაძე | დინამო, კიევი, უკრაინა | 8 | 4 | 21 | 73 |
| 4 | გიორგი | ქინქლაძე | დერბი ქაუნთი, ინგლისი | - | 5 | 5 | 20 |
| 5 | გოჩა | ჯამარაული | ციურიხი, შვეიცარია | - | - | 2 | 2 |
| 6 | არჩილ | არველაძე | კიოლნი, გერმანია | - | - | 1 | 1 |
| | ლაშა | ჯაკობია | სტანდარდი, ლიეჟი, ბელგია | - | - | 1 | 1 |
| | ზურაბ | იონანიძე | ტორპედო, ქუთაისი | - | - | 1 | 1 |

### საქართველოს XI ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

| | | | | I | II | III | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზურაბ | იონანიძე | ტორპედო | 29 | 4 | 3 | 160 |
| 2 | ვარლამ | კილასონია | გორდა | 1 | 10 | 1 | 36 |
| 3 | გიორგი | ყიფიანი | ვიტ ჯორჯია | 2 | 2 | 1 | 17 |
| 4 | გიორგი | ანჩაბაძე | დინამო | 1 | 3 | - | 14 |
| | თენგიზ | სიჭინავა | დინამო | - | 3 | 5 | 14 |
| | ედიკ | საჯაია | ვიტ ჯორჯია | 1 | 2 | 3 | 14 |
| | დავით | ჯანაშია | ტორპედო | 1 | 3 | - | 14 |
| 5 | გიორგი | ჭანკოტაძე | ვიტ ჯორჯია | - | 3 | 2 | 11 |
| 6 | გივი | დიდავა | დინამო | 1 | - | 5 | 10 |
| | ჯონი | შალამბერიძე | კოლხეთი, ფოთი | 1 | 1 | 2 | 10 |
| 7 | გიორგი | ლომაია | ლოკომოტივი | 1 | - | 3 | 8 |
| 8 | კობა | ნიტაიშვილი | დინამო | - | 2 | 1 | 7 |
| 9 | ვალტერ | გუჩუა | დინამო | 1 | - | - | 5 |
| | კახა | გოგიჩაიშვილი | ლოკომოტივი | 1 | - | - | 5 |
| | არჩილ | სახვაძე | დინამო | 1 | - | - | 5 |
| | გია | მეგრელაძე | ტორპედო | - | 1 | 2 | 5 |
| | გია | იმედაძე | ტორპედო | 1 | - | - | 5 |
| | გიორგი | ჩიხრაძე | ლოკომოტივი | - | 1 | 2 | 5 |
| 10 | ზაველ | ღლანიძე | კოლხეთი, ფოთი | - | 1 | 1 | 4 |
| 11 | ზურაბ | არჩვაძე | ბათუმი | - | 1 | - | 3 |
| | ზურაბ | ხიზანიშვილი | ლოკომოტივი | - | 1 | - | 3 |
| | დავით | დათუაძე | დინამო | - | 1 | - | 3 |
| | ლევან | ხომერიკი | ბათუმი | - | 1 | - | 3 |
| | სერგო | ჭურაძე | ვიტ ჯორჯია | - | 1 | - | 3 |
| 12 | რატი | ალექსიძე | დინამო/ჩელსი, ინგლისი | - | - | 2 | 2 |
| 13 | გიორგი | ნემსაძე | დინამო/დანდი, შოტლანდია | - | - | 1 | 1 |
| | ამირან | მუჯირი | ბათუმი | - | - | 1 | 1 |
| | მალხაზ | მახარაძე | ბათუმი | - | - | 1 | 1 |
| | გიორგი | დეკანოსიძე | თსუ | - | - | 1 | 1 |
| | სოსო | გრიშიკაშვილი | დინამო | - | - | 1 | 1 |
| | ზურაბ | ქვაჩახია | კოლხეთი, ფოთი | - | - | 1 | 1 |
| | ივანე | ჯულელი | ლოკომოტივი | - | - | 1 | 1 |

| | | საქართველოს 1999–00 წლების საუკეთესო ფეხბურთელი | | | საქართველოს XI ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიხეილ აბაიშვილი | დრონი | კობიაშვილი | კალაძე | დემეტრაძე | იონანიძე | ნიტაიშვილი | ჩიხრაძე |
| კობა ასლანიშვილი | სპორტის სიახლენი | დემეტრაძე | კალაძე | კობიაშვილი | იონანიძე | ჭანკოტაძე | ალექსიძე |
| მიხეილ აფხაზავა | სპორტის სიახლენი | დემეტრაძე | ქინქლაძე | კობიაშვილი | დ. ჯანაშია | მეგრელაძე | საჯაია |
| გიორგი ახვლედიანი | სარბიელი | კობიაშვილი | კალაძე | დემეტრაძე | - | - | - |
| ილია ბაბუნაშვილი | სარბიელი | კობიაშვილი | კალაძე | დემეტრაძე | - | - | - |
| დათო ბაკურაძე | პრაიმ ნიუსი | კალაძე | კობიაშვილი | დემეტრაძე | საჯაია | ხიზანიშივილი | ლომაია |
| ვახტანგ ბზიკაძე | სარბიელი | კალაძე | კობიაშვილი | დემეტრაძე | იონანიძე | ვ. კილასონია | ლომაია |
| კონსტანტინე გოგიშვილი | სარბიელი | კალაძე | კობიაშვილი | ქინქლაძე | იონანიძე | ვ. კილასონია | შალამბერიძე |
| ლაშა გოდუაძე | ფეხბურთი | კალაძე | დემეტრაძე | კობიაშვილი | ყიფიანი | იონანიძე | დიდავა |
| სოლომონ გულისაშვილი | სარბიელი | კალაძე | კობიაშვილი | დემეტრაძე | იონანიძე | საჯაია | ჯულელი |
| ბიძინა დარჩია | თავისუფალი თაობა | კობიაშვილი | ქინქლაძე | კალაძე | შალამბერიძე | ღლანიძე | ა. მუჯირი |
| გია ეჯიბია | TV-ფაზისი | კალაძე | კობიაშვილი | დემეტრაძე | იონანიძე | შალამბერიძე | ღლანიძე |
| დავით ერაძე | ფეხბურთი | კობიაშვილი | კალაძე | დემეტრაძე | ა. სახვაძე | ყიფიანი | იონანიძე |
| ვახტანგ დარასელია | 11X11 | კალაძე | კობიაშვილი | დემეტრაძე | ანჩაბაძე | გ. ჩიხრაძე | სიჭინავა |
| გიორგი ვაშაკიძე | სარბიელი | კალაძე | კობიაშვილი | დემეტრაძე | იონანიძე | საჯაია | ქვაჩახია |
| დავით თავართქილაძე | ლელო | კობიაშვილი | კალაძე | ქინქლაძე | გუჩუა | იონანიძე | სიჭინავა |
| კობა ინასარიძე | სარბიელი | კობიაშვილი | კალაძე | დემეტრაძე | იონანიძე | ვ. კილასონია | საჯაია |
| იუზა კაციტაძე | სარბიელი | კობიაშვილი | კალაძე | იონანიძე | იონანიძე | დ. ჯანაშია | მეგრელაძე |
| ფრიდონ კერვალიშვილი | რეზონანსი | კობიაშვილი | კალაძე | დემეტრაძე | იონანიძე | დ. ჯანაშია | დიდავა |
| მამუკა კვანტალიანი | სარბიელი | კალაძე | კობიაშვილი | დემეტრაძე | იონანიძე | ვ. კილასონია | საჯაია |
| პაატა კვანტალიანი | სარბიელი | კალაძე | ქინქლაძე | ჯაკობია | ვ. კილასონია | ჭურაძე | მეგრელაძე |
| მერაბ მამულაშვილი | ალია | კობიაშვილი | კალაძე | დემეტრაძე | იონანიძე | სიჭინავა | ჭანკოტაძე |
| დათო მინაშვილი | Iარხი. რადიო | კობიაშვილი | კალაძე | დემეტრაძე | იონანიძე | ანჩაბაძე | გრიშიკაშვილი |
| გივი მომცელიძე | 11X11 | კობიაშვილი | კალაძე | დემეტრაძე | იონანიძე | ვ. კილასონია | სიჭინავა |
| გოგი მურვანიძე | აჭარის ტელევიზია | კალაძე | კობიაშვილი | დემეტრაძე | იონანიძე | ხომერიკი | მ. მახარაძე |
| ნიკა მჟავანაძე | 11X11 | დემეტრაძე | ქინქლაძე | კობიაშვილი | ლომაია | ჭანკოტაძე | იონანიძე |
| დიმა ობოლაძე | რუსთავი 2 | კობიაშვილი | დემეტრაძე | კალაძე | გოგიჩაიშვილი | ანჩაბაძე | იონანიძე |
| ვანო ოქროპირიძე | სარბიელი | კობიაშვილი | კალაძე | ქინქლაძე | იონანიძე | ვ. კილასონია | დეკანოსიძე |
| გია პლატონიშვილი | საქართველოს რესპუბლიკა | კობიაშვილი | კალაძე | ა. არველაძე | იონანიძე | ყიფიანი | ნიტაიშვილი |
| თენგიზ პაჭკორია | აფხაზეთის რადიო და ტელევიზია | დემეტრაძე | კობიაშვილი | კალაძე | იონანიძე | ნიტაიშვილი | სიჭინავა |
| ვაჟა სიმონიშვილი | 11X11 | კობიაშვილი | კალაძე | დემეტრაძე | იონანიძე | დათუაძე | ლომაია |
| მიხეილ საბახტარაშვილი | სფფ პრეს-სამსახური | კობიაშვილი | დემეტრაძე | კალაძე | იონანიძე | ვ. კილასონია | დიდავა |
| გია ტუხაშვილი | დრონი | კობიაშვილი | კალაძე | ჯამარაული | ყიფიანი | იონანიძე | ვ. კილასონია |
| ვასილ უდუმაშვილი | სპორტის სიახლენი | დემეტრაძე | კობიაშვილი | კალაძე | იონანიძე | ჭანკოტაძე | ალექსიძე |
| ზურაბ უსუფაშვილი | რუსთავი 2 | დემეტრაძე | კალაძე | კობიაშვილი | იონანიძე | სიჭინავა | დიდავა |
| რევაზ შენგელია | სფფ პრეს-სამსახური | დემეტრაძე | კალაძე | კობიაშვილი | დიდავა | იონანიძე | ნემსაძე |
| დავით ცაბაძე | 11X11 | კობიაშვილი | ქინქლაძე | ჯამარაული | იონანიძე | ვ. კილასონია | სიჭინავა |
| ჯემალ ჭიპაშვილი | ლელო | კობიაშვილი | კალაძე | დემეტრაძე | იონანიძე | ვ. კილასონია | გ. ჩიხრაძე |
| გოგიტა ხორგუაშვილი | ეკო დაიჯესტი | დემეტრაძე | კალაძე | ქინქლაძე | იონანიძე | ანჩაბაძე | ყიფიანი |
| ბესიკ ჯანგავაძე | ივერია ექსპრესი | კალაძე | დემეტრაძე | კობიაშვილი | იონანიძე | დ. ჯანაშია | დიდავა |
| გოჩა ჯანაშია | სარბიელი | კობიაშვილი | კალაძე | ქინქლაძე | იონანიძე | არჩვაძე | შალამბერიძე |
| თემურ ჯაფარიძე | ტელევიზია, I არხი | კობიაშვილი | - | - | იმედაძე | - | - |
| მიხეილ ჯაში | 11X11 | კობიაშვილი | კალაძე | დემეტრაძე | იონანიძე | ვ. კილასონია | ჭანკოტაძე |
| ალეკო ჯიბლაძე | Iარხი. რადიო | კალაძე | კობიაშვილი | დემეტრაძე | იონანიძე | სიჭინავა | - |



# ახდენილი ოცნება

## კობიაშვილისთვის „სარბიელის" პრიზი უმნიშვნელოვანესია



ლევან კობიაშვილი ნავარჯიშევს

*1994 წლის ზამთარი იყო. საქართველოს ნაკრების ახლანდელმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა, რომელიც მაშინ რუსთავის „მეტალურგს" წვრთნიდა, დიღომში, „ავაზას" ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში სიარულს მოუხშირა. თავიდან თურმე არავის უმხელდა, რატომ დადიოდა ლამის ყოველდღიურად „დინამოს" ბაზის მახლობლად. მივიდოდა „ავაზას" სკოლაში, ჩამოჯდებოდა ქვიშისსაფარიანი მოედნის განაპირას და 16-17 წლის ჭაბუკების ვარჯიშს უცქერდა. ერთ დღესაც, მორიგი ვარჯიშის შემდეგ, ერთ ბიჭს უხმო და ერთი ჰკითხა — გინდა რუსთავის „მეტალურგში" თამაში? ბიჭი დაიბნა, სულ 16 წლის იყო, არ იცოდა, რა ეპასუხა რევაზ ძოძუაშვილისთვის. იმ დღიდან თვე გავიდა, შეიძლება ოდნავ მეტიც და იმ 16 წლის ფეხბურთელმა „მეტალურგის" მაშინდელი თეთრ-სტაფილოსფერი მაისური მოირგო. მწვრთნელი ბავშვის მშობლებსაც შეუთანხმდა, არც სკოლას შეუქმნია პრობლემა.*

*ეს ბიჭი ნელ-ნელა, დღითი დღე, თამაშიდან თამაშამდე უმატებდა, ინდომებდა, გუნდი ვარჯიშს რომ დაამთავრებდა, მოედანზე რჩებოდა, დატვირთვებს არ იკლებდა. მალე დაუფასდა კიდეც. ერთ წელიწადში ის უკვე თბილისის „დინამოს", მისი ოცნების გუნდის წევრი იყო. მერე, როგორც ფეხბურთელი, ისე გაიზარდა, მართლაც საცოდაობა გახლდათ საქართველოს დაღმავალ ჩემპიონატში ეთამაშა. მსურველიც გამოუჩნდა, არც „დინამომ" დააკავა და მეზობლად, ვლადიკავკაზის „ალანიაში" გაანათხოვრა. ფეხბურთელის სხვა კლუბში გაყიდვის უფლება საქართველოს მაშინდელმა ჩემპიონებმა დაიტოვეს. „ალანია" იმხანად რუსეთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ითვლებოდა, მისი ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე კი ეს ბიჭი გახლდათ, თუმცა ერთი სეზონის შემდეგ „დინამომ" უკანვე დაიბრუნა, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თავისთან ათამაშა და გერმანულ „ფრაიბურგსაც" დროებით დაუთმო. მაშინ „ავაზაში" გაზრდილ ჭაბუკს ფეხბურთის ყველა ქომაგი იცნობდა — უკვე კარგი ფეხბურთელი იყო.*

*ცოტა ხანში „დინამომ" ეს შავტუხა ნახევარმცველი კვლავ თბილისში ჩამოიყვანა, ისევ ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად უნდა დახმარებოდა კლუბს. ამ საქმიდან „დინამოს" დღემდე არაფერი გამოსვლია, აი, იმ ფეხბურთელს კი გამოუვიდა და მერე როგორ... დადგა დრო, როცა „დინამომ" საბოლოოდ გაყიდა „ფრაიბურგში". ფეხბურთელს გერმანელებმა სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს და 10-ნომრიანი შავ-წითელი მაისური უბოძეს. ბიჭი ახალ გუნდშიც გამოირჩეოდა. წლეულს სულაც „ფრაიბურგის" საუკეთესო და მთელი ბუნდესლიგის საუკეთესოთაგანი გახლდათ.*

*და დადგა 2000 წლის მაისი. „სარბიელმა" თავის ტრადიციული გამოკითხვის შედეგები შეაჯამა.*

*ეს ბიჭი ახლა 22 წლისაა, ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი — ლევან კობიაშვილი.*

*ნატვრად ჰქონდა თურმე საქართველოში საუკეთესოობა. აუხდა, დაიმსახურა და იმიტომ. „ავაზას" სკოლის ქვიშიან მოედანზე ფეხბურთგადაყვლეფილს ახლა ევროპის არაერთი სახელოვანი ეპატიჟება...*

*2000 წელი. 1 ივნისი. თბილისი. დიღმის საწვრთნელი ბაზა. საქართველოს საუკეთესო მიმღოცველებს ვერ აუდის, გახარებულია. მერე წუთით სიჩუმე...*

— იქით დავსხდეთ, აი, იმ მაგიდასთან ამბობს ლევან კობიაშვილი.

*ვეთანხმებით.*

**— ლევან თავიდან ტრადიციული ორი კითხვა. ელოდი, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად რომ დაგასახელებდნენ?**

— ვიცოდი, შანსი მქონდა. რაც პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ, წლევანდელი სეზონი ჩემთვის საუკეთესო იყო. აქამდე ასე ძლიერად არ მითამაშია. წარმოუდგენელიც არაფერი მომხდარა. ვფიქრობდი, საუკეთესოდ თუ არა, ჟურნალისტები მეორე-მესამედ მაინც დამასახელებდით. ბედნიერი ვარ, გმადლობთ.

**— შენი ნება რომ ყოფილიყო, ანკეტა მოგვეცა, პირველს ვის გვარს დაწერდი?**

— მიჭირს ამ კითხვაზე პასუხი. ვერ გეტყვით. ამ სეზონში ბევრმა ითამაშა კარგად. კახა კალაძე, გიორგი დემეტრაძე... არჩილ არველაძეს „ბრედაში" ყოველ მატჩში გოლი გაჰქონდა, ალექსანდრე იაშვილმაც ჩინებულად ითამაშა, მაგრამ ნახევარი სეზონი ტრავმის გამო გაუცდა, გოჩა ჯამარაული თავის გუნდის ლიდერია. გამორჩევით ვერავის გამოვარჩევ.

**— სეზონში ყველაზე მეტად რა გაგიხარდა?**

— ის, რომ „ფრაიბურგი" ბუნდესლიგიდან არ გავარდა. ბოლო რამდენიმე მატჩი ძალიან ძლიერად ჩავატარეთ და ადგილი შევინარჩუნეთ. არადა, დაქვეითების რეალური საფრთხე კი გვემუქრებოდა.

**— გული რამ დაგწყვიტა?**

— საქართველოს ნაკრების წარუმატებლობამ. ერთი ოფიციალური მატჩი ვერ მოვიგეთ. მეწყინა, ქომაგებს გული გავუტეხეთ. ქართველი გულშემატკივრები ამას არ იმსახურებდნენ.

*ლევან კობიაშვილმა თავი გააქნია, ფეხი ფეხზე გადაიდო, ტუჩები მოკუმა — ეჰ, არადა, გვეგონა, ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებდითო — დაამატა ნათქვამს. მეგობარს მიესალმა, მან მიულოცა. დიღმის ბაზაზე ლევანის საუკეთესოობა ყველამ იცოდა. მერე მოგვიტრიალდა, თვალი გაგვისწორა, ახალ კითხვას ელოდა.*

**— „სარბიელის" პრიზი პირველად დაიმსახურე. სხვა რა ჯილდო გაქვს?**

— ასეთი მნიშვნელოვანი არც ერთი. ეს ყველას მირჩევნია. ქვეყანაში პირველობას სულ სხვა ფასი აქვს. ვნატრობდი და ამისრულდა კიდეც, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი გავხდი. ისე კი, როცა რუსეთში ვთამაშობდი, წლის საუკეთესო უცხოელის, საუკეთესო ახალგაზრდის და წლის აღმოჩენისთვის დაწესებული პრიზები ერთად გადმომცეს.

**— საქართველოს საუკეთესოობის გარდა რას ნატრობდი?**

— თბილისის „დინამოში" და ეროვნულ გუნდში თამაშს. „ავაზაში" რომ მივედი, მას შემდეგ ამაზე ვფიქრობდი. მიხარია, რაც ჩავიფიქრე, ავისრულე.

**— მეტი არაფერი გაქვს ჩაფიქრებული?**

*გამიღიმა, თითები გაატკაცუნა, საზურგეს მიეყრდნო, მიიხედ-მოიხედა.*

— მაქვს. საქართველოს ნაკრებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე უნდა ვითამაშო. ნაკრების წარმატება ჩემთვის უმთავრესია.

**— ისეთი ფეხბურთით, როგორსაც ნაკრები თამაშობს, შენს ოცნებას ასრულება არ უწერია.**

— ყველაფერი გამოსწორდება. ჩვენი დროც დადგება. უკეთესად ვითამაშებთ.

*ლევანს სხვა მიმლოცველი მიუახლოვდა*

— ბოდიში, ერთი წუთით.

— ...

**— დაგღალა ამ სეზონმა? ბუნდესლიგაში სულ ერთი თამაში გამოტოვე. 2970 წუთი ითამაშე.**

— ეგ გერმანიის ჩემპიონატში. დაუმატეთ ამას თასის მატჩები, ნაკრები. ძალიან დავიღალე. მძიმე სეზონი იყო. ყოველ კვირას ვთამაშობდი. ზოგჯერ კვირაში ორ-სამჯერაც, თანაც გერმანიაში. ხომ იცით, იქ რამხელა დატვირთვებია.

**— ის ერთი თამაში ხუთი ყვითელი ბარათის გამო გამოტოვე. ხომ არ ფიქრობ, რომ ბევრია? ისე, ნაკრებშიც ბევრჯერ გაუფრთხილებიხართ, „დინამოშიც", არც წითელია შენთვის უცხო. ხომ არ ფიქრობ, რომ მინდორზე ნამეტანს უხეშობ?**

— არა, რა ვიცი, მგონი, უხეში ფეხბურთელი არ ვარ. ხანდახან მსაჯები ცდებიან. ყოფილა შემთხვევა, მეტოქეს არც გავკარებივარ და მსაჯს გავუფრთხილებივარ და თუ ღირსი ვყოფილვარ, ეს შეგნებულად არასდროს გამიკეთებია. თამაშისას აზარტში ვარ, ბოლომდე ვიბრძვი და ალბათ ამიტომაც ჩანს უხეშობა. ბუნდესლიგაში კი ხუთი ყვითელი ბარათი, უფრო სწორად, ექვსი მთელი სეზონის განმავლობაში, მგონი, ბევრი არ არის.

**— ძალიან დავიღალეო, თქვი. სად დაისვენებ?**

— ჯერ არ გადამიწყვეტია. სადმე წყნარ ადგილას წავალ ოჯახთან ერთად. ახლა ნაკრებში ვითამაშებ აზერბაიჯანისა და ესტონეთის წინააღმდეგ და მერე ვნახოთ. 30 ივნისამდე შვებულებაში ვარ.

**— ბავშვობის მწვრთნელებს როცა ხვდები, რას გეუბნებიან?**

*დაფიქრდა. აქვე გვერდით, „ავაზაში" გავიზარდეო, თქვა.*

— მწვრთნელები?

**— ჰო.**

— მათ იშვიათად ვნახულობ. თბილისში რომ ჩამოვდივარ, თითქმის სულ ნაკრების შეკრებაზე ვარ. როცა ვხვდებით კი, განსაკუთრებული არაფერი, ბავშვობას მახსენებენ. კარგი დრო იყო.

**— შენს სიტყვებს გაგახსენებ, ადრე „დინამოში" ყოფნისას რომ მითხარი. გერმანიაში თამაში არ მინდა, არ მიყვარს იქაური ფეხბურთიო, თქვი. ახლა? ისე მოხდა, სწორედ ბუნდესლიგაში თამაშობ. თანაც ერთ-ერთი საუკეთესო ხარ.**

— მახსოვს, კი, ამას მართლაც ვამბობდი. ბავშვობაში არ მომწონდა გერმანული ფეხბურთი და რომ გავიზარდე, არც მაშინ შემცვლია აზრი, თუმცა იქ კი ვთამაშობ. ახლა ნელ-ნელა შევეჩვიე გერმანიას, მაგრამ მაინც, თუ რამე საშუალება მექნება, სხვა ქვეყანაში თამაშს ვამჯობინებ.



| ლევან კობიაშვილი | | | |
|---|---|---|---|
| 10. 07. 77 | | | |
| 1993-94 | ავაზა | 3 | |
| | მეტალურგი | 23 | |
| 94-95 | მეტალურგი | 25 | |
| 95-96 | დინამო | 27 | |
| | დინამო 2 | 3 | |
| 96-97 | დინამო | 7 | 3 |
| 97 | ალანია (რუსეთი) | 21 | 5 |
| 97-98 | ფრაიბურგი (გერმანია) | | |
| 98-99 | დინამო | 2 | |
| | ფრაიბურგი | 26 | 3 |
| 99-00 | ფრაიბურგი | 33 | 6 |

**— სად?**

— სულ ესპანეთს ვქომაგობ, იქაურობა მიზიდავს. ეგეც ნატვრაა — ესპანეთში თამაში მსურს.

**— კონკრეტულად?**

— მადრიდის „რეალში". ძალიან მაგარი გუნდია.

**— აბა, ახლა გაიხარებდი.**

— ლიგა რომ მოიგეს?

*თავზე ხელი გადაისვა, თვალები გაუფართოვდა...*

— რა თქმა უნდა, ტელევიზორში ვუყურე „ვალენსიასთან" ფინალს. თითქმის უნაკლოდ ითამაშეს. თან რა ფეხბურთელები არიან, რომელი ერთი ვთქვა, არც ვიცი.

*ლევანმა გვერდით გაიხედა, რევაზ ძოძუაშვილი იქვე იყო, მწვრთნელმა ცერა თითი ზემოთ ასწია, თავი დაუქნია, გაუღიმა, ილაპარაკე, ილაპარაკე...*

**— თამაშამდე როგორ ემზადები? რაიმე განსაკუთრებული ჩვევა თუ გაქვს?**

— განსაკუთრებული არაფერი. გერმანიაში, საქართველოსგან და რუსეთისგან განსხვავებით, ყველა ფეხბურთელი ინდივიდუალურად ემზადება მატჩისთვის. იქ ორი-სამი დღით ადრე შეკრება არ არის. ბაზაზე თამაშის დღეს, დილით მივდივარ, ვივარჯიშებ, მერე ვსაუზმობ და ვისვენებ. შუადღისას სტადიონზე მივდივართ, იქ ვსადილობთ, მერე მწვრთნელი შემადგენლობას ასახელებს, დავალებას გვაძლევს და ვთამაშობთ. თამაშის წინა დღეს სულ შინ ვარ, ცოლ-შვილთან ერთად. შენი საქმისა შენვე უნდა იცოდე და ისეთი არაფერი გააკეთო, თამაში გაგიჭირდეს. მწვრთნელს ვერაფერს გამოაპარებ. მე საკუთარ თავს არ ვავნებ. ვიცი, თამაშამდე რა ვჭამო, რა დავლიო, როდის დავიძინო, გავიღვიძო. ვაშლის წვენს ვსვამ, ნაირ-ნაირ სალათებს შევექცევი, კოკა-კოლა ორი წელია, არ დამილევია.

**— გოლის გატანის შემდეგ შენი ჟესტი, მარჯვენა ხელის არათითზე კოცნა და ზემოთ აღმართვა რას ნიშნავს? მეუღლეს უძღვნი?**

— ჰო, ყველა გოლს ცოლს ვუძღვნი. ის „ფრაიბურგის" თამაშს არ აცდენს და სადაც ზის, მეც იქით გავრბივარ.

*მარჯვენა ხელზე დაიხედა, ტყავის სამაჯური გაისწორა.*

**— თილისმა გაქვს?**

— არა.

**— როგორც ფეხბურთელს, ნაკლი?**

— ბევრი. თავით ვერ ვთამაშობ როგორც საჭიროა და მარჯვენა ფეხით.

**— კოზირი?**

— ცაციათი ბურთს კარგად ვიმორჩილებ და კარგადაც ვურტყამ.

**— საუკეთესო პარტნიორი ვინ არის?**

დასასრული მეხუთე გვერდზე



ლევან კობიაშვილი „კაიზერსლაუტერნის" კარში „ფრაიბურგისთვის" გამარჯვების მომტანი გოლის შემდეგ

დასაწყისი მეოთხე გვერდზე

— დიარა და იაშვილი. ორი წელია, „ფრაიბურგში“ ვარ და დიარას მხარდამხარ მიადვილდება თამაში. ჩემი კარგად ესმის, თავდასხმაში კი... მე და იაშვილი ხომ ბავშვობიდან ერთად ვართ. ბურთს რომ მივიღებ, მან იცის საით უნდა გაიქცეს, სად მივცემ პასს. მეც ასევე, ყველაფერს ვხვდები. საქართველოს ნაკრებში კი იგივეს კახა კალაძეზე ვიტყვი. მასთანაც ბავშვობიდან ვთამაშობ და ვმეგობრობ.

**— სხვათა შორის, შენი კონკურენტი სწორედ კალაძე იყო.**

— ისიც ღირსი იქნებოდა, საუკეთესოდ რომ დაგვესახელებინათ. უძლიერესი მცველია. არ მახსოვს, კახას ოდესმე ზერელედ ეთამაშოს.

**— შენი აზრით, ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელი ვინ იყო?**

— სამნი გამოირჩეოდნენ — ეფენბერგი, კანი და ლევერკუზენელი ემერსონი. მე ემერსონი მირჩევნია.

**— ყველაზე მეტად რომელი თამაში დაგამახსოვრდა? ყველაზე უკეთ ვისთან ითამაშე?**

— „შალკეს“, „ბაიერნისა“ და „კაიზერსლაუტერნის“ წინააღმდეგ. მე თვითონ კმაყოფილი დავრჩი, მწვრთნელმაც შემაქო და თანაგუნდელებმაც.

**— ქართველების გარდა „ფრაიბურგში“ სადაურებთან მეგობრობ?**

— ერთი ფრანგი გადმოვიდა ჩვენთან ახლახან — უმარ კონდე. კარგი, გულიანი ბიჭია, ურთიერთობაში არაფერი ემლება. ხანდახან ქართველებივით გვეპატიჟება ხოლმე.

**— თავისუფალ დროს რას აკეთებ?**

— როცა საქმე არა მაქვს, ოჯახთან ყოფნას არაფერი მირჩევნია, ბავშვს ვეთამაშები, მეუღლეს ვესაუბრები. ხშირად ცქიტიშვილთან და იაშვილთან ერთად კინოში დავდივარ, ბილიარდსაც ვთამაშობთ.

**— ქართულ კერძებს დანატრებული ხარ?**

— აბა. თბილისში რომ ჩამოვდივარ, ხინკალს და მწვადს ვაგემოვნებ ხოლმე. შემწვარ კარტოფილს კი ფრაიბურგშიც სიამოვნებით შევექცევი.

**— მანქანები გყვარებია...**



ლევან კობიაშვილი საკუთარ „მერსედესში“



კობ-იაშვილი: მათ მინდორზეც და მის გარეთაც ესმით ერთმანეთის

— ძალიან. როგორ შეიძლება, კაცს მანქანით სიარული არ უყვარდეს? „მერსედესს“ ვაფასებ. ადრე, ვიდრე დავქორწინდებოდი, დავქროდი ხოლმე, ახლა კი ოჯახი... ვფრთხილობ.

*მზრებში გაიმართა, გაიღიმა, თანაგუნდელებს გახედა, რამდენიმე წუთში ვარჯიში იწყებოდა, ეროვნული გუნდის წევრები ნელ-ნელა იკრიბებოდნენ.*

**— გერმანიიდან რომ ჩამოდიხარ, რაიმე განსაკუთრებული ნივთი თუ მოგაქვს? ამოჩემებული არაფერი გაქვს?**

— არა, არაფერი. ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის სუვენირები მომაქვს.

**— „ფრაიბურგის“ დატოვებას არ აპირებ? გავიგეთ, ბევრი ცნობილი კლუბი ცდილობს შენს გადაბირებას.**

— ადრეც ხომ ვთქვი, მე არაფერი ვიცი. ჯერჯერობით კი არც მეჩქარება, „ფრაიბურგში“ ერთი სეზონიც დამრჩა სათამაშო და მერე ვნახოთ. იქამდე დრო მაქვს, ვიდრე სხვაგან გადასვლას დავაპირებ, კარგად უნდა დავფიქრდე.

**— გასულ სეზონში გატანილი გოლებიდან ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდა?**

— „ბაიერნის“ კარში ჯარიმიდან გატანილი. ლამაზი გოლი გამომივიდა, ბურთი კარგად მოვჭერი. კანი კი გაფრინდა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა.

**— ცოტა კიდევ ვთქვათ ეროვნულ ნაკრებზე, ასეთი წარუმატებლობის მიზეზი რა არის?**

*საუკეთესო ფეხბურთელი დაფიქრდა, თავი დახარა, ხელის გული გადმოატრიალა, მობილურ ტელეფონს დახედა... რაღაც უნდა თქვას, რა?*

— ეროვნული ჩემპიონატია ძალიან დაბალი დონის. ჩვენ კი ვინდომებთ, პირადად მე ყოველთვის შესაძლებლობების ზღვარზე ვთამაშობ, მაგრამ რა ვიცი, არ გამოგვდის და...

**— ქომაგებს რას ეტყვი?**

— რას ვეტყვი?

**— ხალხს ნაკრების მოგება მოენატრა.**

— მოენატრება, აბა, რა იქნება. მათ ხელისშემშლელი ფაქტორები არ აინტერესებთ, აბსოლუტურად არაფერი, მხოლოდ საყვარელი გუნდის კარგი თამაშის სანახავად დადიან სტადიონზე. მოგებით რომ გაიხარონ, იმიტომ. ჩვენ კი მათთან ვალში ვართ. ახლა იმედი მომეცა, ძოძუაშვილისა და ყიფიანის ხელში ალბათ უკეთესი შედეგი გვექნება. ლატვიისნაირ გუნდებთან მოგების გარდა სხვაზე რაზე უნდა იფიქრო? გნებავთ, საბერძნეთი აიღეთ. რა, ჩვენზე ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ ან თუნდაც სლოვენიელებს? ალბანეთზე ალარაფერს ვამბობ. ჩვენ კი ყველასთან წავაგეთ. ამის შემხედვარე ხალხიც ხელს ჩაიქნევს, თუმც მაინც... მომავალში ყველაფერი კარგად იქნება.

**— და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ითამაშებთ? შენი ნატვრაა...**

— ნატვრა უნდა ამისრულდეს...

**— გმადლობ.**

— მადლობა „სარბიელს“ და ყველას ჩემი დაფასებისთვის.

*ამასობაში რევაზ ძოძუაშვილმაც ჩასტვინა. ნაკრები ვარჯიშს შეუდგა. საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელს გამოვეთხოვეთ...*

*და როგორც ექვსი წლის წინ, „ავაზას“ სკოლაში, ვარჯიშისას ძოძუაშვილმა კობიაშვილს ერთი უთხრა — ყოჩაღ, ლევან, ჭკვიანურად ითამაშე.*

ბოგა ინასარიძე





ბადრი ქართლელიშვილის ფოტო

თოდუას და ყიფიანის (შუაში) „ვიტ ჯორჯიას“ მცხეთაში ზურაბ იონანიძემ გაუტანა

*— „ბონა“ გაგექცა ორი ნომერი და გაიტანს — აშკარად უკმაყოფილოდ დაიძახა „დინამოს“ მარჯვენა მცველ ბესიკ ბერაძეს ნუკრი კაკილაშვილმა საპატიო სტუმართა ლოჟიდან. ეს სამტრედიაში მოხდა 1995 წლის 3 აპრილს. ნწივდა და „დინამოს“ ფეხმოტეხილი, ყავარჯნებიანი დავით ყიფიანი თავკაცობდა — პირველ მატჩში კვიპროსიდან დაბრუნების შემდეგ. ხელის შეშველებას მაშინ ჩემპიონიც საჭიროებდა, მაგრამ კლუბის მესვეურთ, ფედერაციას, მსაჯებს ნამეტანიც მოუვიდათ. ეს ძველი, მტკივნეული თემაა და კაკილაშვილის სიტყვები მაშინდელი პერიპეტიების გასახსენებლად არ მომიშველიებია. უბრალოდ, მე და ბატონი ნუკრი საზიარო სკამზე ვიჯექით და კარგად მახსოვს, როგორ ვცადე მისი დამშვიდება. სინამდვილეში მასპინძლების მხარე მეჭირა, მაგრამ მაინც „ვიექსპერტე“.*

*— ეგ №2 იონანიძეა. ბევრს აცილებს და არ იდარდოთ, ვერ გაიტანს-მეთქი.*

*ზურაბ იონანიძეს იმხანად ეროვნული ჩემპიონატის 150-მდე მატჩში 50-მდე გოლი ჰქონდა გატანილი. ყოფილი თავდამსხმელისთვის, რომელიც მერთაზ ხურცილავას მარცხენა ნახევარმცველად გადაესროლა, ასეთი შედეგიანობა ურიგო არ გახლდათ, მაგრამ იონანიძეს თავისი ათწლიანი კარიერის პირველ ხუთწლედში ისეთი ცნობილი „ამცილებლის“ სახელი დაევდო, რომლის ჩამოცილებასაც კიდევ 5 ნაყოფიერი წელიწადი დასჭირდა. ახლავე შემიძლია გავიხსენო რამდენიმე ისეთი შემთხვევა, როცა იონანიძეს ცარიელ კარში ვერ გაუტანია. არც ის მავიწყდება, როგორ ჩაუსწრო ერთხელ საჯარიმოში მეკარესთან პირისპირ შეყრილ „ტორპედოს“ თავდამსხმელს „მარგვეთის“ მცველმა გიორგი ნადირაძემ ცენტრალური წრიდან.*

*მაშინდელი იონანიძე დღევანდელთან ძნელი გასაიგივებელია. თითქოს ის სულ სხვა იყო და ახლა სხვაა. პოტენცია, ცხადია, მაშინვე უჩანდა, რაც „ტორპედოს“ იმჟამინდელ თავკაც გივა ნორაკიძეს არ გამოჰპარვია, 21 წლის ტანხმელი სამგურალელი გუნდში რომ აიყვანა.*

*ზურაბ იონანიძემ ჩალაგამოვლებული დაგვტოვა იმ წვიმიან დღეს მეც და „ეროსი მანჯგალაძის“ სტადიონის ლოჟაში ჩემთან დამე ზობლებული ნუკრი კაკილაშვილიც. იონანიძემ გააწბილა „დინამო“ და მისი ასიათასობით ქომაგი — ზურაბმა გაიტანა ჩინებული, შორი და დაფარული (როგორც სჩვევია) დარტყმით, მაგრამ ის მატჩი მაინც ზაზა ჯანაშიასი იყო — პასიც დინამოელ მცველთა შუბლების ჭახანში სწორედ ზაზამ დააძვრინა მარცხენა ფრთიდან.*

*ის გოლი იონანიძეს დღესაც უმნიშვნელოვანესად მიაჩნია და გამოსარჩევად აქვს იმ 122-იდან, რომლებითაც ეროვნული ჩემპიონატების მეორე საუკეთესო ბომბარდირია, 125-გოლიანი ლევან ხომერიკის მერე. ზურაბ იონანიძის წლევანდელმა 25 გოლმა კი „დინამოს“ ძველი დიდება წარსულში გააცილა.*



ზურაბ იონანიძე

02.12.71

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1990 | სამგურალი | A | 19 | 1 |
| 1991 | სამგურალი | A | 13 | 3 |
| 91-92 | სამგურალი | A | 35 | 11 |
| 92-93 | ტორპედო | A | 29 | 14 |
| 93-94 | სამტრედია | A | 31 | 14 |
| 94-95 | სამტრედია | A | 25 | 12 |
| 95-96 | სამტრედია | A | 15 | 23 |
| 96 | ჟემჩუჟინა (რუსეთი) | A | 24 | 7 |
| | ჟემჩუჟინა 2 | D | 1 | 2 |
| 97 | ნ.ნოვგოროდი (რუსეთი) | A | 7 | 1 |
| 97-98 | ტორპედო | A | 10 | 3 |
| 98-99 | ტორპედო | A | 23 | 16 |
| 99-00 | ტორპედო | A | 27 | 25 |

# იყო ამცილებელი, გახდა გამცილებელი

— მაშინ „სამტრედიაში“ ვთამაშობდი. ჩვენი გუნდი „დინამოს“ ჩემპიონობას ეცილებოდა. ძალიან პრინციპული შეხვედრა იყო. 1:0 მოვიგეთ. მარცხნიდან ზაზა ჯანაშიამ გრძელი პასი მომაწოდა, მე საჯარიმოს კუთხეში დავუხვდი ბურთს და შეუჩერებლივ დავარტყი. იმ ჩემპიონატში ორჯერ ვძლიეთ „დინამოს“, მაგრამ მაინც ვერ გავუსწარით

*— ეს სიტყვები ზურაბ იონანიძემ შარშან სექტემბერში უთხრა სარბიელს მაშინ, როცა ეროვნულში გატანილ გოლთა რაოდენობა ასამდე აასრულა.*

*მას შემდეგ იონანიძის საფეხბურთო ცხოვრებაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამ მოხდა. „ტორპედოს“ თავდამსხმელის სპორტულ პრიზთა კოლექცია ერთბაშად გამდიდრდა.*

*იმ მოვლენებიდან აგერ ხუთი წლის თავზე ზურაბ იონანიძემ მაინც მიაღწია საწადელს, წლეულს იონანიძე ჩემპიონი გახდა მშობლიური „ტორპედოს“ შემადგენლობაში. ჩემპიონობა ჩვენმა დღევანდელმა რესპონდენტმა ეროვნული პირველობის ბომბარდირობითაც აღნიშნა და გასაკვირი რაღაა, რომ „სარბიელის“ ტრადიციულ გამოკითხვაში „გორდას“ კაპიტანი ვალერი კილასონია ბევრად დიდი უპირატესობით ჩამოიტოვა, ვიდრე ბომბარდირობისთვის ბრძოლაში.*

— ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელება დიდი პატივია. მადლობა ჟურნალისტებს. თქვენი აღიარება უფრო მეტს მავალებს, ვიდრე მხოლოდ ჩემპიონს ან გათამაშების ბომბარდირს ევალება.

**— წლეულს ჩემპიონიც გახდი...**

— ეს ჩემთვის დიდი წარმატებაა. ჩემპიონატი დაძაბული გამოდგა, მაგრამ ჩვენ თავიდანვე პირველობა დავისახეთ და მიზანსაც მივაღწიეთ. სეზონის მანძილზე ჩავარდნებიც გვქონდა, მაგრამ ყველას ერთმანეთის გვჯეროდა და განწყობაც ისეთი იყო, ამას ხელი არ შეუშლია.

**— რამ განაპირობა თქვენი გაჩემპიონება?**

— დავიწყებ იმით, რომ გუნდში წლეულს პირობები გაუმჯობესდა. ფინანსური მდგომარეობა შარშანდელზე უკეთესი იყო, ხელფასი ერთხელ არ დაგვგვიანებია. ერთი სიტყვით, კლუბის ხელმძღვანელობამ ყველა პირობა შეგვიქმნა, რომ მხოლოდ თამაშზე და ჩემპიონობაზე გვეფიქრა. ბევრი რამ შეცვალა გუნდის მწვრთნელად დავით ყიფიანის დანიშვნამაც — გახშირდა მატჩისწინა შეკრებებიც და ასევე ძალიან წაგვადგა ბულგარეთში გავლილი საშუასეზონო წვრთნა. ალბენას ტურნირზე კარგი სპარინგ-პარტნიორები გვყავდა და მათთან თამაშისას შეძენილი გამოცდილებაც დაგვეხმარა.

**— უყიფიანოდ გახდებოდა „ტორპედო“ ჩემპიონი?**

— ძნელი სათქმელია. შეიძლება ასეც მომხდარიყო და შეიძლება სხვაგვარადაც.

**— დავით ყიფიანმა რწმენა შეგმატათ?**

— ალბათ. ვთვლი, რომ ამ სეზონისთვის უკეთ მოვემზადეთ, უფრო სერიოზულად მივუდექით საქმეს, წინა წლებში კი, ეტყობა, რამე დავაკელით.

**— ყიფიანმა შენში ახალი ზურაბ იონანიძე აღმოაჩინა — თან მეგოლე და თანაც გამთამაშებელი.**

— როგორც უკანდახეული თავდამსხმელი, უკეთესად ავთამაშდი. იყო ისეთი მატჩებიც, როცა მხოლოდ თავდამსხმელად მომიწია თამაში, მაგრამ ძირითადად მეგრელაძის და ჯანაშიას უკან ვიყავი და, რაკი მცველებს მათი დაჭერაც უძნელდებოდათ, უპირატესობას ვილებდით. ცხადია, რამდენიმე თამაში მეც არ გამომივიდა, მაგრამ ეს ადგილის შეცვლის ბრალი არ იყო.

**— ასეთთა რიგში ერთ-ერთი პირველი თბილისური მატჩებია.**

— მეც დავაკვირდი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ეროვნული სტადიონი ჩემთვის მოუხერხებელია. ყველაფერს მიჩვევა უნდა, „ტორპედოზე“ თამაშისას კი უიმისობას არ ვუჩივი. ატმოსფეროც სულ სხვაგვარია. ჩვენებურ გულშემატკივართა მხარდაჭერა ფსიქოლოგიურად უკეთ განმაწყობს. სხვა მიზეზი გამორიცხულია. პატარა აღარ ვარ, ვთქვათ, შიში რომ მქონდეს რამის, გამოცდილება საკმაოდ დამიგროვდა. ბოლოს და ბოლოს რუსეთის სტადიონებზე მითამაშია.

**— იშვიათია რუსეთიდან მობრუნებული ფეხბურთელი ჩვენში ისევ გამორჩეული ყოფილიყო. ასეთი ნაბიჯი იოლი გადასადგმელიც არ არის — უკუსვლაა.**

— მართალია, მაგრამ ახლა ვაკვირდები და ვგრძნობ, საქართველოში დაბრუნება რომ გადავწყვიტე, მთლად არ შევმცდარვარ. ისეთ გუნდში დავბრუნდი, ჩემპიონობა რომ სურდა და პირველ ორ წელიწადს კი არ გამოვიდა ეს, მაგრამ წლეულს შევძელით.

**— რუსეთიდან დავით ჯანაშიასთან ერთად დაბრუნდით, მოგვიანებით ექსჟემჩუჟინელი გიორგი გოგიაშვილიც შემოგიერთდათ.**

— ჩვენ „ჟემჩუჟინას“ გარდა „სამტრედიაშიც“ თანაგუნდელები ვიყავით. ჩვენ და კიდევ გია ჭანტურია. ოთხივენი ახლოს ვიყავით ხუთი წლის წინ ჩემპიონობასთან, მაგრამ მხოლოდ ახლა შევძელით „დინამოს“ დამარცხება. ეს იმათ მაგივრადაც გავაკეთეთ, ვისთან ერთადაც მაშინ მხოლოდ ვერცხლის მედლებს დავჯერდით. წლეულს ათი წლის მეფობის მერე მოვუგეთ „დინამოს“. „ტორპედო“ კარგ გუნდად ჩამოყალიბდა და პირველობაც ამან მოგვაპოვებინა, მაგრამ, ვფიქრობ, „სამტრედია“ არანაკლები გუნდი იყო და ჩემპიონობასაც უფრო იმსახურებდა.

**— ამბობენ, „ტორპედომ“ ჩემპიონობა პირველ ეტაპზე მოპოვებული უპირატესობით დაიბევაო.**

— ასეთ აზრს ვერ დავეთანხმები. პირველი ეტაპის ქულების განახევრების მერე „დინამოს“ მხოლოდ ერთი ქულით ვუსწრებდით. ერთი ქულა კი რა ისეთი სხვაობაა, ძლიერმა გუნდმა ვერ დაძლიოს. ჩვენ „დინამოს“ პრობლემები და ჩემპიონთან არწაგება დაგვეხმარა. პირველი ეტაპის მერე კი 4-5 გუნდი ერთნაირ პირობებში ვიყავით და რომ არ გვეყოჩაღა, ჩემპიონი ნებისმიერი სხვა შეიძლებოდა გამხდარიყო.

**— კონკურენტებიდან ვის უფრო აფასებდით?**

— მთავარ მეტოქედ თავიდან ბოლომდე „დინამო“ მიგვაჩნდა. სხვათაგან კი ახალგაზრდულ „ვიტ ჯორჯიას“ გამოვარჩევ. თასის ფინალში კარგად ითამაშა —ლოკომოტივმაც“.

**— ბოლო ტურში ვიტელებთან შინ ნათამაშევმა ფრემ დიდი მითქმამოთქმა გამოიწვია.**

— სეზონის ბოლოს თავი იჩინა გადაღლილობამ. ეს ჯერ კიდევ თასის ფინალში გამოჩნდა, ბოლოსწინა ტურის მატჩს, გორში 4:0 რომ მოვიგეთ, დიდი ძალა შევალიეთ. მაგრამ „დილა“ შეიძლება წლეულს არავისთვის იყო სერიოზული მეტოქე, ჩემპიონი რომ უნდა გახდე, იმ მატჩს ნახევარი ძალით ვერ ითამაშებ.

**— ბოროტი ენები ამბობენ, ჩემპიონობა მთლად სუფთად, ჩაწყობილი თამაშების გარეშე არ მოდისო.**

— მე პირადად წლეულს ასეთ მატჩში მონაწილეობა არ მიმიღია და ვერაფერს ვიტყვი. მაგრამ ერთი მაინც შემიძლია ვთქვა, თუ ჩემპიონობა გსურს, სამტრედიაში, ბოლნისსა და გორში უამისოდაც უნდა მოიგო. ჩაწყობილი მატჩები რომ ეთამაშა „ტორპედოს“, ბათუმში ან ფოთში კი არ დამარცხდებოდა.

**— ახალ სეზონში რას აპირებთ, წინ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი და კიდევ ახალი ჩემპიონატია.**

— ევროპაში თავი არ უნდა შევირცხვინოთ. პირველი ეტაპი ულაპარაკოდ უნდა გავიაროთ, მეორეზე კი მეტოქეს გააჩნია. ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ერთი, რაც უდავოა, უფრო სერიოზული მეტოქე იქნება და თამაშებიც უფრო სერიოზული გველოდება, თუმც აგდებით არც პირველ მეტოქეს უნდა მოვეკიდოთ.

**— ახლა ეროვნული გუნდის შეკრებაზე აზერბაიჯანთან და ესტონეთთან სათამაშოდ ემზადები. „ტორპედოს“ ლიდერობამ ნაკრებშიც გაგიხსნა გზა.**

— „ტორპედოს“ თავკაცი დავით ყიფიანი რევაზ ძოძუაშვილთან ერთად ნაკრების მთავარი მწვრთნელია. ის ხედავდა ჩემს შესაძლებლობებს და ეროვნულ გუნდში მოხვედრაში ამანაც შემიწყო ხელი. ყველა ამხანაგური მატჩისწინა შეკრებაზე ვიყავი, მაგრამ თამაშმა მხოლოდ სომხეთთან ერთ ტაიმს მომიწია. ნორმალურად ვითამაშე, თუმცა უკეთაც შეიძლებოდა — გატანის შანსი ვერ გამოვიყენე. ვეცდები ნაკრების თავკაცთა ნდობა მომავალშიც გავამართლო. ამით ქუთაისსაც ვასახელებ და საქართველოსაც გავახარებ.

**— წარმატებებს გისურვებთ!**

— გმადლობთ.

ვახტანგ გზირაძე



ბადრი ქართლელიშვილის ფოტო

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა ზურაბ იონანიძემ (№14) სომხეთთან ამხანაგურ მატჩში მეორე ტაიმი ითამაშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძველი დიდების ახალი მაძიებელი

## შოტლანდიელები ამბობენ, ჩვენს ფეხბურთში ყოველწლიურად ოთხი მნიშვნელოვანი რამ ხდება — ჩემპიონატი, ასოციაციის და ლიგის თასების გათამაშება და... „სელტიკში“ ახალი მწვრთნელის მოსვლაო

**ყველაფერი** თებერვალში დაიწყო. სახელოვანი „სელტიკი“ შოტლანდიის თასის მეთექვსმეტედფინალში „ინვერნეს კალედონიან თისთლს“ შეხვდა, გუნდს, რომლის სახელიც თავად სქოთებისთვისაც ბევრს არაფერს ნიშნავს. თამაში სენსაციური შედეგით დასრულდა — „სელტიკმა“ 1:3 წააგო და მწვრთნელ ჯონ ბარნსს დაემშვიდობა. გუნდი დროებით „სელტიკის“ დირექტორმა, კენი დალგლიშმა ჩაიბარა, ხოლო პრეზიდენტი ახლის ძებნას შეუდგა.

კანდიდატურები იყო. ერთხანს ბეტისელ გუს ჰიდინკზეც ბჭობდნენ, თუმცა საბოლოოდ არჩევანი მარტინ ონილზე შეჩერდა. ხუთშაბათს დილით კლუბმა განაცხადა, ხუთ საათზე პრესკონფერენციას მოვაწყობთ და გადაწყვეტილებასაც მოგახსენებთო. ხუთშაბათსავე დილით მარტინ ონილი „ლესტერის“ ხელმძღვანელობას შეხვდა და მერე გლაზგოში გადაფრინდა. პრესკონფერენციის დროს კლუბის ოფისის წინ 1200 ქომაგი შეკრებილიყო. ისინი იქ ახალი ამბების დაუყოვნებლივ შეტყობის სურვილს მიეყვანა. დარბაზიდან ხმა გამოვიდა, ახალი მწვრთნელი „სელტიკს“ ძველი დიდების დაბრუნებას ჰპირდებაო. ქუჩაში მყოფი ხალხი ფრიად კმაყოფილი დარჩა. შიგნით კი...

პრეზიდენტმა ალან მაკდონალდმა განაცხადა: „დიდი კმაყოფილებით გამცნობთ, რომ მარტინ ონილი „სელტიკის“ ახალი მწვრთნელია. ვთვლი, ეს არჩევანი კლუბისთვის საუკეთესოა“. პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ონილის კონტრაქტი სამწლიანია, ხოლო ანაზღაურებაზე საუბრისგან პრეზიდენტმა თავი შეიკავა. მერე მწვრთნელის ჯერიც დადგა: „ლესტერში“ მუშაობისას რამდენიმე დიდი კლუბისგან მეტად მიმზიდველი წინადადება მივიღე, რაზეც უარი განვაცხადე. „სელტიკში“ გადმოსვლით კი ბედნიერი ვარ. ბავშვობიდან ამ კლუბს ვქომაგობ. აბა, ბელფასტში მცხოვრებელი პატარა ბიჭი როგორ წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე „სელტიკს“ ჩავიბარებდი. მახსოვს, მამაჩემი მეუბნებოდა, „სელტიკის“ მწვრთნელობა თუ შემოგთავაზეს, არ დაფიქრდე, ფეხითაც რომ მოგიწიოს „პარკჰედამდე“ ჩასვლა, აუცილებლად დათანხმდიო. ჰოდა, მეც მამის დარიგებას ვასრულებ. მიზნები? ისეთი წარსულის და პოტენციალის მქონე გუნდს, როგორიც „სელტიკია“, ძალუძს, კვლავაც გახდეს პირველი ევროპაში. ჩემი ოცნება და მიზანიც ეს გახლავთ“.

მწვრთნელის სურვილს წუნს ვერ დასდებთ, საკითხავი ისაა, შეძლებს მის შესრულებას? 1967 წელს „სელტიკმა“ ჩემპიონთა თასი მოიგო. მაშინ გუნდს ჯოკ სტინი წვრთნიდა, კაცი,



**მარტინ ონილი**

დაიბადა 1952 წლის 1 მარტს კილრიაში, ჩრდილოეთ ირლანდია

| საფეხბურთო კარიერა | სამწვრთნელო კარიერა |
|---|---|
| 1971: „დისტილერი“ (ირლანდია) | 1987-89: „გრენთემი“ (ინგლისის არაპროფესიული ლიგა) |
| 1971-80: „ნოტინგემ ფორესტი“. 264 მატჩი, 48 გოლი; | 1989-90: „შეფშედი“ (ინგლისის არაპროფესიული ლიგა) |
| 1980-81: „ნორვიჩ სიტი“. 11 მატჩი, 1 გოლი | 1990-95: „უიკომბი“ (ინგლისის მეოთხე დივიზიონი) |
| 1981: „მანჩესტერ სიტი“. 12 მატჩი | 1995: „ნორვიჩ სიტი“ (ინგლისის პირველი დივიზიონი) |
| 1981-82: „ნორვიჩ სიტი“. 54 მატჩი, 11 გოლი | 1995 დეკემბერი: „ლესტერი“ |
| 1983-84: „ნოთს ქაუნთი“. 63 მატჩი, 5 გოლი | |

| მიღწევები: | მიღწევები: |
|---|---|
| 1971: ირლანდიის თასი | 1991: ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი |
| 1978: ინგლისის ჩემპიონი, ინგლისის ლიგის თასი | 1993: ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი, IV დივიზიონის ჩემპიონი |
| 1979: ინგლისის ლიგის თასი, ევროპის ჩემპიონთა თასი | 1996: „ლესტერი“ გადაყავს პრემიერლიგაში |
| 1980: ევროპის ჩემპიონთა თასი | 1997: ინგლისის ლიგის თასი |
| | 1999: ლიგის თასის ფინალისტი |
| | 2000: ინგლისის ლიგის თასი |

**სანაკრებო კარიერა:**

64 მატჩი ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებში (მეექვსე შედეგი). დებიუტი ჰქონდა 1972 წელს, შეცვლაზე ითამაშა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ბოლო სანაკრებო მატჩი — 1985 წელს ფინეთის წინააღმდეგ. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩაატარა 5 შეხვედრა. იყო ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების კაპიტანი

რომელიც თხუთმეტი წლის წინ სტადიონზე, მატჩის დროს გარდაიცვალა გულის შეტევით. მას მერე გლაზგოელებმა მრავალი თავკაცი შეცვალეს, მარტინ ონილი ბოლო ცხრა წლის მანძილზე კლუბის მეშვიდე მწვრთნელია, ევროგამარჯვებები კი არა და არ ჩანდა. თუმცა ამას ვინლა ჩივის — „სელტიკს“ შოტლანდიის ჩემპიონობაც სანატრელი გაუხდა. 1989 წლის მერე „რეინჯერსმა“ მარადიული ჩემპიონის სახელი დაიგდო, ხოლო „სელტიკმა“ მხოლოდ ერთხელ — 1998 წელს იზეიმა პირველობა, შვიდჯერ კი მეორეობასაც ვერ შესწვდა. მაშინ „სელტიკი“ ჰოლანდიელმა ვიმ იანსენმა გააჩემპიონა. მერე მას კონფლიქტი მოუვიდა კლუბის მფლობელ ფერგიუს მაკკანთან და წავიდა. ის სლოვაკმა იოზეფ ვენგლოშმა, თუმცა სასურველი შედეგს ვერ მიაღწია და კლუბმა ჯონ ბარნსი მიიწვია, მარტინ ონილის წინამორბედი.

გაჭიანურებული ჩავარდნის მიუხედავად, „სელტიკს“ საამაყოდ ერთი რამ მაინც აქვს — ახლახან დასრულებული სეზონის წინ 53 ათასი აბონემენტი გაყიდა — ევროპაში ამაზე მეტი ვერავინ შეძლო.

**გიორგი დარჯანია**

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** პრემიერლიგიდან გავარდნილ „უიმბლდონს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — ტერი ბარტონი. კლუბის ხელმძღვანელობამ ეს ინფორმაცია ხუთშაბათს გამოაქვეყნა. 47 წლის სპეციალისტი „უიმბლდონის“ დროებით თავკაცად პრემიერლიგის დასრულებამდე ორი ტურით ადრე დაინიშნა, თუმცა გუნდი ქვედა ლიგაში დაქვეითებისგან ვერ იხსნა. მიუხედავად ამისა, იგი არ დაითხოვეს. „უიმბლდონის“ ყოფილი მწვრთნელი ჯო კინერი ბარტონის თანაშემწედ იმუშავებს.

**არგენტინელმა მცველმა რობერტო აიალამ შესაძლოა „მილანი“ დატოვოს და „რომაში“ ჩაირიცხოს. ფეხბურთელი მილანური გუნდის ძირითად შემადგენლობაში ბოლო ხანს ვეღარ ხვდებოდა, ამიტომ კლუბის გამოცვლას ცდილობს. „თამაში მინდა — განაცხადა აიალამ — თუ „მილანში“ აღარ დავრჩები, ჯობია, სადმე სხვაგან წავიდე. თუ „რომაში“ მიმიწვევენ, დავთანხმდები, ჩემთვის მთავარია, გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოვხვდე“. იტალიური სააგენტოები იუწყებიან, რომ რომაული კლუბი რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის ყიდვას და დაცვის ხაზის გაძლიერებას აპირებს. გუშინ გაცნობეთ, რომ „რომამ“ მადრიდის „რეალის“ ვეტერან მცველ ფერნანდო იეროს დაადგა თვალი.**

**იტალიური** „ფიორენტინა“ „ბარსელონას“ ფორვარდის დანის გადაბირებას ლამობს. ფლორენციული გუნდიდან არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა წავიდა, „ფიორენტინა“ კი მის შემცვლელს ეძებს. აპენინური პრესა იუწყება, რომ დანის შეძენის სურვილი გუნდის ახალმა მწვრთნელმა ფატიჰ თერიმმა გამოთქვა. „დანი ჩინებული ფორვარდია — ამბობს „ფიორენტინას“ დირექტორი და წარსულში იტალიის ნაკრების ფეხბურთელი ჯანკარლო ანტონიონი — მისი ყიდვა მართლაც გადავწყვიტეთ, თუმცა კონკრეტულად ჯერ არაფერზე შევთანხმებულვართ“. დანის გარდა ფლორენციელები კიდევ რამდენიმე ძლიერ ფორვარდს აკვირდებიან. მათ შორის არიან მარიო ჟარდელი და დავიდ ტრეზეგე.

**გერმანიის ჩემპიონმა მიუნხენის „ბაიერნმა“ შესაძლოა „გალათასარაის“ ფორვარდი ჰაქან შუქური შეიძინოს. პრესის ინფორმაციით, მიუნხენელები უეფას თასის მფლობელებს 8 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. „ბაიერნის“ თავკაცი ოტმარ ჰიცფელდი აცხადებს: „შუქური სასურველ ფეხბურთელთა სიაშია, შესაძლოა იგი მართლაც შევიძინოთ“. „ბაიერნს“ ახალი სეზონიდან სავარაუდოდ დორტმუნდის „ბორუსიას“ მცველი კრისტიან ვიორნსი შეუერთდება, ეს უკანასკნელი კლუბის გამოცვლას აპირებს.**

**ნიგერიელი** ფორვარდი ემანუელ ამუნიკე „მიუნხენ 1860“-თან მოლაპარაკებებს აწარმოებს. მალე, ალბათ, იგი „ბარსელონას“ დატოვებს და ბუნდესლიგას მიაშურებს. ნიგერიელი კატალონიური გრანდის ძირითად შემადგენლობაში უკვე კარგა ხანია, ვერ ხვდება. მას ტრავმა ჰქონდა, ცოტა ხნის წინ კი მოედანს დაუბრუნდა და ახლა ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს. ნიგერიელს შეძენის სურვილი მიუნხენელთა თავკაცმა ვერნერ ლორანტმა ცოტა ხნის წინ ოფიციალურად გამოთქვა.

**კამერუნელი მცველი რიგობერტ სონგი სავარაუდოდ „ლევერკუზენში“ ჩაირიცხება. გერმანელები „ლივერპულს“ ფეხბურთელის სანაცვლოდ 3,5 მილიონ გირვანქას უხდიან. სონგის ყიდვა ახლახან გლაზგოს „სელტიკმა“, პსჟ-მ და „ოლიმპიკმაც“ მოინდომეს, მაგრამ კამერუნელმა განაცხადა, „ლივერპულში“ ბედნიერი ვარ და კლუბის გამოცვლაზე სერიოზულად არც კი ვფიქრობო. სონგი „ლივერპულში“ შარშან იტალიური „სალერნიტანადან“ 2,7 მილიონ გირვანქად გადავიდა.**

**გერმანელ** ფორვარდ ჰაიკო ჰერლიხს „სტრასბური“ იწვევს. არ არის გამორიცხული, 28 წლის ფეხბურთელმა დორტმუნდის „ბორუსია“ დატოვოს და საფრანგეთს მიაშუროს. ამას წინათ ჰერლიხს თურქულ „ტრაბზონსპორთან“ მოლაპარაკება ჩაეშალა. „სტრასბურსა“ და „ბორუსიას“ სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით არ გაუმხელიათ.

**არგენტინელი ფრანსისკო ფერარო „ვალიადოლიდის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მან გრეგორიო მანსანო შეცვალა. გრეგორიოს გათავისუფლება მოულოდნელი გახლდათ — „ვალიადოლიდის“ აწ უკვე ყოფილმა თავკაცმა ხომ გუნდს ინტერტოტოს თასის საგზური მოაპოვებინა. ფერაროს, მეტსახელად „პანჩოს“, მანამდე „ესტუდიანტესში“ უმუშავია. იგი ახალ კლუბს მალე ჩაუდგება სათავეში და ევროტურნირისთვის მოამზადებს.**

**ფრანგი** ნახევარმცველი ემანუელ პეტი აცხადებს, რომ „არსენალში“ გაისადაც დარჩება. „ლონდონურ კლუბთან კონტრაქტი სამი წლის შემდეგ მისრულდება — ამბობს პეტი — ჯერჯერობით არსად წასვლას არ ვაპირებ, თუმცა თუ ვინმე მიმიწვევს, მის წინადადებაზე დავფიქრდები. ახლა კი მთელ ყურადღებას ევროპის ჩემპიონატზე ვამახვილებ“. პეტი „არსენალში“ 1997 წელს „მონაკოდან“ მივიდა.

**ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ედგარ დავიდსმა მცირე ტრავმა მოიშუშა, ვარჯიში განაახლა და მომავალი ევროპის ჩემპიონატისათვის სრულ მზადყოფნაშია. ეს ინფორმაცია გუშინ ჰოლანდიურმა სააგენტო ფტზ-მ გაავრცელა. მართალია, დავიდსი გამოჯანმრთელდა, მაგრამ კვირას პოლონეთის ნაკრების წინააღმდეგ დაგეგმილ ამხანაგურ შეხვედრაში ალბათ ვერ ითამაშებს, ევრო 2000-ის სადებიუტო მატჩში კი ჩეხების წინააღმდეგ, სავარაუდოდ, პირველივე წუთებიდან გამოჩნდება მინდორზე.**

**ფრანგ** ნახევარმცველ იური ჯორკაეფს „კაიზერსლაუტერნიდან“ წასვლა სურს. მისთვის ყველაზე კარგი ალტერნატივა მიუნხენის „ბაიერნში“ გადასვლაა. „წლეულს „კაიზერში“ ჩატარებული სეზონით კმაყოფილი ვარ — განუცხადა ჯორკაეფმა პოპულარულ გერმანულ ჟურნალ „კიკერს“ — მაგრამ დიდ ქალაქში და კლუბში დაბრუნება მირჩევნია, ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობაც მსურს. მიუნხენის „ბაერნიდან“ მივიღე წინადადება, ვფიქრობ, ნახევარდაცვის ხაზში შტეფან ეფენბერგს კარგად შევეწყობი.“ შეგახსენებთ, რომ ჯორკაეფი „კაიზერში“ შარშან მილანის „ინტერიდან“ გადავიდა. „კაიზერსლაუტერნის“ თავმჯდომარემ იურგენ ფრიდრიხმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ 32 წლის ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი 2002 წლამდე აკავშირებს და მას ჯერჯერობით არსად გაუშვებენ. ფრანგმა ნახევარმცველმა იგივე „კიკერს“ განუცხადა, მოსალოდნელია, ოტო რეჰაგელმა მომავალი სეზონიდან „კაიზერსლაუტერნს“ აღარ უხელმძღვანელოსო.


სიახლე!

პირველად საქართველოში!

რადიო „ევრიკა“ გთავაზობთ
პროექტს „ევრო 2000“

RADIO EVRIKA 100.3 FM
ყახლენი ჰოყუბიხ ცალლა

*გადაცემაში „ევრო 2000“ თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:*

- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- გასული თამაშის მიმოხილვა
- საუბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის ბოლოს მიიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.



ქირავდება

ერთოთახიანი, იზოლირებული,
კეთილმოწყობილი ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე

☎ 93 15 72



## თურქეთი ევრო 2000-ზე

| # | მოთამაშე | კლუბი |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. | რუშთუ რექბერი | ფენერბაჰჩე |
| 12. | ომერ ჩატკიჭი | გაზიანთეფსფორი |
| 21. | ფევზი თუნჭაი | ბეშიქთაში |
| **მცველები** | | |
| 3. | ოგიუნ თემიზქანოღლუ | ფენერბაჰჩე |
| 4. | ფათიჰ აკიელი | გალათასარაი |
| 5. | ალფაი ოზალანი | ფენერბაჰჩე |
| 13. | ოსმან ოზქოილუ | ტრაბზონსფორი |
| 20. | ჰაქან უნსალი | გალათასარაი |
| **ნახევარმცველები** | | |
| 2. | ტაიფურ ჰავუტჯუ | ბეშიქთაში |
| 7. | ოკან ბურუქი | გალათასარაი |
| 8. | თუგაი ქერიმოღლუ | გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია |
| 10. | სერგენ იალჩინი | გალათასარაი |
| 11. | ტაიფუნ კორკუტი | სოსიედადი, ესპანეთი |
| 14. | სუათ კაია | გალათასარაი |
| 15. | მუსტაფა „მაზი“ იზეტი | ლესტერ სიტი, ინგლისი |
| 16. | ერგუნ პენბე | გალათასარაი |
| 18. | აიჰან აქმანი | ბეშიქთაში |
| 19. | აბდულა ერკანი | ფენერბაჰჩე |
| 22. | დავალა უმითი | გალათასარაი |
| **თავდამსხმელები** | | |
| 6. | არიფ ერდემი | გალათასარაი |
| 9. | ჰაქან შუქური | გალათასარაი |
| 17. | ოქთაი დერელიოღლუ | გაზიანთეფსფორი |

## ბელგია ევრო 2000-ზე

| # | მოთამაშე | კლუბი |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. | ფილიპ დე ვილდე | ანდერლეხტი |
| 12. | გერტ დე ვლიგერი | ტილბურგი, ჰოლანდია |
| 13. | ფრედერიკ ერპოელი | გენტი |
| **მცველები** | | |
| 2. | ერიკ დეფლანდრე | ბრიუგე |
| 3. | იოს ვალგაერენი | როდა, ჰოლანდია |
| 4. | ლორენცო სტალენსი | ანდერლეხტი |
| 15. | ჟეკი პეეტერსი | არმინია, გერმანია |
| 17. | ფილიპ ლეონარი | მონაკო, საფრანგეთი |
| 18. | ნიკო ვან კერკჰოვენი | შალკე, გერმანია |
| 19. | ერიკ ვან მეირი | ლიერსი |
| **ნახევარმცველები** | | |
| 5. | ფილიპ კლემენტი | ბრიუგე |
| 6. | ივს ვანდერჰეიგი | ანდერლეხტი |
| 7. | მარკ ვილმოტსი | შალკე, გერმანია |
| 8. | ბარტ გოორი | ანდერლეხტი |
| 11. | გერტ ვერჰეინი | ბრიუგე |
| 14. | იოჰან ვალემი | პარმა, იტალია |
| 21. | მბო მპენზა | სპორტინგი, პორტუგალია |
| 22. | მარკ ჰენდრიქსი | გენკი |
| **თავდამსხმელები** | | |
| 9. | ემილ მპენზა | შალკე, გერმანია |
| 10. | ბრანკო შტრუპარი | დერბი ქაუნთი, ინგლისი |
| 16. | ლუკ ნილისი | პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია |
| 20. | ჟილ დე ბილდე | შეფილდ უენსდი, ინგლისი |

## ჩეხეთი ევრო 2000-ზე

| # | მოთამაშე | კლუბი |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. | პაველ სრნიჩეკი | შეფილდ უენსდი, ინგლისი |
| 16. | ლადისლავ მაიერი | რაპიდი, ავსტრია |
| 22. | იარომირ ბლაჟეკი | სპარტა |
| **მცველები** | | |
| 2. | ტომაშ რეპკა | ფიორენტინა, იტალია |
| 5. | მილან ფუკალი | სპარტა |
| 6. | პეტრ ვლჩეკი | სლავია |
| 18. | ირჟი ნოვოტნი | სპარტა |
| 19. | კარელ რადა | სლავია |
| 21. | პეტრ გაბრიელი | სპარტა |
| **ნახევარმცველები** | | |
| 3. | რადოსლავ ლატალი | შალკე, გერმანია |
| 4. | პაველ ნედვედი | ლაციო, იტალია |
| 7. | ირჟი ნემეცი | შალკე, გერმანია |
| 8. | კარელ პობორსკი | ბენფიკა, პორტუგალია |
| 11. | ტომაშ როსიცკი | სპარტა |
| 13. | რადეკ ბეიბლი | ატლეტიკო, ესპანეთი |
| 14. | პაველ ჰორვატი | სლავია |
| 15. | მარეკ იანკულოვსკი | ბანიკი |
| 20. | პატრიკ ბერგერი | ლივერპული, ინგლისი |
| **თავდამსხმელები** | | |
| 9. | პაველ კუკა | შტუტგარტი, გერმანია |
| 10. | იან კოლერი | ანდერლეხტი, ბელგია |
| 12. | ვრატისლავ ლოკვენცი | სპარტა |
| 17. | ვლადიმირ შმიცერი | ლივერპული, ინგლისი |

## საფრანგეთი ევრო 2000-ზე

| # | მოთამაშე | კლუბი |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. | ბერნარ ლამა | პარი სენ ჟერმენი |
| 16. | ფაბიენ ბარტეზი | მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი |
| 22. | ულრიხ რამე | ბორდო |
| **მცველები** | | |
| 2. | ვინსენ კანდელა | რომა, იტალია |
| 3. | ბიქსენტ ლიზარაზუ | ბაიერნი, გერმანია |
| 5. | ლორან ბლანი | ინტერი, იტალია |
| 8. | მარსელ დესაი | ჩელსი, ინგლისი |
| 15. | ლილიან ტურამი | პარმა, იტალია |
| 18. | ფრანკ ლებეფი | ჩელსი, ინგლისი |
| **ნახევარმცველები** | | |
| 4. | პატრიკ ვიეირა | არსენალი, ინგლისი |
| 6. | იური ჯორკაეფი | კაიზერსლაუტერნი, გერმანია |
| 7. | დიდიე დეშამპი | იუვენტუსი, იტალია |
| 10. | ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი, იტალია |
| 11. | რობერ პირესი | ოლიმპიკი, მარსელი |
| 14. | იოან მიკუ | ბორდო |
| 17. | ემანუელ პეტი | არსენალი, ინგლისი |
| 19. | კრისტიან კარემბუ | რეალი, ესპანეთი |
| **თავდამსხმელები** | | |
| 9. | ნიკოლა ანელკა | რეალი, ესპანეთი |
| 12. | ტიერი ანრი | არსენალი, ინგლისი |
| 13. | სილვენ ვილტორდი | ბორდო |
| 20. | დავიდ ტრეზეგე | მონაკო |
| 21. | კრისტოფ დიუგარი | ბორდო |

## ჰოლანდია ევრო 2000-ზე

| # | მოთამაშე | კლუბი |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. | ედვინ ვან დერ სარი | იუვენტუსი, იტალია |
| 18. | ედ დე გუი | ჩელსი, ინგლისი |
| 22. | სანდერ ვესტერველდი | ლივერპული, ინგლისი |
| **მცველები** | | |
| 2. | მიხაელ რაიციგერი | ბარსელონა, ესპანეთი |
| 3. | იაპ სტამი | მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი |
| 4. | ფრანკ დე ბური | ბარსელონა, ესპანეთი |
| 13. | ბერტ კონტერმანი | ფეიენოორდი |
| 19. | არტურ ნუმანი | გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია |
| **ნახევარმცველები** | | |
| 6. | კლარენს ზეედორფი | ინტერი, იტალია |
| 7. | ფილიპ კოკუ | ბარსელონა, ესპანეთი |
| 8. | ედგარ დავიდსი | იუვენტუსი, იტალია |
| 12. | ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი | რეინჯერსი, შოტლანდია |
| 15. | პოლ ბოსველტი | ფეიენოორდი |
| 16. | რონალდ დე ბური | ბარსელონა, ესპანეთი |
| 20. | არონ ვინტერი | აიაქსი |
| **თავდამსხმელები** | | |
| 5. | ბუდევინ ზენდენი | ბარსელონა, ესპანეთი |
| 9. | პატრიკ კლუივერტი | ბარსელონა, ესპანეთი |
| 10. | დენის ბერხკამპი | არსენალი, ინგლისი |
| 11. | მარკ ოვერმარსი | არსენალი, ინგლისი |
| 14. | პეტერ ვან ფოსენი | ფეიენოორდი |
| 17. | პიერ ვან ჰოიდონკი | ვიტესი |
| 21. | როი მაკაი | დეპორტივო, ესპანეთი |

## იუგოსლავია ევრო 2000-ზე

| # | მოთამაშე | კლუბი |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| 1. | ალექსანდრ კოჩიჩი | ცრვენა ზვეზდა |
| 12. | ჟელკო კიკოვიჩი | ლას პალმასი, ესპანეთი |
| 22. | ივიცა კრალი | პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია |
| **მცველები** | | |
| 2. | ივან დუდიჩი | ცრვენა ზვეზდა |
| 3. | გორან ჯოროვიჩი | სელტა, ესპანეთი |
| 5. | მიროსლავ ჯუკიჩი | ვალენსია, ესპანეთი |
| 11. | სინიშა მიხაილოვიჩი | ლაციო, იტალია |
| 13. | სლობოდან კომლიენოვიჩი | კაიზერსლაუტერნი, გერმანია |
| 14. | ნიშა საველიჩი | ბორდო, საფრანგეთი |
| 15. | გორან ბუნიევჩევიჩი | ცრვენა ზვეზდა |
| 16. | დეიან გოვედარიცა | ვალვაიკი, ჰოლანდია |
| **ნახევარმცველები** | | |
| 4. | სლავიშა იოკანოვიჩი | დეპორტივო, ესპანეთი |
| 6. | დეიან სტანკოვიჩი | ლაციო, იტალია |
| 7. | ვლადიმირ იუგოვიჩი | ინტერი, იტალია |
| 10. | დრაგან სტოიკოვიჩი | ნაგოია გრამპუსი, იაპონია |
| 17. | ლუბინკო დრულოვიჩი | პორტუ, პორტუგალია |
| 19. | იოვან სტანკოვიჩი | მალიორკა, ესპანეთი |
| 21. | ალბერტ ნადი | ოვიედო, ესპანეთი |
| **თავდამსხმელები** | | |
| 8. | პრედრაგ მიატოვიჩი | ფიორენტინა, იტალია |
| 9. | სავო მილოშევიჩი | სარაგოსა, ესპანეთი |
| 18. | დარკო კოვაჩევიჩი | იუვენტუსი, იტალია |
| 20. | მატეა კეჟმანი | პარტიზანი |

# ევროპის მიღმა დარჩენილნი

ევროპის ჩემპიონატისთვის ნაკრებების წარდგენის ვადა ამოიწურა. ბელგია-ჰოლანდიაში წამსვლელი 352 ფეხბურთელის ვინაობა გაირკვა. აწ უკვე აღარაფერი შეიცვლება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. შემადგენლობებში ახალი ფეხბურთელის გამოჩენას უეფას სპეციალური ნებართვა უნდა ახლდეს, თუმცა საეჭვოა, ამგვარი რამ მოხდეს.

ევროპა სულ რამდენიმე დღეში გახურდება. მას თავისი გმირები და ანტიგმირებიც ეყოლება. იქამდე კი ყურადღებას ის მოთამაშეები იპყრობენ, ვინც ამა თუ იმ მიზეზების გამო საკუთარი ქვეყნის 22 საუკეთესოს შორის ვერ მოხვდა.

საფრანგეთს, პორტუგალიას, რუმინეთს, ბელგიასა და სლოვენიას არავინ გამოაკლდება. ყველა, ვისი ჩემპიონატზე წასვლაც მოსალოდნელი იყო, იქ იქნება. სხვებს კი... ჩეხთა უმთავრესი დანაკარგი ტრავმირებული იან სუხოპარეკი იქნება, დანიელებისა — ასევე დამტვრეული მორტენ ვიგჰორსტი. იმავე მიზეზით შინ დარჩებიან შვედი პონტუს კამარკი, იუგოსლავიელი ზორან მირკოვიჩი, უეფას თასის ფინალში დაშავებული თურქი ბიულენთ ქორქმაზი, ნორვეგიელი რონი იონსენი, ბრაზილიასთან ამხანაგურ შეხვედრაში ფეხნატკენი რეი პარლორი, კარგა ხანი ექიმების ხელში მყოფი ლუის ენრიკე მარტინესი, სულ ახლახან მერამდენედ დამტვრეული კრისტიან ვიერი და ინგლისელი ენდი კოული. ამას შტეფან ეფენბერგიც დავუმატოთ, რომელმაც ადრევე უარი თქვა ნაკრებში თამაშზე. სულ ბოლოს კი ასეთი ცნობა მოვიდა — ფრანკ რაიკარდმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის სამსახური არ ინდომა.

საოცარი ამბავია, ესპანეთის თასის ფინალის წინ ატლეტიკოელები რაიკარდს კარგა ხანს ეხვეწნენ, ჰასელბაინკის სანაკრებოდ გამოძახება რამდენიმე დღით გადადე, გუნდს სჭირდებაო. მწვრთნელმა დიდსულოვნება გამოიჩინა და დათანხმდა. აგერ ოთხშაბათს კი ჰოლანდიისა და შვეიცარიული „სერვეტის“ მატჩის დროს მეორე ტაიმში პატრიკ კლუივერტის ნაცვლად გასულმა ჰასელბაინკმა გოლიც გაიტანა, მაგრამ... ჰოლანდიელთა საბოლოო განაცხადში მისი გვარი სანთლითაც რომ ეძებო, ვერ იპოვი.

„გაოცებული ვარ — ამბობს ფეხბურთელი — რუუდ ვან ნისტელროოი დაშავებულია, პიერ ვან ჰოიდონკიც პირველ შეხვედრას სათადარიგოთა სკამზე შეხვდება, ნუთუ თავდამსხმელები არ უნდა გვყავდეს?“ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის კითხვას ფრანკ რაიკარდი ასე პასუხობს: „ჯიმი წმინდა თავდამსხმელია, მე კი ისეთი ხალხი მჭირდება, ვინც შეტევის გარდა ნახევარდაცვაშიც კარგად თამაშობს“.

აი, ერიხ რიბეკი კი საევროპოდ ტრავმირებულთა წაყვანასაც არ თაკილობს. ლოთარ მათეუსმა ესპანურ „მალიორკასთან“ მატჩი გამოტოვა, ნატკენ ფეხს მკურნალობს, მაგრამ უმათეუსოდ როგორ წავალთო, უთქვამს რიბეკს.

### დანია

თასის ფინალი

ოლბორგი 0:1 ვიბორგი

0:1 ეკლუნდი (8)

### შვედეთი

თასის ფინალი

საპასუხო მატჩი

იორგრიტე 0:1 აიკ (2:0)

0:1 მატიასონი (85)

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80



# იტალია ევრო 2000-ზე

**მეკარეები**

1. ჯანლუიჯი ბუფონი ........ პარმა
12. ფრანჩესკო ტოლდო ........ ფიორენტინა
22. ფრანჩესკო ანტონიოლი ........ რომა

**მცველები**

2. ჩირო ფერარა ........ იუვენტუსი
3. პაოლო მალდინი ........ მილანი
5. ფაბიო კანავარო ........ პარმა
6. პაოლო ნეგრო ........ ლაციო
13. ალესანდრო ნესტა ........ ლაციო
15. მარკ იულიანო ........ იუვენტუსი

**ნახევარმცველები**

4. დემეტრიო ალბერტინი ........ მილანი
7. ანჯელო დი ლივიო ........ ფიორენტინა
8. ანტონიო კონტე ........ იუვენტუსი
11. ჯანლუკა პესოტო ........ იუვენტუსი
14. ლუიჯი დი ბიაჯო ........ ინტერი
16. მასიმო ამბროზინი ........ მილანი
17. ჯანლუკა ძამბროტა ........ იუვენტუსი
18. სტეფანო ფიორე ........ უდინეზე

**თავდამსხმელები**

9. ფილიპო ინძაგი ........ იუვენტუსი
10. ალესანდრო დელ პიერო ........ იუვენტუსი
19. ვინჩენცო მონტელა ........ რომა
20. ფრანჩესკო ტოტი ........ რომა
21. მარკო დელვეკიო ........ რომა

## Copa Toyota Libertadores '2000

**ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები**

### კორინთიანსი (ბრაზილია) 4:3 პალმეირასი (ბრაზილია)

1:0 რიკარდინიო (15), 1:1 ჟუნიორი (39), 2:1 მარსელინიო კარიოკა (45), 3:1 ედილსონი (55), 3:2 ალექსი (75), 3:3 ეულერი (82), 4:3 ვამპეტა (90)
კორინთიანსი: დიდა, დანიელი (ინდიო 80), ფაბიო ლუსიანო, ადილსონი, კლებერი (და სილვა 85), ვამპეტა, ედუ, რიკარდინიო, მარსელინიო კარიოკა, ედილსონი, ლუიზაო (დინეი 89)
მწვრთნელი: ოსვალდო დე ოლივეირა
პალმეირასი: მარკოსი, ნენემი, არჟელი, როკე ჟუნიორი, ჟუნიორი, სეზარ სამპაიო, როჟერიო (მარსელო რამოსი 62), გალეანო, ალექსი, ეულერი, პენა
მწვრთნელი: ლუის ფელიპე სკოლარი
გაფრთხილება: დანიელი, ადილსონი, მარსელო რამოსი, ლუიზაო, და სილვა
მსაჯი: ედილსონ პერეირა (ბრაზილია)

### ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 4:1 ამერიკა (მექსიკა)

1:0 არუაბარენა (9), 2:0 ბარიხო (11), 3:0 მარკანტი (21), 4:0 ბარიხო (51), 4:1 სილვა (73)
ბოკა ხუნიორსი: კორდობა, იბარა, ბერმუდესი, სამუელი, არუაბარენა, მარკანტი, ტრავერსო (ბატალია 46), რიკელმე, გუსტავო ბაროს შელოტო, დელგადო, ბარიხო (პალერმო 61)
მწვრთნელი: კარლოს ბიანკი
ამერიკა: მარტინესი, სალგადო, დავინო, ლარა, კალდერონი, დე ფარია (ვილა 46), პარდო, სანჩესი (სანტიბანესი 66), სილვა, ლუნა, ესტაი
მწვრთნელი: ალფრედო ტენა
გაფრთხილება: ბაროს შელოტო, ბარიხო, ლარა, სილვა, სანტიბანესი
მსაჯი: მარიო სანჩესი (ჩილე)

ლიბერტადორესის თასის მეოთხედფინალური მატჩების მერე ვწერდით, მექსიკურმა „ამერიკამ" ბოლივიელებს კი სძლია, მაგრამ ნახევარფინალში ურთულესი გამოცდა ელისო. აი, ეს გამოცდაც შედგა და მექსიკელებმა ორიანი მიიღეს — „ბოკა ხუნიორსმა" ისინი გაანადგურა.

მე-9 წუთზე ბარიხოს პასით არუაბარენამ იხეირა და სტუმართა ტანჯვაც დაიწყო. სამიოდ წუთში არგენტინელებმა მეორეც გაიტანეს — ამჯერად თავად ბარიხომ. 21-ე წუთზე დელგადომ მარკანტის ჩინებული ასისტენტობა გაუწია და ესეც 3:0. მეორე ტაიმში ბარიხომ თავის მონაგარს ერთიც მიუმატა და სხვაობა ოთხამდე გაზარდა. მექსიკელებმა „ბოკას" გოლთცვენას მხოლოდ ანდრეს და სილვას გოლით უპასუხეს, მაგრამ სანუგეშო ცოტა რამ აქვთ. მეტად საეჭვოა, მათ საპასუხო მატჩში ბუენოსაირესელებს სათანადო პასუხი გასცენ. ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი ფინალისტი არგენტინული „ბოკა ხუნიორსი" იქნება. მეორე? „კორინთიანსი" — „პალმეირასის" მატჩი უხვგოლიანი გამოდგა. სულ 7 გოლი გავიდა, მასპინძლებმა კი ერთით მეტი გაიტანეს. ამ წყვილში ჯერაც არაფერი გარკვეულა — „პალმეირასი" თასის ამჟამინდელი მფლობელია და დუბლისთვის იბრძვის.

## გაცვლიან რივალდოსა და ლოპესს?

იტალიურმა სააგენტოებმა სულ ახლახან ერთი საინტერესო ცნობა გაავრცელეს — რომის „ლაციო" თავის სახელგანთქმულ არგენტინელ ფორვარდ კლაუდიო ლოპესს „ბარსელონაში" უშვებს, მის სანაცვლოდ კი კატალონიელ გრანდს მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელს რივალდოს სთხოვს. გასაკვირია რომაული კლუბის გადაწყვეტილება. ლოპესს „ლაციოში" ჯერ ერთხელაც არ უთამაშია, იგი გუნდის ღირსებას მხოლოდ მომავალი სეზონიდან დაიცავს.

ლოპესმა წლეულს „ვალენსიაში" ჩინებული სეზონი ჩაატარა, მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში მოხვდა, მაგრამ მადრიდის „რეალთან" დამარცხდა. ესპანური მასმედია ბევრს საუბრობს იმაზე, რომ „ბარსელონას" მომავალ თავკაცად შესაძლოა „ვალენსიის" ამჟამინდელი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი დაინიშნოს. კატალონიური გრანდის მეთაურის პოსტი ამჟამად თავისუფალია. ალბათ, გახსოვთ, რომ ცოტა ხნის წინ ეს თანამდებობა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ლუის ვან გაალმა დატოვა.

თუ კუპერი „ბარსელონაში" მივა, სავსებით შესაძლებელია, იქ რამდენიმე ვალენსიელი ფეხბურთელი, მათ შორის კლაუდიო ლოპესიც ჩაიყვანოს, მით უმეტეს, თუ ეს არგენტინელის ახლანდელი კლუბის, „ლაციოს" სურვილიც იქნება.

თუმცა ჯერჯერობით ზუსტად, ალბათ, არავინ იცის, წავა თუ არა კუპერი „ბარსელონაში". ისიც უცნობია, რამდენად სერიოზულია „ლაციოს" წინადადება.

თავად რივალდომ სააგენტო „როიტერს" გუშინ განუცხადა: „თუ „ბარსელონას" სურს, რომ მათთან დავრჩე, ასეც მოვიქცევი. გუნდში სამი სეზონი გავატარე და „ბარსელონა" მიყვარს, დავიცდი, ვნახავ გუნდის ახალ პრეზიდენტად ვის დანიშნავენ."

მაგრამ რადგან ხმები გავრცელდა, ეგებ მათში სიმართლის მარცვალიც ერიოს. თუმცა სანამ „ბარსელონასა" და „ლაციოს" ხელმძღვანელები ამ საკითხზე კომენტარს გააკეთებენ (თუ საერთოდ გააკეთეს), უნდა მოვითმინოთ.

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. III ტური

### A ჯგუფი

#### ჩეხეთი 4:3 ხორვატია

0:1 სერიჩი (4), 1:1 ლ. დოშეკი (44), 2:1 ბაროში (54), 2:2 ტუდორი (57), 3:2 პეტროუსი (61), 4:2 სიონკო (80), 4:3 ტუდორი (85)
ჩეხეთი: დრობნი, ლ. დოშეკი (პოლაკი 89), პეტროუსი, გრიგერა, ლენგიელი, ტაისი, სიონკო (შიმაკი 90), იუფალუსი, ტ. დოშეკი, ბაროში (ბრაბეცი 66), ჰაინცი
მწვრთნელი: კარელ ბრუკნერი
ხორვატია: პლეტიკოშა, სერიჩი, ბისკანი, ტუდორი, ვრანიეში, შოკოტა, ლეკო, სიმიჩი (ბალაბანი 46), ვიშკოვიჩი, ბრაიკოვიჩი (ბანოვიჩი 63), საბოლსკი (მიკიჩი 72)
მწვრთნელი: ივან სუშაკი
გაფრთხილება: ვრანიეში, ბრაიკოვიჩი, ტ. დოშეკი, ტუდორი
მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)
2 500 მაყურებელი

#### ჰოლანდია 0:1 ესპანეთი

0:1 ანგულო (6)
ჰოლანდია: სეგერსი, ვან ბომელი, ბოუმა, ბროერსი (კნოპერი 46), დე იონგი, ვან დერ ლეეგტი, ლურლინგი, ნუივენბურგი (კუიტი 74), კამპუისი, სიკორა (მუსამპა 56), ვისგერჰოფი
მწვრთნელი: ჰანს ბერგერი
ესპანეთი: არანსუბია, ლაკრუსი (პუიოლი 72), კაპდევილა, ამაია, რუისი, ანგულო, ხავი, ალბელდა, ტამუდო, ველამასანი (იორდი 86), ლუკე მარტოსი (გაბრი 68)
მწვრთნელი: ხოსე იგნასიო საესი
გაფრთხილება: რუისი, კაპდევილა, ვან ბომელი, ბროერსი, ვან დერ ლეეგტი, მუსამპა, ხავი, დე იონგი, არანსუბია, ალბელდა
გაძევება: ანგულო (53)
მსაჯი: დიტერ შოხი (გერმანია)
792 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:5 | 7 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ხორვატია | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | 1 |

### B ჯგუფი

#### ინგლისი 0:2 სლოვაკეთი

0:1 ბაბნიჩი (67), 0:2 ნემეტი (74)
ინგლისი: ვიავერი, მილსი, იანგი, კარაგერი, ლამპარდი, კორტი, მერფი, პარლი (ჰენდრი 46), ჯეფერსი (ჩადვიკი 77), კინგი, დანი (კემპბელი 46)
მწვრთნელი: ჰოვარდ უილკინსონი
სლოვაკეთი: ჩენტოფალსკი, გრეშკო, პრნჩარი, გლინკა, ლერანტი, ნემეტი (სედლაკი 88), ზინეგი, ბარჩიკი (ვისკოჩი 89), ბაბნიჩი (სუპკა 90), ჩისოვსკი, პეტრასი
მწვრთნელი: დუშან რადოლსკი
გაფრთხილება: გლინკა, ჩენტოფალსკი
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
11 400 მაყურებელი

#### თურქეთი 1:3 იტალია

0:1 სპინეზი (14), 0:2 ბარონიო (36), 1:2 ს. აკინი (54), 1:3 ვენტოლა (83)
თურქეთი: კუჩუქი, ალი გიუნეში, ოზთურქი, ოზბეი, კავეკი, დიოქმე, დურსუნი, ბასტურკი (ნასი 46), ალბაირაქი (ს. აკინი 46), ბ. აკინი (კორპიუღლუ 81), ოზტონგა
მწვრთნელი: რაშიტ ჩეტინერი
იტალია: აბიატი, გრანდონი, ძანკი, გატუზო (პეროტა 46), კომანდინი (ვენტოლა 65), ბარონიო (ფირმანი 72), კოკო, ჩირილო, ვანუკი, ძანეტი, სპინეზი
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
გაფრთხილება: ოზთურქი, ბ. აკინი, დურსუნი
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
374 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| სლოვაკეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ინგლისი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:4 | 3 |
| თურქეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | 0 |

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

4 ივნისი
ესპანეთი — სლოვაკეთი

**ფინალი**

4 ივნისი
ჩეხეთი — იტალია

# ავსტრალიელები გაირკვნენ

ევროპის 21-წლამდელთა ნაკრებების ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს იტალია და ჩეხეთი დაუპირისპირდება. ორივე გუნდმა თავის ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და 4 ივნისს ტურნირის მთავარ მატჩში თამაშის უფლება მოიპოვა.

იტალიის ნაკრებმა მასპინძელ სლოვაკებს მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა. მეტოქეებმა 7-7 ქულა დააგროვეს, მაგრამ აპენინელებმა ბურთით მეტი გაიტანეს და ჯგუფში სლოვაკებზე წინ გავიდნენ. გადამწყვეტი გოლი იტალია-თურქეთის შეხვედრაში ნიკოლა ვენტოლამ შეაგდო. მან საფინალო სასტვენამდე 8 წუთით ადრე გამოიჩინა თავი და თავის ნაკრებს ფინალისკენ გაუხსნა გზა.

„სკუადრა ატურა" მე-14 წუთზე ჯონათან სპინეზიმ დააწინაურა — იგლი ვანუკის საგოლე გარღვევა მან ზუსტი თავური დარტყმით დააგვირგვინა. აღსანიშნავია, რომ ვანუკი დისკვალიფიცირებული ადრეა პირლოს ნაცვლად თამაშობდა და გამთამაშებლის ფუნქციაც იკისრა. პირლოს არყოფნა იტალიელთა ხელმძღვანელობას ძლიერ აღელვებდა, მაგრამ მისმა შემცვლელმა ნამდვილად იყოჩაღა.

35-ე წუთზე ვანუკიმ პენალტიც დაიმსახურა. იგი საჯარიმოში „სამსუნის" მცველმა გიუნგორ ოზთურქმა წააქცია, მსაჯმა კი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიანიშნა. გუნდის კაპიტანმა რობერტო ბარონიომ უშეცდომოდ დაარტყა — 2:0.

მეორე ტაიმში იტალიას ანგარიშის გაზრდა რამდენჯერმე შეეძლო, მაგრამ ვერ მოახერხა, სამაგიეროდ, თურქებმა იყოჩაღეს და 55-ე წუთზე სერანთ აკინმა ერთი ბურთი გაქვითა. იტალიელები გონს მოეგნენ და შეტევები გაამწვავეს, მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე კი ვენტოლამ ოზთურქი ჩინებულად ჩამოიშორა და მეკარე სულეიმან კუჩუქს ბურთი თავზე გადაუგდო. ამ გოლის წყალობით იტალია ფინალში გავიდა.

მასპინძელმა სლოვაკებმაც მოიგეს. მათ ინგლისელები დაამარცხეს, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. სლოვენია ფინალის მიღმა დარჩა და ახლა მესამე ადგილისთვის იბრძოლებს. ბრატისლავას სტადიონზე შეკრებილი 11 ათასი მაყურებელი, მოგების მიუხედავად, შინ გულდაწყვეტილი წავიდა.

— ნამდვილად მოვისუსტეთ და გამოგიტყდებით, მოგებას არ ვიმსახურებდით — განაცხადა სლოვაკებთან მატჩის შემდეგ ინგლისელთა ერთ-ერთმა ლიდერმა ფრანკ ლამპარდმა — სლოვაკებთან თამაში ყველაზე მეტად გაგვიჭირდა, ეს გუნდი წინა ორ მეტოქეზე ძლიერი იყო. ჩვენთვის უიღბლო საღამო გამოდგა. როგორც აღმოჩნდა, არც მასპინძლებს გაუმართლათ, ისინი ფინალის მიღმა დარჩნენ.

სლოვაკები ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ და ჩემპიონის ტიტულს ველარ მოიპოვებენ, მაგრამ ამ ადგილმა მათ სიდნეის ოლიმპიადის საგზური გაუნაღდა. მათ გარდა ოლიმპიურ თამაშებში ფინალისტები — ჩეხეთი და იტალია, აგრეთვე A ჯგუფის მეორეადგილოსანი ესპანეთი იასპარეზებენ. ტურნირის დაწყებამდე გადაწყდა, რომ ოლიმპიადაზე ოთხი საუკეთესო გუნდი უნდა გასულიყო. თუ საუკეთესო ოთხეულში ინგლისი მოხვდებოდა, მათ კუთვნილ საგზურს ჯგუფში მესამეადგილოსნები გაათამაშებდნენ, რადგან, როგორც ცნობილია, ინგლისის ნაკრები ოლიმპიადაზე არ მონაწილეობს, თუმცა მესამეადგილოსანთა პლეი ოფის ჩატარება საჭირო აღარ არის, ინგლისმა საუკეთესო ოთხ გუნდს შორის ვერ შეაღწია.

A ჯგუფის ბოლო ტურის შეხვედრებზეც ვთქვათ. როგორც მოგახსენეთ, ამ ჯგუფში ჩეხებმა იმარჯვეს, პირველ ადგილზე გავიდნენ და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. ხორვატებთან შეხვედრაში მათ მართლაც გაუჭირდათ, დაძაბულობამ ბოლო წუთამდე გასტანა, თუმცა საბოლოოდ ჩეხებმა 4:3 მოიგეს.

ფინალისტთა თავკაცმა კარელ ბრუკნერმა მატჩის შემდეგ განაცხადა: „ნამდვილად რთული თამაში იყო, ხორვატები დანარჩენ მეტოქეებზე ძლიერები ჩანდნენ, თავიდან ანგარიში გახსნეს კიდეც, მაგრამ ჩვენ არ დავნებდით და წარმატებასაც მივაღწიეთ. გადავწყვიტე, შემტევი ფეხბურთი გვეთამაშა და ვგონებ, არც შევმცდარვარ. ეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩია". ტურნირის დასაწყისში ფავორიტად შერაცხული ჰოლანდია და ესპანეთი ფინალში ვერ გავიდნენ. მათი შეხვედრა ფინალისტის ბედს წყვეტდა, თუმც მაინც პრინციპული გახლდათ, რადგან მეორეადგილოსანი ოლიმპიადის საგზურს ინაღდებდა. უფრო ძლიერები ესპანელები აღმოჩნდნენ. მათ მეტოქე 1:0 დაამარცხეს და სიდნეიშიც გაემგზავრებიან.

**ნიკა შუბლაძე**



ინგლისი — სლოვაკეთი 0:2. სლოვაკმა რატისლავ გრეშკომ (№2) ინგლისელ დენი მილსს ბურთი არ დაანება

## საფრანგეთი

უცნაური რამაა საფრანგეთის ჩემპიონატი. არცერთ სხვა დიდ ევროპულ (საფეხბურთო გაგებით) ქვეყანას იმდენი ჩემპიონი არ ჰყავს, რამდენიც საფრანგეთს. მსოფლიოს ჩემპიონების სამშობლოში პირველობა ძალიან ძნელია. „სენტ ეტიენის“ გარდა ათზე მეტჯერ ვერავის მოუპოვებია ოქროს მედალი. „მარსელის“ დასჯის შემდეგ კი ზედიზედ ორჯერ ვერავინ გაჩემპიონებულა.

ბოლო შვიდ წელიწადში მხოლოდ „მონაკომ“ შეძლო წარმატების გამეორება. წლეულს სათავადოს გუნდი მაღალ დონეზე თამაშობდა და მეტოქეები იოლად დაჯაბნა. დანარჩენები, ვისგანაც სპეციალისტები ბევრს ელოდნენ, ერთობ სუსტად გამოვიდნენ. სამაგიეროდ, სიურპრიზი შემოგვთავაზეს პირველ დივიზიონში შარშან გადასულმა გუნდებმა.

ერთი შეხედვით, 1999-2000 წლების სეზონი დიდად საინტერესო ვერ გამოდგა. არადა, კლუბებმა გასაძლიერებლად დიდძალი ფული დახარჯეს. თუმცა, ერთადერთმა „მონაკომ“ შეძლო თავისი შემადგენლობის სრულფასოვნად გამოყენება. ჯუჯა-სახელმწიფოს კლუბმა სეზონის წინ თავის წინა ხაზს სიმონე და გალიარდო შემატა. ტრეზეგე და ჟიულიც არ დაგვავიწყდეს. მონაკოელებმაც ყველაზე მეტი, 69 გოლი გაიტანეს. ისე, აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ჩემპიონატში საკმაოდ ცოტა ბურთი გადის, საშუალოდ 2,5 ერთ მატჩში. არადა, „ლიონს“, პსჟ-ს, „ბორდოს“ და „მარსელს“ ისეთი თავდამსხმელები ჰყავდათ...

ცოტა გოლი სანახაობრივ მხარეს აზარალებს, ეს კი, თავის მხრივ, ფეხბურთს მაყურებელს აკლებს. წლეულს, შარშანდელთან შედარებით, საშუალოდ 750 კაცით ნაკლები დაესწრო თითოეულ მატჩს. ტელევიზიითაც ნაკლებმა უყურა. რატომ? ამ კითხვაზე პასუხი ერთია — ბოსმანის საქმის გამო. საუკეთესო ფრანგი და, ცხადია, უცხოელი ფეხბურთელები იტალიაში, ესპანეთსა და ინგლისში თამაშობენ, სადაც ფეხბურთი ეკონომიკურად უფრო ძლიერია. ამ ქვეყნებში კლუბებსა და თვით სპორტსმენებს გაცილებით ნაკლები გადასახადი აქვთ, ამიტომ რომელი ჭკუათმყოფელი გაჩერდება საფრანგეთში. ნახევარი წლითაც რომ წავიდეს კაცი სადმე და თუნდაც არ ათამაშონ ძირითადში, იგი სამშობლოს მაინც ჯიბეგასქელებული და კმაყოფილი უბრუნდება. ამის უამრავი მაგალითი არსებობს. სებასტიან პერესს, ჟან-გი ვალემს, პატრიკ ბლონდოსა და მრავალ სხვას ინგლისში ერთი სრული წელიც არ უთამაშიათ, მაგრამ მთავარი წასვლაა. და მიდიან!

საფრანგეთის ჩემპიონატის დონე კი ეცემა და თუ „ლანსი“ უეფას თასის ნახევარფინალში გავიდა, ეს უფრო შემთხვევითობაა. თანამედროვე ფრანგული ფეხბურთის სახეს უფრო „ბორდო“ და „მარსელი“ წარმოადგენდნენ, რომლებმაც ჩემპიონთა ლიგის ერთი ჯგუფი კი გაიარეს, მაგრამ მერე ძალიან სუსტად გამოვიდნენ — ვისაც არ დაეზარა, ყველამ მოუგო. „ლურჯების“ სამშობლო კი იმაზე უფრო ზრუნავს, თავისი საშუალო დონის შვილები შეინარჩუნოს და მეორეხარისხოვანი, ან ჯერაც ყველასთვის უცნობი უცხოელები მიიზიდოს. ამიტომაც, იშვიათია ფეხბურთელი, რომელიც გაიბრწყინებს, მაყურებელს სტადიონზე დააბრუნებს. მონაკოელთა გარდა, ხელის თითები გვეყოფა მათ ჩამოსათვლელად: სონი ანდერსონი (ლიონი), პედრონი (სენტ ეტიენი), კარიერი (ნანტი), დებლოკი (სედანი) და რა თქმა უნდა, ტონი კასკარინო (ნანსი). 38 წლის ვეტერანი ირლანდიელი რომ 15 გოლს გაიტანს და ერთ-ერთი საუკეთესო იქნება, ეს, ალბათ, სიძლიერეზე მეტად ჩემპიონატის დაბალ დონეზე მეტყველებს. ახლა რამდენიმე გუნდზე ცოტა უფრო დაწვრილებით:



„მონაკოს“ საუცხოო უცხოელები: არგენტინელი მარსელო გალიარდო (მარცხნივ) და იტალიელი მარკო სიმონე

# შეამცირეთ გადასახადები და დონეც აიწევს

### მონაკო

სათავადოს კლუბი საფრანგეთის ჩემპიონი მეშვიდედ გახდა. არადა, წინა სეზონში, როცა ჟან ტიგანა მწვრთნელობიდან გაათავისუფლეს, კლოდ პუელის ხელმძღვანელობით „მონაკომ“ ძლივს მოახერხა უეფას თასის საგზურის მოპოვება. პრეზიდენტმა კამპორამ სეზონის წინ ფული არ დაინანა და კარგი ფეხბურთელები შეიძინა (რა თქმა უნდა, საფრანგეთის დონის კვალობაზე). ახალბედა მწვრთნელმაც ძლიერი გუნდი შეკრა. „მოედანზე და მის ფარგლებს გარეთაც ძალიან კარგად ვუგებთ ერთმანეთს“ — ამბობს გამთამაშებელი საბრი ლამუში.

პირველობა მონაკოელებმა, ფაქტობრივად, თებერვალში გაინაღდეს. მათ 26-ე ტურში შინ „ბორდოს“ 1:0 სძლიეს და მდევრებს მთელი 13 ქულით გაასწრეს. და თუ საბოლოოდ პსჟ ჩემპიონს მხოლოდ 7 ქულით ჩამორჩა, ეს იმიტომ, რომ ფაბიენ ბარტეზი და მისი თანაგუნდელები ამის მერე ცოტათი მოეშვნენ. გათამაშების ცხრილში პირველობის გარდა, გუნდს საუკეთესო თავდასხმაც ჰყავდა (სიმონემ და ტრეზეგემ ჯამში 43 გოლი გაიტანეს), მასზე ნაკლები გოლი მხოლოდ მეთერთმეტე ადგილზე გასულმა „მეცმა“ გაუშვა. ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად გალიარდო დაასახელეს, ყველაზე მეტი საგოლე პასი კი სიმონეს ანგარიშზეა. ერთი სიტყვით, „მონაკომ“ ნამდვილად დაიმსახურა ჩემპიონობა. საკითხავი კი ესლაა — რამდენად შეძლებს კლუბი შემადგენლობის შენარჩუნებას (ბარტეზი უკვე წავიდა) და ჩემპიონთა ლიგაში ღირსეულად გამოსვლას.

### სენტ ეტიენი და სედანი

„მწვანეები“ რამდენიმე წლის განშორების შემდეგლა დაუბრუნდნენ პირველ დივიზიონს და კარგადაც იასპარეზეს. „მონაკოს“ სულ „სენტ ეტიენის“ მსგავსი მეტოქეები რომ ჰყოლოდა, ეგებ გავარდნილიყო კიდეც. ჩემპიონატის გახსნის მატჩში „სენტ ეტიენმა“ ჯუჯა-სახელმწიფოში ბრწყინვალედ ითამაშა და ფრე (2:2) გაახერხა, ბოლო ტურში კი უკვე ჩემპიონისგან ქვა-ქვაზე არ დატოვა — 3:1 მოუგო. თუმცა, შეტევის მიმდევარი გუნდი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს სხვა წარმომადგენელთან უკეთ გაისარჯა. „მწვანეები“ მარსელში მესამე ტურის მატჩის სათამაშოდ ჩავიდნენ. მასპინძლები ჯერ კიდევ ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდნენ. სტუმრებს კი სურდათ, დაემტკიცებინათ, რომ ელიტას მხოლოდ ერთი წლით არ დაუბრუნდნენ. მარსელელები სამჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ რობერ ნუზარეს შეგირდებმა სამჯერვე შეძლეს გათანაბრება და ქულა მოიპოვეს. შინ კი „სენტ ეტიენმა“ „მარსელს“ შავი დღე აყარა და სამარცხვინო მარცხი (5:1) აგემა. გარდა ამისა, „მწვანეებმა“ ერთმანეთზე ლამაზი შეხვედრები ჩაატარეს და თუ უფრო მაღალ ადგილზე ვერ დაამთავრეს ჩემპიონატი, ეს იმიტომ, რომ ძალიან მოკლე სათადარიგოთა სკამი ჰქონდათ. ასე რომ, მომავალ სეზონამდე კლუბის ხელმძღვანელებს ერთადერთი საზრუნავი აქვთ — რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელი შეიძინონ, რა თქმა უნდა, ხარისხის გათვალისწინებით. თუმცა ნუზარეს არცთუ ძლიერი ფეხბურთელებითაც შეუძლია მშვენიერი გუნდის ჩამოყალიბება.

„სედანი“, „სენტ ეტიენისგან“ განსხვავებით, ტიტულებით ვერ დაიკვეხნის და მის ასეთ თამაშსაც არავინ ელოდა, თვით გულშემატკივრებიც კი, რომლებმაც ძალიან გაიხარეს იმით, რომ მათმა საყვარელმა გუნდმა ინტერტოტოს საგზური მოიპოვა. თუმცა, უეფას თასის შესარჩევ ტურნირში სედანელებს შეიძლება ძალიან გაუჭირდეთ, რადგან მათ ფეხბურთელებს ბევრმა დაადგა თვალი, მცირებიუჯეტიანი კლუბი კი მდიდრებს მხოლოდ მინდორზე თუ გაეჯიბრება. მესამედან პირველ დივიზიონამდე ორ წელიწადში ბევრი ვერ გაივლის გზას, თან შარშან „სედანი“ საფრანგეთის თასის ფინალშიც გავიდა. ფეხბურთელები თავს არ ზოგავდნენ საწადელის მისაღწევად. ჩემპიონატი კი ახალბედათათვის მეტად უიღბლოდ დაიწყო — 0:3 მარსელში. ისე ჩანდა, კლუბს პირველ დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლა მოუწევდა, მაგრამ ეს მის იმდღევანდელ მომგებს მოუხდა. პატრიკ რემის გაწვრთნილები კი თანდათანობით უკეთ ათამაშდნენ და ერთხელ გათამაშების ცხრილს სათავეშიც მოექცნენ, ოღონდ მხოლოდ ერთი დღით. თუმცა მათაც სენტეტიენელებივით მოკლე სკამის პრობლემა ჰქონდათ. ამიტომაც გაზაფხულზე სედანელებს დაღლა დაეტყოთ და მეშვიდე ადგილამდე დაქვეითდნენ, მაგრამ ამითაც უზომოდ კმაყოფილები დარჩნენ.

### მარსელი

ჩემპიონატის ყველაზე დიდი იმედგაცრუება „მონპელიესთან“ ერთად უდავოდ „მარსელი“ იყო. არადა, თეთრცისფრებმა ძალიან ომახიანად დაიწყეს სეზონი და ბევრი ფიქრობდა, თუ შარშან „ბორდომ“ ძლივს აჯობა, ახლა ველარავინ შეაჩერებსო. ეს მოსაზრება არც ზედიზედ ოთხმა ფრემ გააბათილა. მერე „მარსელი“ მონპელიეში დამარცხდა, მაგრამ მომდევნო ოთხ ტურში 10 ქულა აიღო და... 10 ტურის შემდეგ როლან კურბისის გუნდს 17 ქულა ჰქონდა, დარჩენილ 24 თამაშში კი მხოლოდ 25 მოიპოვა და კინაღამ გავარდა. „მარსელმა“ მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით შეინარჩუნა ადგილი პირველ დივიზიონში. შუა სეზონში კლუბი როლან კურბისმა დატოვა, მისმა შემცვლელმა ბერნარ კაზონიმ კი კიდევ უფრო გააფუჭა საქმე. მომავალში გუნდის შემადგენლობა, სავარაუდოდ, ძლიერ შეიცვლება. სტეფან პორატოს, რობერ პირესისა და სხვათა ყიდვის მსურველები ბევრი არიან, ფეხბურთელთა უმრავლესობასაც გაქცევაზე უჭირავს თვალი. თუმცა გაისად „მარსელი“, ალბათ, მაინც დიდი გუნდი იქნება — იქ ხომ „დიდი ბოსი“ ბერნარ ტაპი ბრუნდება, რომლის პრეზიდენტობის დროსაც „მარსელი“ ზედიზედ ხუთჯერ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი (ბოლო ტიტული ჩამოართვეს) და ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიგო.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონაკო | | 1:0 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 2:2 | 2:1 | 2:0 | 3:0 | 4:0 | 2:2 | 2:0 | 3:1 | 3:0 | 1:1 | 2:2 | 5:2 | 1:0 | 34 | 20 | 5 | 9 | 69:38 | 65 |
| 2. პარი სენ ჟერმენი | 0:3 | | 2:2 | 2:1 | 4:1 | 2:0 | 3:2 | 1:1 | 4:2 | 2:0 | 2:1 | 0:0 | 1:0 | 1:0 | 0:2 | 1:1 | 2:1 | 3:0 | 34 | 16 | 10 | 8 | 54:40 | 58 |
| 3. ლიონი | 2:1 | 1:0 | | 1:1 | 1:0 | 0:0 | 2:0 | 0:0 | 0:0 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 2:2 | 1:3 | 2:0 | 2:1 | 3:0 | 1:2 | 34 | 16 | 8 | 10 | 45:42 | 56 |
| 4. ბორდო | 3:2 | 1:1 | 1:3 | | 1:2 | 1:2 | 1:1 | 1:0 | 3:0 | 3:2 | 0:0 | 3:0 | 1:0 | 4:0 | 2:1 | 2:1 | 3:0 | 2:0 | 34 | 15 | 9 | 10 | 52:40 | 54 |
| 5. ლანსი | 1:0 | 3:2 | 4:3 | 3:3 | | 0:2 | 0:3 | 2:1 | 3:0 | 4:0 | 1:0 | 1:2 | 1:1 | 0:1 | 0:0 | 0:1 | 4:0 | 1:0 | 34 | 14 | 7 | 13 | 42:41 | 49 |
| 6. სენტ ეტიენი | 3:1 | 1:1 | 1:1 | 1:2 | 0:2 | | 2:3 | 0:0 | 0:1 | 1:1 | 2:0 | 0:2 | 1:0 | 1:0 | 5:1 | 2:1 | 3:3 | 5:4 | 34 | 13 | 9 | 12 | 46:47 | 48 |
| 7. სედანი | 2:1 | 1:1 | 2:0 | 0:1 | 0:0 | 3:2 | | 1:1 | 2:1 | 2:0 | 0:2 | 0:0 | 2:1 | 2:1 | 2:2 | 3:1 | 0:1 | 2:1 | 34 | 13 | 9 | 12 | 43:44 | 48 |
| 8. ოსერი | 0:2 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 3:2 | 2:1 | 3:1 | | 0:1 | 3:1 | 1:1 | 1:1 | 4:0 | 0:1 | 2:2 | 2:1 | 2:1 | 2:1 | 34 | 13 | 8 | 13 | 37:39 | 47 |
| 9. სტრასბური | 3:2 | 1:1 | 4:2 | 2:2 | 1:0 | 0:1 | 1:1 | 1:3 | | 2:0 | 1:1 | 3:2 | 2:1 | 2:0 | 3:1 | 0:2 | 0:1 | 2:0 | 34 | 13 | 7 | 14 | 42:52 | 46 |
| 10. ბასტია | 1:0 | 1:2 | 3:0 | 1:1 | 2:0 | 4:0 | 1:0 | 2:0 | 3:0 | | 0:0 | 2:1 | 4:2 | 5:0 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 1:0 | 34 | 11 | 12 | 11 | 43:39 | 45 |
| 11. მეცი | 1:1 | 1:3 | 0:1 | 2:1 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 3:0 | 0:0 | 1:1 | | 2:1 | 0:0 | 3:1 | 2:0 | 2:2 | 3:0 | 2:2 | 34 | 9 | 17 | 8 | 38:33 | 44 |
| 12. ნანტი | 0:3 | 0:4 | 6:1 | 0:1 | 0:1 | 0:1 | 1:0 | 3:1 | 3:1 | 1:1 | 1:3 | | 3:0 | 3:0 | 0:0 | 2:0 | 1:0 | 3:0 | 34 | 12 | 7 | 15 | 39:40 | 43 |
| 13. რენი | 2:1 | 1:3 | 1:2 | 2:1 | 3:0 | 4:1 | 5:0 | 1:0 | 2:1 | 0:0 | 2:0 | 0:0 | | 2:2 | 1:2 | 3:1 | 2:1 | 1:3 | 34 | 12 | 7 | 15 | 44:48 | 43 |
| 14. ტრუა | 1:4 | 2:2 | 1:2 | 2:0 | 0:1 | 0:1 | 0:2 | 2:0 | 2:1 | 1:0 | 2:2 | 1:0 | 1:0 | | 1:2 | 2:0 | 3:1 | 2:1 | 34 | 13 | 4 | 17 | 36:52 | 43 |
| 15. მარსელი | 4:2 | 4:1 | 0:1 | 0:2 | 1:2 | 3:3 | 3:0 | 0:1 | 4:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 1:0 | | 2:2 | 2:0 | 0:0 | 34 | 9 | 15 | 10 | 45:45 | 42 |
| 16. ნანსი | 1:2 | 1:1 | 1:0 | 2:2 | 2:1 | 1:0 | 0:2 | 2:0 | 2:3 | 1:0 | 0:0 | 2:1 | 3:0 | 1:2 | 2:2 | | 3:0 | 1:2 | 34 | 11 | 9 | 14 | 43:45 | 42 |
| 17. ლე ავრი | 1:4 | 3:1 | 0:1 | 3:0 | 1:1 | 1:0 | 2:1 | 0:0 | 0:1 | 2:2 | 1:0 | 0:1 | 0:1 | 2:0 | 0:0 | 0:1 | | 2:1 | 34 | 9 | 7 | 18 | 30:52 | 34 |
| 18. მონპელიე | 2:3 | 0:1 | 2:2 | 2:2 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 2:0 | 1:1 | 1:1 | 0:1 | 3:0 | 1:2 | 2:2 | 3:1 | 1:0 | 0:0 | | 34 | 7 | 10 | 17 | 39:50 | 31 |



„მარსელის“ საჩემპიონო გეგმები იბრაამ ბაკაიოკოსავით თავდაყირა დადგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოჭრი ფეხზე და პირიქით



სანდრინ ტესტიუ

**ალბათ,** ყველამ იცით, ჩვენში დამკვიდრებული გამოთქმა — „მაზოლზე (ქართულად კოჟრზე) ფეხის დადგმა" რას ნიშნავს.

ახლა დაძაბეთ ფანტაზია, წარმოიდგინეთ რა მოხდება, თავად „მაზოლმა" რომ დაგადგათ ფეხი, და ზუსტად მიხვდებით, საფრანგეთის ღია პირველობის მეორე წრეში ტურნირის აშკარა ფავორიტსა და მსოფლიოს პირველ ჩოგან ანდრე აგასის რაც დაემართა.

თუმც ყველაფერს რიგის მიხედვით მივყვეთ.

კაროლ კუჩერა იოლი მეტოქე არავისთვის არის და მასთან ტურნირის ასე ადრეულ ეტაპზე შეხვედრა ძნელად, თუ ვინმეს გაახარებს. საოცრად მოქნილმა და საზრიანმა სლოვაკმა ორი წლის წინ აშშ-ის ღია პირველობაზე თავისიანების თვალწინ გააბითურა აგასი, თუმცა ხოტორა ლასვეგასელი ამჯერად მეტოქისთვის რაიმეს დათმობას არ აპირებდა.

მით უმეტეს, რომ ანდრეს სტუმართა ლოჟაში მწვრთნელ ბრედ ჯილბერტის გვერდით თავისი ადგილი ლეგენდარულ შტეფი გრაფს დაეკავებინა.

გრაფი კვირის დასაწყისში ჰანოვერში, EXPO 2000-ის გამოფენაზე იმყოფებოდა სპეციალური მიწვევით და პარიზში ჩასვლით მასა და აგასის შორის მომხდარი განხეთქილების შესახებ აგორებული ჭორები ჩააჩუმა.

ამერიკელმა შეხვედრა შესანიშნავად დაიწყო. მაღალი აბრაგნებისა და მოულოდნელი სწრაფი დარტყმების შეთავსებით კუჩერა დააბნია, პირველი სეტი სწრაფად მოიგო და მეორეშიც 5:3-ით დაწინაურდა.

ბორბალი უკუღმა სწორედ აქედან დატრიალდა. მოულოდნელად ანდრე აჩქარდა, მომგებიანი სტრატეგია შეცვალა და უაზრო შეცდომების დაშვება დაიწყო. თვალის დახამხამებაში კუჩერამ ზედიზედ 5 გეიმი მიითვალა და სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

ყველაფერი მხოლოდ მაშინ გაირკვა, როდესაც მესამე ხელში, 1:4-ზე კორტზე ექიმი გამოჩნდა: ბოლო ოთხ დიდი სლემის ტურნირზე ერთადერთხელ დამარცხებულ ამერიკელს თურმე ძირი უბრალო, მაგრამ საკმაოდ მოზრდილმა „მაზოლებმა" გამოუთხარეს.

ექიმმა წულებგახდილ ვარსკვლავს კარგა ხანს უტრიალა, საქმეში მთელი სული და გული ჩააქსოვა და ფეხი სქელი სახვევით დაუფარა, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა — მატჩის ბოლომდე თითოეული მოწოდების, თითოეული დარტყმის შემდეგ აგასი ტკივილისგან იმანჭებოდა და მალე თამაშის ყოველგვარი სურვილიც გაუქრა.

მეოთხე სეტი სულ 17 წუთს გაგრძელდა, მასში ანდრემ მხოლოდ ექვსი ქულა მოიგო, საბოლოო ანგარიში კი 2:6, 7:5, 6:1, 6:0-ია კუჩერას სასარგებლოდ.

შარშანდელისგან განსხვავებით, როდესაც ფინალში ანდრეი მედვედევის დამარცხების შემდეგ ანდრემ ბავშვივით იტირა, ამჯერად მას ერთი ცრემლიც არ გადმოუგდია და კორტიდან გასვლისას რამდენიმე ავტოგრაფიც კი დაარიგა, თუმც სახეზე ტრაგიკული გამომეტყველება ჰქონდა.

სამაგიეროდ, აგასი მატჩისშმდეგომ სავალდებულო პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა (10 ათასი დოლარიანი ჯარიმა ხომ არ შეაშინებდა), გასახდელიდან პირდაპირ ლიმუზინს მაიშურა და თავისიანების თანხლებით სასტუმროში დაბრუნდა.

„გზაში ერთი სიტყვაც არ გვითქვამს. გვინდა, გონს მოსვლა ვაცალოთ, თავს საშინლად იმედგაცრუებულად გრძნობს. ამ ტურნირისთვის ძალიან ბევრს ვარჯიშობდა და დიდი იმედი ჰქონდა, რომ შარშანდელ წარმატებას გაიმეორებდა" — განუცხადა ჟურნალისტებს მწვრთნელმა და ანდრეს ახლო მეგობარმა ჯილ რეიესმა.

„ჯერაც ვერ შეურიგდა წაგებას და ძალიან ნაწყენია — ეს უკვე ბრედ ჯილბერტის სიტყვებია — ასე მოწადინებული ადრე არასოდეს მინახავს, მაგრამ ზოგჯერ უბრალოდ არ გიმართლებს. მოძრაობა აღარ შეეძლო. ექიმი მეორე სეტში 5:4-ზე მოითხოვა, მაგრამ როდესაც ის მივიდა, უკვე აღარაფრის გაკეთება აღარ შეიძლებოდა".

თავად კუჩერას ჟურნალისტებთან გასაუბრებას, აბა, რა დაუშლიდა და სლოვაკმაც საკუთარ დამსახურებას მაინცდამაინც ხაზი არ გაუსვა: „პირველ ორ სეტში ანდრემ აშკარად დამჩაგრა და ძალიან გამიმართლა, რომ თავის დაძვრენა მოვახერხე. მსგავსი პრობლემა მეც მქონდა წარსულში (კუჩერას ერთხელ ჰამბურგში თამაშზე უარის თქმაც კი მოუხდა კოჟრების გამო), ბევრს როცა დარბიხარ, ფეხს უნდა გაუფრთხილდე".

**კაცები. მეორე წრე: მაგნუს ნორმანი** (3, შვედეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:1, 6:4, 6:2; **სედრიკ პიოლინი** (6, საფრანგეთი) — პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) 7:6 (7:5), 6:3, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (9, ავსტრალია) — მარკუს ჰენჩკი (გერმანია) 2:6, 6:3, 3:6, 6:2, 6:3; **იუნეს ელ აინაუი** (15, მაროკო) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:3, 6:4, 6:0; **ანდრეი მედვედევი** (უკრაინა) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:1, 6:2, 6:2; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 4:6, 3:6, 7:6 (7:3), 7:6 (7:4), 6:1.

**მესამე წრე: ალექს კორეტხა** (10, ესპანეთი) — რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 4:6, 6:2, 6:3, 6:2; **ხუან კარლოს ფერერო** (16, ესპანეთი) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 6:2, 3:2 — ტრავმა; **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:2, 6:1, 3:6, 6:3; **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია) — მიხალ კრატოხვილი (შვეიცარია) 7:6 (7:5), 6:4, 2:6, 6:7 (4:7), 8:6; **ევგენი კაფელნიკოვი** (რუსეთი) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 6:1, 6:3, 5:7, 6:4.

საფრანგეთის ღია პირველობის მესამე წრეში წლეულს ერთბაშად 7 მასპინძელი ქალი გავიდა (სარეკორდო რაოდენობა), თუმც გუშინდელი დღე ფრანგი მშვენიერი სქესის წარმომადგენელთათვის მაინცდამაინც წარმატებული ვერ გამოდგა.

ცენტრალურ და სუზან ლენგლენის სახელობის კორტებზე ერთდროულად გავიდნენ და ასევე თითქმის სინქრონულად აიკრეს გუდა-ნაბადი ვეტერანმა ნატალი ტოზიამ და 28 წლის სანდრინ ტესტიუმ.

მეათედ განთესილმა ტესტიუმ შვედ ასა კარლსონთან მატჩი მშვენივრად დაიწყო, მაგრამ თვისტომთა თვალწინ ასპარეზობის ზეწოლას ვერ გაუძლო, რისკიანად მოთამაშე მეტოქესთან 6:4, 3:6, 5:7 დამარცხდა და თავის გასამართლებლად უამრავ მიზეზს მიაგნო — შეხვედრის წინ ხეირიანად ვერ დავნაყრდი, ფიზიკურად კარგად არ ვიყავი მომზადებული, ფეხის კრუნჩხვები დამეწყო, ძალიან ცხელოდაო.

ტოზიამ შავზე შავ ამერიკელ ჩანდა რუბინთან 4:6, 6:7 (3:7) წაგება მხოლოდ ერთ რამეს — ცუდ მოწოდებებს დააბრალა, თუმცა ამისგან რა ხეირი.

**ქალები: მესამე წრე: მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:1, 6:0; **მარი პირსი** (6, საფრანგეთი) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:4, 6:0; **ამელი მორესმო** (13, საფრანგეთი) — კვეტა პრდლიჩკოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:0; **ნატაშა ზვერევა** (ბელარუსი) — ფაბიოლა ზულუაგა (კოლუმბია) 4:6, 6:2, 1:0 — ტრავმა; **მონიკა სელეში** (3, აშშ) — რიტა კუტიკისი (საფრანგეთი) 6:1, 6:2.

**ავთანდილ სვანიძე**



კაროლ კუჩერა

## სხვადასხვა

**18 წლის** გრძელნაწნავიან რუსს ანა კურნიკოვას მაყურებელთა შორის პოპულარობაში ვერავინ შეეცილება, სამაგიეროდ, კოლეგები დასანახად ვერ იტანენ.

ოთხშაბათს „როლან გაროსზე" მისულ ქომაგთა შორის გამოკითხვა ჩაატარეს, რომლის მიზანი საყვარელი ჩოგბურთელის ვინაობის დადგენა იყო. 5322 გამოკითხულიდან ჩოგბურთის სექსსიმბოლოს 3616-მა კაცმა მისცა ხმა.

ქალების გასახდელში კი სრულიად საპირისპირო სიტუაციაა. მეორე წრეში ახლახან ტრავმაგადატანილ რუსს ავსტრიელმა სილვია პლიშკემ მოუგო და მატჩის შემდეგ უცნაური რამ შეამჩნია.

„ბევრი მოთამაშე მოვიდა და მომილოცა. მათ უხაროდათ, რომ ანამ წააგო, რაც მოულოდნელი იყო ჩემთვის, ის ხომ უბრალოდ ჩვენსავით გოგოა. პირადად მე მასთან არანაირი პრობლემები არ მაქვს და სასიამოვნო პიროვნებად ვთვლი. ჩვენ გულიანად ვესალმებით ერთმანეთს. ძალიან ძნელია მის ადგილზე ყოფნა, ყველა მხრიდან დიდ ზეწოლას გრძნობს".

როდესაც თავად კურნიკოვას რაიმე სკანდალური რეაქციის იმედით ჯიქურ მიახალეს, რაც მოხდა, რუსმა გაბრაზება არ შეიმჩნია: „ყველას მეგობარი ვერ იქნები, ეს ხომ ინდივიდუალური სპორტია. ბევრ ჩოგბურთელთან კარგი ურთიერთობა მაქვს, იქნებ ზოგს არ მოვწონვარ, ეს ბუნებრივია. თავად მე არავისი მშურს, თუ ადამიანი ბევრს შრომობს, იმსახურებს კიდეც იმას, რასაც იღებს".



ანა კურნიკოვა: რას გადამეკიდეთ?!

თუმც ბევრ დიაც მოთამაშეს, ეტყობა, მიაჩნია, რომ წლიურ 20-მილიონიან შემოსავალს და მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნას ანა არ იმსახურებს.

კურნიკოვას ბედქვეშაა მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისიც, რომლის აზრით, კოლეგებთან დამეგობრება ძალიან ძნელია: „ჩოგბურთი მეტად ეგოისტური სპორტია, ყველა საკუთარ წარმატებაზე ზრუნავს, თავისთვის შრომობს. თუ ვინმეს ამის დაფასება არ სურს, მასთან საერთო ენის გამონახვა შეუძლებელი ხდება".

* * *

**რუბრიკა** „სხვადასხვას" თავისუფლად შეიძლება „გახსენებაც" ვუწოდოთ, მასში ხშირად „როლან გაროსის" ერთ დროს პოპულარულ, ახლა კი თვალსაწიერიდან დაკარგულ ჩემპიონებზე მოგითხრობთ.

ტომას მუსტერისა და ივან ლენდლის შემდეგ ხორვატი ივა მაიოლის ჯერიც დადგა.

1997-ში 20 წლის ივამ საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში დაუმარცხებელი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) მარტინა ჰინგისი გაანადგურა და კლასიფიკაციის საუკეთესოთა სამეულში მოკალათდა. რა მოხდა შემდეგ? ამაზე თავად ჩოგბურთელსაც უჭირს პასუხის გაცემა — ამ სეზონის დასაწყისში, დიდი სლემის ტიტულის მფლობელი სრულიად ახალგაზრდა ხორვატი კლასიფიკაციის მეხუთე ასეულში (!) იმყოფებოდა.

„98"-ის პირველ ნახევარს კიდევ არა უშავდა, მერე კი, ალბათ, თამაშისგან დავიღალე. როცა ყოველ კვირა ასპარეზობ და ამდენს ვარჯიშობ, ინტერესი გეკარგება. რაღაც დროის განმავლობაში სულ არ მაინტერესებდა, მატჩებს მოვიგებდი თუ წავაგებდი. შარშან თამაშის სურვილი ისევ დამიბრუნდა, მაგრამ უკვე ტრავმებმა მომცელა — ჯერ ფეხის ძვალი გამებზარა, მერე კი მხრის ოპერაცია დამჭირდა. სერიოზულად ვარჯიში მარტში განვაახლე და ახლა მოგებებს მოწყურებული და ბედნიერი ვარ".

მაიოლის გუნება არც იმან გაუფუჭა, რომ მეორე წრეში დაძაბულ ბრძოლაში შვედ ასა კარლსონთან დამარცხდა.

ორიოდ დღის წინ ხორვატს პარიზში საინტერესო ამბავი შეემთხვა — სასტუმროს ფოიეში სუპერვარსკვლავ გიტარისტ კარლოს სანტანას შეეჩეხა. სხვებზე არანაკლებ თავად მაიოლის გაუკვირდა, როდესაც წლეულს მრავალი „გრემით" დაჯილდოებულმა როკის ლეგენდამ ის იცნო და მეტიც, ჩოგბურთელის ძველი გულშემატკივარიც გამოდგა.

უკან არც ივამ დაიხია, თქვენი კომპაქტდისკებით ბინა გამოჭედილი მაქვს, „სმუს" და „მარია, მარია" ზეპირად ვიციო, განაცხადა და პასუხად სანტანას კონცერტზე პირადი მიწვევაც მიიღო.

* * *

**სედრიკ** პიოლინი ერთ-ერთ პატარა კორტზე იმყოფებოდა, როდესაც ვარჯიში დაუპატიჟებელმა სტუმრებმა შეაწყვეტინეს: ჩოგბურთის ორი ახალგაზრდა, მაგრამ ჯიბეგაფხეკილი გულშემატკივარი საკმაოდ მაღალ ღობეზე გადმობობღდა და ფრანგი მოთამაშის უკან ჩამოხტა.

პიოლინი არ დაიბნა, პატარა თაღლითებს მიუბრუნდა და მკაცრი სახით შესძახა: „ბილეთები, გეთაყვა". ძნელი სათქმელია, ხუმრობას ვერ მიუხვდნენ თუ საუკეთესო ფრანგი ჩოგბურთელი ვერ იცნეს, მაგრამ ბავშვები თავქუდმოგლეჯილნი გაიქცნენ და მსოფლიოს მეექვსე ჩოგანთან გასაუბრება ან ავტოგრაფის ჩამორთმევა აზრადაც არ მოსვლიათ.

* * *

**ავსტრიელი** შტეფან კუბეკი „როლან გაროსზე" საკუთარ ემოციათა მსხვერპლი გახდა. მეორე წრეში იგი უიმედოდ აგებდა უნგრელ ატილა სავლოტთან 6:3, 5:7, 0:6, 2:5 და კბილებს აკრაჭუნებდა. იქით მწვრთნელი ნერვიულობდა და მოწაფეს ებუზღუნებოდა. ყოველივე ამის გამო მსაჯებმა ორივეს შენიშვნა მისცეს, რომლის განმეორებაც დისკვალიფიკაციას უდრიდა. ერთი სიტყვით, სტრესული სიტუაცია იყო. კუბეკის დამარცხებას კინკილა გეიმიღა აკლდა, როცა ჩოგბურთელმა მსაჯისგან ერთი შენიშვნაც მიიღო, მწვრთნელის შეგონებებს ნუ უსმენო და იფეთქა, ჩოგანი მიწაზე დაათხლიშა, ეს უკანასკნელი კი კოხტად ასხლტა და ბურთის დამტარებელ ბავშვს მოხვდა. იგი მხოლოდ შეშინდა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რათა ავსტრიელი ტურნირიდან გაეძევებინათ. მოგვიანებით ჩოგბურთელმა თავი იმართლა, გიჟივით ვიყავი და თავს ვერ ვაკონტროლებდიო. „მინდოდა, ჩოგანი სკამისთვის მომერტყა, — ამბობს უიღბლო კუბეკი — მაგრამ მიწაზე დაეცა და მერე ბავშვს მოხვდა. მაშინვე მასთან მივირბინე და ბოდიში მოვუხადე, მაგრამ არაფერი მიპასუხა, ეტყობა, დაბნეული იყო". ეს სიტყვები კუბეკს როლან გაროსზე ვერ დააბრუნებს, ჩვენ კი ის აღვნიშნოთ, რომ ბურთის დამტარებლობა ბოლო ხანს „სახიფათო" პროფესიად იქცა. მეორე ბავშვიც ცოტათი დაზარალდა „როლან გაროსზე", როცა ფრანგი ამელი მორესმოსა და ესპანელი ანხელეს მონტოლიოს შეხვედრაში უკანასკნელისგან ღონივრად გატყორცნილი ბურთი მოხვდა თავში. ბავშვი იოლად გადარჩა.

# რბოლა კაზინოს ირგვლივ

F1 **მეშვიდე ეტაპი** **მონაკოს დიდი პრიზი**

## მონტე კარლო

*მონტე კარლო, 4 ივნისი*




**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . **3.370 კმ**
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . **78 წრე — 262.860 კმ**

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

### შარშანდელი შედეგები

1 შუმახერი (ფერარი); 2 ირვინი (ფერარი); 3 ჰაკინენი (მაკლარენი); 4 ფრენცენი (ჯორდანი); 5 ფიზიკელა (ბენეტონი); 6 ვურცი (ბენეტონი)

კვალიფიკაცია: ჰაკინენი (მაკლარენი) 1:20.547

### წინა წლების გამარჯვებულები

1990, 91, 92, 93 — სენა (მაკლარენი); 1994 — მ. შუმახერი (ბენეტონი); 1995 — მ. შუმახერი (ბენეტონი); 1996 — პანი (ლიჟიე); 1997 — მ. შუმახერი (ფერარი); 1998 — ჰაკინენი (მაკლარენი)

საუკეთესო წრე: 1999 — ჰაკინენი (მაკლარენი) 1:22.259

**ჩემპიონატის** კალენდარში 17 კი არა, 30 ეტაპიც რომ იყოს, მუდამ ყველასგან გამორჩეული, მნიშვნელოვანი და ამასთანავე ურთულესიც, მონტე კარლოს ალმართ-დაღმართიან ქუჩებში ჯირითი დარჩება.

მონაკოს საავტომობილო კლუბის დიდი პრიზი პირველად 1929 წელს გათამაშდა. მას შემდეგ ტრასა პრაქტიკულად არც შეცვლილა. ან კი როგორ მოხერხდებოდა ეს ხმელთაშუა ზღვის პირას უმჭიდროესად დასახლებულ ციცქნა ფერდობზე — წელიწადში ერთხელ ორსაათიანი რბოლის გამო სახლებს ხომ ვერ აიღებდნენ. ასე რომ, ამ ჩახლართული გზის ყოველი კუთხე-კუნჭული პილოტებისთვის ხუთი თითივითაა ნაცნობი. უდიდეს მნიშვნელობას, გადამწყვეტს თუ არა, იძლევა პოულის მოგება, რადგან თავიდანვე დაწინაურებულის გასწრება, თუკი მანქანამ არ უმტყუნა, იქაურ ვიწროებში პრაქტიკულად შეუძლებელია. უმთავრესი ძრავის საიმედოობაა და არა სიმძლავრე, აგრეთვე მოსახვევების უზუსტესად გავლა, რომელთა სიმრავლის გამოც ფორმულის ყველაზე მოკლე ტრასა ყველაზე ნელიცაა. უსწრაფესი მონაკვეთია 150-მეტრიანი გვირაბი, რომლის ბოლოშიც ბოლიდების სიჩქარე 280 კმ-ს აღწევს.

მონტე კარლოში გამარჯვება, ყველაზე ძვირადაც ფასობს. თუმცა მოგებას ვინ ჩივის, ფინიშამდე მიღწევა და თუნდაც ქულის შოვნა ნებისმიერი დონის პილოტისთვის უმაღლეს მიღწევად ითვლება. ტრასის სახიფათო პროფილის მიუხედავად, მხოლოდ ორი მრბოლია დაღუპული — იტალიელები ლუიჯი ფაჯიოლი (1952) და ლორენცო ბანდინი (1967). ორჯერ კი ისეც მოხდა, რომ ალბერტო ასკარისა და პოლ ჰოუკინსის მანქანებმა ჯებირი გაანგრია და ზღვაში ჩაცვივდა. საბედნიეროდ, მაშველებმა ორივე მძღოლი საღსალამათები ამოიყვანეს.

1950 წლის 21 მაისს, პირველი საჩემპიონატო ეტაპის სტარტზე, 19 ავტო ჩამწკრივდა. პილოტებს 100 წრე უნდა გაევლოთ — დღევანდელ დისტანციაზე 50 კმ-ით მეტი. ფინიშამდე მხოლოდ შვიდმა მიაღწია, მონაკოს პირველი ტრიუმფატორი კი ლეგენდარული არგენტინელი ხუან მანუელ ფანხიო („ალფა რომეო") გახდა. საერთოდ, ყველაზე მეტ მოგებას აირტონ სენა ითვლის — ბრაზილიელი „ჯადოქარი" ჯუჯა სათავადოს ექვსგზის ჩემპიონია. აქედან ხუთჯერ ზედიზედ (1989-93) გაიმარჯვა, რაც ასევე სარეკორდო მაჩვენებელია. მიხაელ შუმახერი ოთხჯერ მიიჭრა ფინიშთან პირველი, მისი უმთავრესი მეტოქის, მიკა ჰაკინენის აქტივში კი მხოლოდ ერთი დიდი პრიზია.

ამ ლეგენდად ქცეულ ეტაპს ხშირად მოიხსენიებენ, „რბოლად კაზინოს ირგვლივ". სწორედ იმ სამორინეს გარშემო, რომლის აგებამაც 130 წლის წინ საფუძველი ჩაუყარა აზარტული გართობის დედაქალაქს. კარგა ხანს კაზინო ჯუჯა სახელმწიფოს შემოსავლის უმთავრესი წყარო იყო. სადღეისოდ ის თანხა მიზერულია — ხაზინას მხოლოდ ოთხი პროცენტითღა ამდიდრებს, დანარჩენი უამრავი ტურისტის ჯიბიდან დაცინცლული დოლარებია, რის მნიშვნელოვანი ნაწილი იმ დღეებზე მოდის, როცა მონაკოს ფორმულა სტუმრობს და გრიმალდების წყნარ სამფლობელოში ნამდვილი საგიჟეთია. აბა, რომელი ჭკუათმყოფი გადაიხდის 1000 „მწვანეს" ორი საათის განმავლობაში 22 ფეთიანის ყურისწამლები ჯირითის საცქერლად.



„ფერარის" ხვალაც პირველობის იმედი აქვს

ცხადია, ხვალაც ასე იქნება. რაც შეეხება შუმახერ — ჰაკინენის დაპირისპირებას, ვფიქრობთ, შანსები თანაბარია. „ფერარის" დუეტს შუმიკელოს სახით გაუჭირდება შარშანდელი ფანტასტიკური დუბლის გამეორება.

და კიდევ, თითქმის ერთი წელია, უფრო ზუსტად კი, ზედიზედ 11 რბოლაა, რაც კვალიფიკაციის მომგები მეორე დღეს გამარჯვებას ვერ აღწევს. ვნახოთ, ამჯერად თუ დაირღვევა ტრადიცია.

**ირაკლი ნიკოლაძე**

ჭადრაკი



ელგუჯა ფხაკაძე ბათუმიდან

უნგრელმა ილდიკო მადლიმ (მარცხნივ) მაია ჩიბურდანიძეს საქმე გაურთულა

## ჩიბურდანიძეს მადლი გაუწყრა

**ბათუმში** მიმდინარე ევროპის პირად პირველობაზე გუშინდელი დღე ერთგვარად განსხვავებული იყო. ფავორიტებად შერაცხულმა ორივე მოჭადრაკემ მეოთხედფინალის მეორე პარტიები წააგო და ნახევარფინალში გასვლა სათუოდ გაიხადა. ჩვენებური მაია ჩიბურდანიძე უნგრელ ილდიკო მადლისთან დამარცხდა, ხოლო სლოვაკმა რეგინა პოკორნამ, ვისაც აქამდე 5 შეხვედრა მშრალად მოეგო და, განსაკუთრებით მეოთხედფინალის პირველ პარტიაში უკრაინელი ნატალია ჟუკოვას მეტად ეფექტური შემუსვრით ესახელებინა თავი, იმავე მეტოქეს ქულა დაუთმო, ამიტომ დღეს, როგორც ჩიბურდანიძე, ტაი-ბრეიკს ითამაშებს. ამ დროს კი ორი რუსი მოჭადრაკე უკვე ფინალშია. ეკატერინა კოვალევსკაიამ უკრაინელ ჟანა ზატონსკისთან პირველ მოგებას ყაიმი მიაყოლა და ტურნირის მთავარი და ერთპიროვნული გმირი გახდა — ზედიზედ ხუთი მოგება და ყაიმი აქვს მარაგში. ტატიანა სტეპოვაიას პოლონელი ივეტა რაძიევიჩი ემსხვერპლა. მათი პირველი პარტია ზავით დასრულდა, მეორე კი სტეპოვაიას დარჩა. დღეს ჩიბურდანიძე — მადლი და პოკორნა — ჟუკოვა ტაიბრეიკებს ითამაშებენ, სხვა კი ჯერჯერობით სათქმელი არაფერია, თუმცა, ერთს კი ვიტყვით, ბათუმში მოჭადრაკეებს გვარიანი სათამაშო პირობები შეუქმნეს და ქალაქის ყრმა ჭადრაკის სასახლეც წარმატებით ასრულებს თავის ფუნქციებს. დანარჩენი მომავალ კვირას იყოს.

**დავით გულუა**

ცურვა

# ქალღია და გუნება

## რატომ მიატოვა ოჯახი ინგემ?

**სირბილი**, ველოსიპედით ქროლა, ვერტიკალურ თოკზე ძრომიალი, სახტუნელას მარჯვე ხმარება, სამედიცინო ბურთებით ვარჯიში და ხანგრძლივი შრომა ტანის მოქნილობისთვის — ამგვარი გახლავთ რეცეპტების არასრული ჩამონათვალი, რამდენიმე დღის წინ ინგლისური შეფილდის საცურაო ტურნირზე, ჰოლანდიელ ინგე დე ბრუინს საოცარი მსოფლიოს რეკორდები რომ დაამყარებინა. ნუსხას დაასრულებს ტაებო — ალმოსავლური ორთაბრძოლების სახეობა, რომელსაც მხიარული მუსიკა მუდამ თან ახლავს და აერობიკისა და კიკბოქსინგის ელემენტებს შეიცავს. ღირდა თუ არა ყოველივე ამისთვის სამშობლოს, ბოიფრენდის, მეგობრებისა და ოჯახის დატოვება და ამერიკას გადახვეწა, სადაც დე ბრუინმა სახელოვანი მწვრთნელის, პოლ ბერგენის მეთვალყურეობით განაგრძო ვარჯიში? ღირდა რომელია, ოთხი მსოფლიოს რეკორდი და მათგან ერთი, 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ჭეშმარიტად გასაკვირი შედეგით დამყარებული, ცურვის ისტორიის მოწინავე გვერდებზე სამუდამოდ დასამკვიდრებლად სავსებით კმარა და, ის საყვარელი ხალხი კი არსად გაქცეულა, ინგეც უკვე მათთანაა, ტიტების ქვეყანაში.



ინგე დე ბრუინი

ინტერვიუში დე ბრუინმა აღიარა, რომ მიღწეულმა თავად გააოგნა. „ჩემი სპორტული კარიერის მთავარი მიზანი მუდამ ის იყო, ჯენი ტომპსონის რეკორდისთვის თუნდაც იოტის ოდენი მომეკლო (100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაზეა ლაპარაკი) — თქვა დე ბრუინმა — ამ დროს კი ავდექი და წამზე მეტი ჩამოვაკელი. ამას ვერ ვიჯერებდი, სხვა რეკორდებზე არას ვამბობ და მხოლოდ ერთს დავძენ — არა მგონია, ამიერიდან რომელიმე მათგანის გადაბიჯება შევძლო". დე ბრუინი ჰოლანდიაში ეროვნული გმირი გამხდარა, ულევად იღებს წერილებს, ფაქსებს, სატელეფონო ზარებს და ერთი ზორბა ვაზაც უყიდია მომრავლებული თაიგულების დასატევად. ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, დე ბრუინი ჰოლანდიის პირველობაზე უეჭველად იცურავებს, თუმცა ამის გაკეთება სულ არ ევალება — სიდნეის ოლიმპიადისთვის ნაკრებში ადგილი უკვე მყარად დაიბევა. მაინც უნდა იცუროს, ხალხის სიყვარულს ხომ გაფრთხილება უნდა.

**დავით გულუა**

ოლიმპიზმი

## არეულობამ ჩირაღდანი კუნძულიდან გააქცია

**ფიჯიზე** შექმნილი რთული სიტუაციის გამო, სიდნეის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს დღეისთვის დაგეგმილი ოლიმპიური ჩირაღდნის მარშრუტმა გვერდი აუაროს მის კუნძულებს და მეზობელ ტონგაში ორი დღე დაჰყოს.

ავსტრალიის სპორტის მინისტრის მაიკლ ნაიტის თქმით, ისეთ ქვეყანაში, სადაც პრემიერ-მინისტრი მძევლად აჰყავთ, ორგანიზატორები ოლიმპიური ჩირაღდნის მშვიდობიანად გადაადგილების გარანტიას ვერ იძლევიან.

— მეჩირაღდნეთა უსაფრთხოება ჩვენთვის უმთავრესია, რადგან არანაირი დაცვითი მექანიზმი არ არსებობს, ამიტომ გადავწყვიტეთ გაგვეუქმებინა ფიჯიზე გამავალი მარშრუტი — განაცხადა ნაიტმა. მისი თქმით, ასეთი გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო ავსტრალიის საგარეო საქმეთა სამინისტროდან.

მოგეხსენებათ, ფიჯიზე არეულობა ამ ორიოდე კვირის წინათ დაიწყო, როდესაც ბიზნესმენმა ჯორჯ სპეითმა ტყვედ აიყვანა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მაჰენდრა ჩადრი და მთავრობის კიდევ 30-მდე წევრი.

ამასთან, ფიჯის მკვიდრი მოსახლეობის სახელით შეიარაღებულმა პირებმა ფიჯის პარლამენტს შეუტიეს, რადგან უკმაყოფილონი არიან ადგილობრივი ინდოელი ეთნოსის პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების გამო, მით უმეტეს, რომ პრემიერ-მინისტრი წარმოშობით ინდოელია. მიუხედავად ამისა, ფიჯელ სპორტსმენებს არანაირი პრობლემა არ ექნებათ ოლიმპიადაზე მონაწილეობისთვის.

— მნიშვნელობა არა აქვს სოკ-ის 200 წევრი სახელმწიფოდან რომელ ერს წარმოადგენ მთავრობაში. მთავარი ისაა, რომ ყველა ათლეტისთვის კარი ღიაა — ამბობს ნაიტი.

**გიგა გურასპიშვილი**

# პატარა მეკობრე

„ჯირო დიტალიას“ მე-18 ეტაპმა ის სამი ფავორიტი გამოკვეთა, რომლებმაც წესითა და რიგით ტური უნდა მოიგონ. თუმცა დღეს ინდივიდუალური რბოლა მოეწყობა. ამ ერთგვარ ველოლატარიას შეუძლია, საერთო ჩათვლაში ყველაფერი თავდაყირა დააყენოს. თუ მასზე არსებული სტატუს-კვო შენარჩუნდა, მილანში დასამთავრებელი ბოლო ეტაპის წინ ნაკლებად მოსალოდნელია, ფრანჩესკო კასაგრანდეს, სტეფანო გარძელის ან ჯილბერტო სიმონის საერთო პირველობა სხვამ წაართვას. სამივე იტალიელია და სამივე ერთად, ყველაზე წინ მივიდა გენუაში დაწყებული და 173 კილომეტრის შემდეგ პრატონევოზოში დასრულებული ეტაპის ფინიშთან, ოღონდ დასკვნითი სპრინტისას პედლები სხვებზე მარჯვედ გარძელიმ ატრიალა და პრემიალური წამების გამომუშავებით (პირველი ადგილისთვის) კასაგრანდესთან ერთიან ჩათვლაში 33-წამიანი დეფიციტი 25-მდე ჩამოიყვანა. მე-18 ეტაპზე ბრძოლა გაჩაღდებაო, თქვა სიმონიმ და, აკი ასეც მოხდა, ტრიომ გაცხარებული მეტოქეობა გასწია და სამივე აპლოდისმენტებს იმსახურებს იმისთვის, რომ იმ დამქანცველ ოღროჩოღროებზე ბოლომდე გაძლო. როცა ყველაფერი დასრულდა, ჟურნალისტები უპირველესად, ცხადია, გარძელისკენ გაიქცნენ, იმანაც აქო და აქო „მეკობრე“ მარკო პანტანი, ვისი ლეიტენანტიც (რბოლის დროს დამხმარე) აქამდე ყოფილა და ახლა კი პანტანის უხეირო რბოლის გამო ნება დაურთავთ, თავისუფლად იქროლოს. პანტანიმო, თქვა გარძელიმ, ოთხი წლის განმავლობაში რბოლის უძვირფასეს ნიუანსებს მაზიარა, მუდამ ალალად მმოძღვრავდა და ახლა უკვე აქეთ მეხმარებაო. „დიდი იმედი მაქვს, რომ მისი დღე „ტურ დე ფრანსზე“ დადგება — ხარკი მოუხდა გარძელიმ მასწავლებელს, მერე კი თავის ამბავს გადასწვდა — დღეს ჩემი რბოლით მაინც უკმაყოფილო დავრჩი. სიმონისა და ტონკოვის იერიშების მოგერიება განსაკუთრებით მიჭირდა“. ახლა გარძელის მეტსახელი „ილ პირატინო“ (პაწია მეკობრე) გახლავთ და საიდან მომდინარეობს იგი, ამას მკითხველი განსჯის, ჩვენ კი კასაგრანდეზე გადავერთოთ, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ეტაპი ვერ მოიგო, ფრიად კმაყოფილი ჩანდა. „ჭმუნვის საბაბი არა მაქვს — განაცხადა კასაგრანდემ — მეტოქეების ყოველი შემოტევა დიდი წარმატებით მოვიგერიე და ჩემი მთავარი მიზანი რა იყო, თუ არა ბოლომდე მათთან ყოფნა? ამოცანა შევასრულე, ჩემს თავთან სასაყვედურო არაფერი მაქვს. კრიზისშია, ეტაპებს ვერ იგებსო, ჩემზე უთქვამთ, კრიზისი ისაა, ორი წუთით რომ ჩამორჩები, თორემ...“ ორით კი არა და, გაძელიზე კარგა 7 წუთითა და 32 წამით უკან დარჩა მისი ექსველოშეფი მარკო პანტანი და იმას კი ნაღდად უჭირს. როცა ლიდერები ფინიშს კვეთდნენ, მეკობრეს 14-კილომეტრიანი ფინალური აღმართის ავლა ჯერაც არ დაეწყო. პანტანის ქომაგები ირწმუნებიან, „მეკობრე“ ახლა მხოლოდ მოთელვას გადის და ბრჭყალებს „ტურ დე ფრანსზე“ გამოაჩენსო. ალბათ, ასეცაა, თორემ პანტანის ასე სამარცხვინოდ სად და როდის ურბოლია? ყოველ შემთხვევაში, ცხრა მთას იქით „ტურიც“ აღარაა, 2 ივლისს იწყება და ვნახოთ.



REUTERS

პელოტონმა ზღვის ჰაერიც ჩაყლაპა

**დავით გულუა**

**მე-18 ეტაპი**

**გენუა-პრატონევოზო, 173 კმ.**

1. სტეფანო გარძელი (იტალია, მერკატონე უნო) — 4:42:32;
2. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „ლამპრე“) — იგივე დრო;
3. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ვინი კალდიროლა) — იგივე დრო;
4. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, ბანესტო) — +2;
5. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი) — იგივე დრო;

**საერთო ჩათვლა**

1. კასაგრანდე — 87:11:09;
2. გარძელი — +25;
3. სიმონი — +53;
4. ვლადიმირ ბელი (იტალია, ფასა ბარტოლო) — +1:11;
5. ტონკოვი — +2:41.

# ეძინა ზაბელს, არ ეძინა პლაზას

„ჯიროს“ პარალელურად დაიწყო და უკვე დასრულდა კიდეც „გერმანიის ტური“, რომელსაც, ალბათ, არც არავინ მიაქცევდა ყურადღებას, რომ არა „ტურ დე ფრანსში“ გამარჯვების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრეტენდენტის, გერმანელი იან ულრიხის მონაწილეობა.

რვაეტაპიანმა ტურმა საკმაოდ მშვიდად ჩაიარა. მშვიდად იმიტომ, რომ არც ულრიხსა და არც კიდევ რამდენიმე გამორჩეულ სპორტსმენს თავი დიდად არ გამოუდვიათ „ტურ დე ფრანსის“ წინ, რომელიც 2 ივლისს იწყება. ასე ვთქვათ, გასახურებელი წრე გაიარეს გერმანელმაც და მასთან ერთად მოასპარეზე შვეიცარიელმა ლორან დიუფომაც. ორივე კმაყოფილი დარჩა საკუთარი თავით.

„აღმართებზე მშვენივრად ვგრძნობ თავს — თქვა ულრიხმა — ეს არის, მთიდან დაშვებისას ვფრთხილობ. ზედმეტი რისკი საჭირო არ არისო, მირჩევს მწვრთნელი და მეც რა თქმა უნდა, სავსებით ვენდობი მას“.

ურიგოდ არ გამოსულა ტურზე გერმანელი სპრინტერი ერიც ზაბელი, მან რამდენიმე სპრინტერული ფინიში მოიგო და „ტურ დე ფრანსის“ წინ სერიოზული განაცხადიც გააკეთა. „ფრანგულ წრეზე“ მონაწილე ერთადერთი გერმანული გუნდის, „ტელეკომის“ გრეგარებიც (ლიდერის დამხმარე რაზმი) კარგ ფორმაში არიან. უდო ბოლტსი და როლფ ალდაგი, მწვრთნელისავე თქმით, ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ „ტურ დე ფრანსის“ მთავარი ჯილდო ორი წლის შესვენების შემდეგ კვლავ გერმანიაში გაემგზავროს.

ეს ყველაფერი კარგი და თავად „გერმანიის ტურის“ მოგებაც არ იქნებოდა მონაწილეთა უმრავლესობისთვის კარიერის უჩინო წერტილი. ესპანელმა დავიდ პლაზამ გულით გაიხარა, როცა ბრანდენბურგის ჭიშკარში შეგრიალებულმა გაარკვია, რომ ტურის საერთო ჩათვლა მოეგო. პოტსდამიდან ბერლინამდე გაჭიმული 139,4-კილომეტრიანი გზის ფინიში პელეტონმა გადალახა ზაბლის თამადობით, იმას ჰოლანდიელი იან კოერტსი მიჰყვებოდა კუდში და მესამე გერმანელივე მარსელ ვუსტი იყო. პლაზას მოწინავე ჯგუფში ეპოვა ადგილი, ამიტომ საერთო ჩათვლაში იგივე პოზიცია შეინარჩუნა, როგორიც იქამდე ეკავა, ანუ პირველი. „ინდივიდუალური რბოლის შემდეგ მივხვდი, რომ ჩინებული შანსი მქონდა — ამბობს გამარჯვებით ალტაცებული 29 წლის მრბოლი, „ფესტინას“ გუნდის საჩინო წევრად რომ ითვლება — შემდგომი ჩემი ამოცანა მოპოვებულის შენარჩუნება იყო და იგი წარმატებით გადავწყვიტე“.

ულრიხი, როგორც ვთქვით, „გერმანიის ტურზე“ თვლემდა და არც ბოლო ეტაპზე გაუკეთებია რაიმე გამოსარჩევი — პლაზაზე 18 წუთით გვიან უწია ფინიშს. „მიზანი ერთია, ცხადი და ნათელი — ეს კვლავ მისი სიტყვებია — „ტურ დე ფრანსისთვის“ სრულ საბრძოლო ფორმაში უნდა ვიყო. ჯერჯერობით ყველაფერი იქითკენ მიდის“.

**ირაკლი ბერიაშვილი**

**დავით გულუა**



დავიდ პლაზა

**„გერმანიის ტური“**

**მერვე ეტაპი**

**პოტსდამი — ბერლინი, 139,4 კმ**

1. ერიკ ზაბელი (გერმანია) — 3:15:58
2. იან კოერტსი (ჰოლანდია)
3. მარსელ ვუსტი (გერმანია)
4. ანდრიო ლეონი (იტალია)
5. სოერენ პეტერსენი (დანია) — ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. დავიდ პლაზა (ესპანეთი) — 31:08:55;
2. ანდრეას კლოედენი (გერმანია) — +42;
3. უდო ბოლტსი (გერმანია) — +1:26;
4. ანგელ ლუის კასერო (ესპანეთი) — +1:42;
5. მიქაელ ბლაუდუნი (დანია) — +1:46



## PLAY OFF

### ფინალი

# ჰიჩკოკის სცენარი: შემოიტყუე და მოახრჩე

1 ივნისი

**ნიუ ჯერსი — დალასი 1:1**

**ნიუ ჯერსი — დალასი 1:2**

**1:1 0:0 0:1**

**0:1 ჰალი 4'25 (10); 1:1 მოგილნი 12'42 (4); 1:2 ჰალი 55'44 (11)**

ერთობ მოულოდნელი პირველი თამაშის შემდეგ ყველას აინტერესებდა — როგორ შეძლებდა დალასელთა თავკაცი კენ ჰიჩკოკი შეგირდების ფსიქოლოგიური სტრესიდან გამოყვანას. მისი ნიუჯერსელი კოლეგა ლარი რობინსონი ფილადელფიასთან სერიის მეოთხე მატჩის შემდეგ ათი წუთი უყვიროდა და ლანძღავდა თავის ბიჭებს გასახდელში. ყოველთვის მშვიდი და მოთამაშეებთან ლამის მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი თავკაცის ამ ემოციურმა გამოსვლამ ნაყოფი გამოიღო. ეტყობა, ჰიჩკოკს ამგვარი რადიკალური ზომებისთვის არ მიუმართავს და არც იყო საჭირო, რადგან დალასი ის გუნდი არ არის, ერთმა, თუნდაც ასეთმა მწარე მარცხმა თავგზა აუბნიოს. თუმც მცირე ცვლილებები მაინც მოხდა. იერი ლეჰტინენი კვლავ დაბრუნდა მოდანოსა და ჰალის სამეულში ბრენდან მოროუს ნაცვლად. ფინელი დაცვითი ფუნქციების მარჯვე შემსრულებელია და მისი გადასვლით გუნდის ლიდერებს საშუალება მიეცათ, შეტევაზე გადაეტანათ აქცენტი. როგორც მომდევნო მოვლენებმა ცხადყო, ამ ნაბჯიმა გაამართლა და წინა თამაშში სრული ფიასკოს შემდეგ მოდანოს სამეულმა ამჯერად თავისი საქმე გააკეთა.

*სურპლასი*

ეს ტერმინი ველორბოლებშია მიღებული — ტრეკზე სპრინტერული შეჯიბრების დროს მოწინააღმდეგეები გარკვეულ მომენტში ერთ ადგილზე ჩერდებიან და ხანგრძლივი პაუზით ერთმანეთის მოტყუებას ცდილობენ. ზშირად ეს პაუზა საკმაოდ დიდხანს გრძელდება და ვისაც ნერვები უმტყუნებს და პირველი აჩქარდება, მას ფინიშამდე ძალა აღარ ჰყოფნის. ეს სიტყვა ზედმიწევნით კარგად გამოხატავს იმას, რაც მატჩის ბოლო ორი პერიოდის განმავლობაში მოხდა. პირველი ოცწუთეული კი ყველაზე ცოცხალი გამოდგა. ამის მიზეზი სწრაფად გატანილი გოლი გახდა. სტუმრებს სანიმუშო კომბინაცია გამოუვიდათ — მოდანომ შაიბის ჩაგდება მოიგო, ჰალს გადააწოდა და „ოქროს ბრეტმაც“ უზუსტესი დარტყმით ბროდოს არანაირი შანსი არ დაუტოვა. თუმც ნიუ ჯერსი გოლმა სულაც არ დააბნია. მათ აუღელვებლად განაგრძეს თამაში, თანდათან უმატეს ტემპს და მოგილნიმ, რომელსაც წინა მატჩებში ბედი არ სწყალობდა, მაინც გაიტანა.

მერე კი დაიწყო, რასაც ზემოთ სურპლასი ვუწოდეთ. ძნელი სათქმელია, ეს ნიუ ჯერსის ინიციატივით მოხდა, თუ დალასმა აიძულა მეტოქე, მაგრამ თანდათან თამაშის ტემპმა იკლო. გუნდები მხოლოდ ორი-სამი ჰოკეისტით უტევდნენ, ზედმეტად ფრთხილობდნენ და მომენტებიც იშვიათად იქმნებოდა. მასპინძლებს უფრო რეალური შესაძლებლობები ჰქონდათ, მაგრამ პეტრ სიკორამ ორი ერთზე გასვლის დროს პასს დარტყმა ამჯობინა, ხოლო რენდი მაკეიმ ახლო მანძილიდან ვერ გაუტანა ძალიან საიმედოდ მოთამაშე ედ ბელფორს. საინტერესოა, რომ ამჯერად წამყვანი ჯეისონ არნოტის სამეულის ყინულზე ლამის ყველა გასვლისას, მათ დალასელთა ასევე პირველი — ჰეჩერი-მატვიჩუკის დაცვითი წყვილი ეწინააღმდეგებოდა და „ეშმაკთა“ ლიდერები ნაკლებად ჩანდნენ. თავის მხრივ დალასიც ქმნიდა დროდადრო ხიფათს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეტოქის ზონაში ჩაკეტვას აზერხებდა, თუმც ანგარიში არა და არ იცვლებოდა. თანაც მოწინააღმდეგეები წესებს იშვიათად არღვევდნენ, ამიტომაც რიცხვმრავლობაში თამაშის საშუალება სულ სამჯერ მიეცათ. საბოლოოდ კი, სურპლასის კანონების მიხედვით, დამარცხდა ის, ვინც პირველმა დაუშვა შეცდომა. მოედნის შუაგულში ნიუჯერსელთა ერთ-ერთი მცველი გაიჩხირა და მეტოქის ზონაში სრული შემადგენლობით შესრიალებულმა მოდანოს სამეულმა ჩინებულად ისარგებლა მომენტით. იერი ლეჰტინენის დარტყმას კვლავ ჰალმა შეუცვალა ოსტატურად მიმართულება და დარჩენილ ოთხ წუთში შოკში ჩავარდნილმა მასპინძლებმა მეკარის მექვსე მოთამაშის შეცვლითაც ვეღარ მიაღწიეს მიზანს.

**სამველ ლარიბიანი**



# ჰოლიფილდი ვეღარ იქნევს

დონ კინგისგან ლენოქს ლუისისთვის სასამართლოს ძალით წაღლეტილი კრივის მსოფლიო ასოციაციის (ვბა) ძვირფასი ქამარი დღესაც უპატრონოა. მსოფლიო კრივის ნომერ პირველმა პრომოუტერმა, ლუისთან პროცესის მოგებისთანავე ახალი მატჩის ორგანიზება წამოიწყო და 10 ივნისისთვის თავისებურად მოაკვარახჭინა საქმე: ლას ვეგასის დიდებული „სიზარს პალასი“, აქეთ ჯონ რუისი, ვისთანაც ბრძოლა იუარა ლუისმა და, იქით კიდევ ევანდერ ჰოლიფილდი, იმავე ლუისისგან შარშან ნოემბერს გალახული და, მაინც დიდი მოკრივე, ტიტულებითა და ჩინ-მედლებით სავსე. თუმცა 10 ივნისს „სიზარს პალასი“ ხალხით აღარ გაივსება — დონ კინგის განცხადებით, რომელიც მან ხუთშაბათს გააკეთა, ჰოლიფილდმა ტრავმა მიიღო და მატჩიც სადღაც აგვისტოსკენ გადაიდო. ტრავმის დეტალებზე ვინმე დოქტორმა ფილიპ ჰომანსკიმ ისაუბრა. ჰოლიფილდი სპარინგობისას დაშავებულა მარცხენა ნეკნსქვემოთა არეში. „საკმარისია, მუშტი ლონივრად მოიქნიოს — დააზუსტა ექიმმა — რომ ისეთი ტკივილები ეწყება, თვალებიდან ცრემლებს ყრის“. 37 წლის ჰოლიფილდის გულშემატკივრებს ექიმის სხვა ნათქვამით თუ დავამშვიდებთ — ტრავმა უმნიშვნელო ყოფილა და მოკრივე მას მალე მოიშუშებსო. ერთია მხოლოდ: 10 ივნისს მისი რინგზე გასვლა გამოირიცხა.



ევანდერ ჰოლიფილდი

**დავით გულუა**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **მჩ შესარჩევი მატჩები** | | | |
| | **3 ივნისი** | | | |
| 503 | ურუგვაი-ჩილე | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 504 | პარაგვაი-ეკვადორი | 1,55 | 3,0 | 6,0 |
| | **4 ივნისი** | | | |
| 505 | არგენტინა-ბოლივია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 506 | პერუ-ბრაზილია | 4,7 | 3,0 | 1,65 |
| 507 | კოლუმბია-ვენესუელა | 1,05 | 7,0 | 14,0 |
| | **ამხანაგური მატჩები** | | | |
| | **2 ივნისი** | | | |
| 508 | პორტუგალია-უელსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | **3 ივნისი** | | | |
| 509 | ნორვეგია-იტალია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 510 | მალტა-ინგლისი | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 511 | უნგრეთი-ისრაელი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 512 | გერმანია-ჩეხეთი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 513 | რუმინეთი-საბერძნეთი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 514 | დანია-ბელგია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 515 | სლოვენია-საუდის არაბეთი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 516 | შვედეთი-ესპანეთი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | **4 ივნისი** | | | |
| 517 | ესტონეთი-ბელარუსი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 518 | მოლდოვა-რუსეთი | 5,0 | 3,2 | 1,5 |
| 519 | ჰოლანდია-პოლონეთი (ნეიტრ.) | 1,35 | 3,6 | 7,0 |
| | **ჰასანის თასი (მაროკოში)** | | | |
| | **4 ივნისი** | | | |
| 520 | საფრანგეთი-იაპონია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 521 | მაროკო-იამაიკა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | **ტურნირი აშშ-ში** | | | |
| | **4 ივნისი** | | | |
| 522 | ირლანდია-მექსიკა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 523 | აშშ-სამხრეთ აფრიკა | 1,6 | 3,0 | 4,7 |
| | **იტალია. სერია ბ. 37-ე ტური** | | | |
| | **4 ივნისი** | | | |
| 001 | ალძანო-პესკარა | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| 002 | ბრეშა-ემპოლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 003 | ჩეზენა-კოზენცა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 004 | კიევო-ტრევიზო | 1,7 | 2,8 | 4,7 |
| 005 | ფერმანა-სამპდორია | 5,6 | 3,6 | 1,2 |
| 006 | გენოა-რავენა | 1,8 | 1,8 | 6,0 |
| 007 | მონცა-ვიჩენცა | 1,8 | 2,5 | 3,5 |
| 008 | პისტოიეზე-ნაპოლი | 2,1 | 2,5 | 2,6 |
| 009 | სალერნიტანა-ტერნანა | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| 010 | სავოია-ატალანტა | 5,6 | 3,6 | 1,2 |
| | **იტალია. სერია ც. II მატჩები** | | | |
| | **4 ივნისი** | | | |
| 011 | პიზა-ბრეშელო | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 012 | ჩიტადელა-ვარეზე | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 013 | ლეკო-კრემონეზე | 1,8 | 2,6 | 4,7 |
| 014 | ლუმეცანე-მონტევარკი | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 015 | ანკონა-არეცო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 016 | ასკოლი-ვიტერბეზე | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| 017 | სტაბია-ატლეტიკო ბ | 1,5 | 3,2 | 6,0 |
| 018 | ფ.ანდრია-გუალდო | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| | **ესპანეთი. II დივიზიონი. 42-ე ტური** | | | |
| | **3 ივნისი** | | | |
| 019 | ლეიდა-ელჩე | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 020 | ლეგანესი-ტოლედო | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| 021 | ლას პალმასი-ლევანტე | 1,8 | 3,0 | 3,5 |
| | **4 ივნისი** | | | |
| 022 | ატლეტიკო ბ-მერიდა | 3,5 | 3,1 | 1,8 |
| 023 | ოსასუნა-უელვა | 1,3 | 4,0 | 5,0 |
| 024 | კომპოსტელა-სპორტინგი | 2,0 | 2,0 | 3,5 |
| 025 | კორდობა-ტენერიფე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 026 | ლოგრონიესი-ვილიარეალი | 1,8 | 3,0 | 3,0 |
| 027 | სალამანკა-ეიბარი | 1,2 | 4,0 | 7,5 |
| 028 | ალბასეტე-გეტაფე | 1,8 | 3,2 | 2,5 |
| 029 | ესტრემადურა-ბადახოსი | 1,6 | 2,8 | 6,0 |
| | **ჰოლანდია. მე-6 ტური** | | | |
| | **3 ივნისი** | | | |
| 030 | ექსელსიორი-როზენდალი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 031 | ცვოლე-კამბური | 1,3 | 3,5 | 4,4 |
| | **4 ივნისი** | | | |
| 032 | ემენი-ალმელო | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| 033 | გრონინგენი-მაასტრიხტი | 1,35 | 3,8 | 6,5 |
| | **შვეიცარია. მე-12 ტური** | | | |
| | **2 ივნისი** | | | |
| 034 | გრასჰოპერი-ბაზელი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 035 | ლოზანა-სენტ გალენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | **3 ივნისი** | | | |
| 036 | ლუცერნი-ივერდონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 037 | სერვეტი-ქსამაქსი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | **ეჩ (21 წლამდე). მე-3 ადგილი და ფინალი** | | | |
| | **3 ივნისი** | | | |
| 501 | | | | |
| 502 | | | | |
| | **კალათბურთი** | | | |
| | **4 ივნისი** | | | |
| 803 | ლეიკერსი-პორტლენდი | | | |
| 804 | ინდიანა-ნიუ იორკი | | | |
| | **ჰოკეი** | | | |
| | **3 ივნისი** | | | |
| 805 | დალასი-ნიუ ჯერსი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| | **5 ივნისი** | | | |
| 806 | დალასი-ნიუ ჯერსი | | | |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**





**ჟელკო რებრაჩა**

იუგოსლავიის ნაკრების და ათენის „პანათინაიკოსის" ცენტრი

დაიბადა 1972 წლის 9 აპრილს იუგოსლავიის ქალაქ აპატინში

სიმაღლე: 211 სმ; წონა: 109 კგ

კარიერა 1991-95: პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია); 1995-99: ბენეტონი (ტრევიზო, იტალია); 1999-დღემდე: პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი)

ტიტულები იუგოსლავიის ჩემპიონი (1992, 1993, 1995); იტალიის ჩემპიონი (1997); საბერძნეთის ჩემპიონი (2000); ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1992, 2000); საპორტას თასის მფლობელი (1999); ევროპის ჩემპიონი (1995, 1997); მსოფლიოს ჩემპიონი (1998); ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი (1996, ატლანტა)

# ბიბლიის მკითხველი იუვენტუსს ქომაგობს და ციგნებზე ბრაზდება

*საინფორმაციო სააგენტო „ტელებასკეტი" ესაუბრა იუგოსლავიის ნაკრებისა და ათენის „პანათინაიკოსის" ცენტრ ჟელკო რებრაჩას. გთავაზობთ ამ ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს.*

**— ჟელკო, წლეულს „პანათინაიკოსმა" ევროლიგაც მოიგო და საბერძნეთის ჩემპიონატიც. მიუხედავად ამისა, თქვენი დონის კალათბურთელს საბერძნეთში თამაში არ უნდა აკმაყოფილებდეს...**

— რატომ? საბერძნეთში თამაში ძალიან მომწონს.

**— გასაგებია, მაგრამ იქ მხოლოდ სამი-ოთხი ძლიერი გუნდია; მაშინ, როცა იტალიაში ან ესპანეთში გაცილებით მაღალი დონის ჩემპიონატებია.**

— ვერ დაგეთანხმებით. საბერძნეთის გუნდებმა წლეულს ორი ევროთასი მოიგეს, ჩვენ — ევროლიგა, ათენის აეკ-მა — საპორტას თასი. ხომ ვერ მეტყვით, რა მოიგეს იტალიურმა ან ესპანურმა კლუბებმა?

**— თქვენ საბერძნეთშიც გითამაშიათ და იტალიაშიც. რომელი ჩემპიონატი სჯობს?**

— გააჩნია, რა კომპონენტი გაინტერესებთ... ჯამში, დაახლოებით თანაბარი დონეა.

**— სეზონის დაწყების წინ ბოლონიის „კინდერმა" კონტრაქტი შემოგთავაზათ. რატომ არ დათანხმდით?**

— იმიტომ, რომ „კინდერი" ევროლიგაში ვერ მოხვდა. ბოლონიელები საპორტას თასზე თამაშობდნენ. ეს ტურნირი კი შარშან მოვიგე ტრევიზოს „ბენეტონის" რიგებში. მე ევროლიგის მოგება მსურდა და ამიტომ გადავედი „პანათინაიკოსში".

**— თანაც, ამ გუნდს ჟელკო ობრადოვიჩი ჩაუდგა სათავეში...**

— ობრადოვიჩი ევროპის საუკეთესო მწვრთნელია. თუკი რამე ტიტული მომიგია, ყველა მისი ხელმძღვანელობით. იგი „პარტიზანშიც" ჩემი მწვრთნელი იყო, „ბენეტონშიც", „პანათინაიკოსშიც" და იუგოსლავიის ნაკრებშიც.

**— ევროლიგის მოგება უფრო გაგიჭირდათ თუ საბერძნეთის ჩემპიონატის?**

— ევროლიგის. ეს უფრო რთული შეჯიბრებაა. თანაც „ოთხთა ფინალის" წინ „პანათინაიკოსს" პატარა ჩავარდნა ჰქონდა. ეს ჩვეულებრივი ამბავია, ნებისმიერ გუნდს შეიძლება დაემართოს. საბედნიეროდ, კრიზისი მალე დავძლიეთ. საბერძნეთის ჩემპიონატის პლეი ოფისთვის უკვე კარგ ფორმაში ვიყავით.

**— ევროლიგის ფინალში თქვენ აჯობეთ თელ ავივის „მაკაბის" ამერიკელ ცენტრს ნათანიელ ჰაფმანს...**

— უფრო სწორად, „პანათინაიკოსმა" აჯობა „მაკაბის". ჰაფმანი ძალიან კარგი მოთამაშეა, მაგრამ, ვფიქრობ, მე უკეთესი ვარ.

**— დარჩებით წლეულს „პანათინაიკოსში"?**

— ვფიქრობ, ასე იქნება. კონტრაქტით კიდევ ერთი სეზონი „პანათინაიკოსს" ვეკუთვნი.

**— ამბობენ, „პანათინაიკოსს" ხორვატი ტონი კუკოჩის დამატება სურსო. თქვენ, როგორც იუგოსლაველს, მასთან ურთიერთობისას პრობლემები არ შეგექმნებათ?**

— აბა, ვინ იტყვის კუკოჩისნაირ პარტნიორზე უარს?! თუკი ის ჩვენი თანაგუნდელი გახდება, გამიხარდება და საერთო ენასაც მალე გამოვნახავთ. თუმცა, ვეჭვობ, კუკოჩი „პანათინაიკოსში" გადმოვიდეს. როგორც ვიცი, ეს მის გეგმებში არ შედის.

**— „პანათინაიკოსში" და იუგოსლავიის ნაკრებში თქვენს პარტნიორ დეიან ბოდიროგაზე რა აზრის ხართ?**

— რა აზრის უნდა ვიყო: ბოდიროგა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელია. თუმცა, არა, უდავოდ საუკეთესოა. თან, ჩემი მეგობარი და კარგი პიროვნებაა.

**— თქვენ და ბოდიროგას იდეალური წყვილი გაქვთ შექმნილი. თვლით, რომ მომავალ სეზონში უფრო შეთამაშდებით და „პანათინაიკოსიც" უფრო გაძლიერდება?**

— ეს მხოლოდ ჩემზე და ბოდიროგაზე არაა დამოკიდებული. მთავარია, ვინ დარჩება გუნდში, ვინ წავა და მათ სანაცვლოდ ვინ მოვა. ჩემი აზრით, ახლაც საკმაოდ ძლიერები ვართ.

**— რა მიზეზით შეიძლება დატოვოთ „პანათინაიკოსი"?**

— თუკი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციიდან შემომთავაზებენ კარგ წინადადებას, მაშინ „პანათინაიკოსის" ხელმძღვანელებს გათავისუფლებას ვთხოვ. იმედია, ხელს არ შემიშლიან. თუმცა, წინადადებები არ ჩანს, ასე რომ, ჯერჯერობით პანათინაიკოსელი ვარ.

**— 1994 წელს „სიეტლ სუპერსონიქსმა" დრაფტში აგირჩიათ, მერე კი „მინესოტა ტიმბერვულვზში" გაგყიდათ. აქამდე რატომ არ წახვედით ნბა-ში?**

— იმიტომ, რომ კარგი კონტრაქტი არ შემომთავაზეს. მე არ ვარ ის კალათბურთელი, რომელმაც ოღონდ ნბა-ში ითამაშოს და ყველაფერზე თანახმაა.

**— კი მაგრამ, იქ ისეთი ევროპელი კალათბურთელები თამაშობენ, რომლებიც თქვენ ვერც შეგედრებიან...**

— მეც თავისუფლად ვითამაშებ ნბა-ში, ოღონდ კარგი კონტრაქტით.

**— შარშან „ტორონტო რეპტორზში" თითქმის გადასული იყავით. მერე რა მოხდა?**

— რაც აქამდე გითხარით: კონტრაქტი არ მომეწონა. ერთი სიტყვით, თუკი ნბა-ს რომელიმე გუნდს ჩემი აყვანა სურს, ჯერ კარგი კონტრაქტი შეადგინოს და მერე დამიკავშირდეს.

**— როგორ აფასებთ იუგოსლავიის ნაკრების შანსებს სიდნეის ოლიმპიადაზე?**

— ვფიქრობ, უმედლოდ არ დავრჩებით. ჩემპიონობაზე კი, რა მოგახსენოთ...

**— ოქროს მედლებზე აქედანვე ხელი გაქვთ ჩაქნეული?**

— სრულებითაც არა, ვეცდებით რომ ოლიმპიადა მოვიგოთ, მაგრამ ამერიკასთან ბრძოლა ძალიან გაჭირდება.

**— იუგოსლავიის სასტარტო ხუთეული: ჯორჯევიჩი, დანილოვიჩი, ბოდიროგა, სტოიაკოვიჩი, რებრაჩა. მათი დამარცხება, განა, ძნელი არ იქნება?**

— ამერიკის სასტარტო ხუთეული: ჰიუსტონი, კიდი, ჰილი, დანკანი, მურნინგი — არც მათი დამარცხებაა იოლი. ვნახოთ, სიდნეიმდე ცოტა დრო რჩება. იუგოსლავიის ნაკრებზე გეტყვით: კალათბურთის სახელები არ თამაშობენ. მთავარია, ვინ როგორ ფორმაში იქნება.

**— რა იყო თქვენი კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი?**

— „პარტიზანთან" კონტრაქტის გაფორმება.

**— ცხოვრების?**

— ცხოვრებაში ასეთი მომენტი სამჯერ მქონდა. პირველად, როცა ვაჟი, ფილიპი შემეძინა. მეორედ, როცა ჩემი ქალიშვილი, კატია მოევლინა ამ ქვეყანას. მანამდე კი ყველაზე მნიშვნელოვანი ის დღე იყო, როცა პირველად შევდგი ფეხი საკალათბურთო მოედანზე.

**— „ბენეტონის" და „პანათინაიკოსის" შემადგენლობაში ხშირად გიწევდათ და გიწევთ მშობლიურ ბელგრადში თამაში. არ ბრაზდებით, როცა იქაური ფანები გლანძღავენ და გაგინებენ?**

— რა თქმა უნდა ვბრაზდები. ვინც მე მაგინებს, ის „ციგანია", ასე ვუწოდებთ ჩვენ „ცრვენა ზვეზდას" გულშემატკივრებს. მე ყოფილი პარტიზანელი ვარ, ეს გუნდი კი „ციგნებს" არ უყვართ.

**— კარიერის იუგოსლავიაში დამთავრებაზე არ ფიქრობთ?**

— შეიძლება კარიერის ბოლო სეზონი სამშობლოში ვითამაშო. ჯერ არ გადამიწყვეტია.

**— კალათბურთის გარდა სპორტის რა სახეობა გიყვართ?**

— ფეხბურთი. ტურინის „იუვენტუსის" დიდი გულშემატკივარი ვარ.

**— სპორტს თავს რომ დაანებებთ, რას გააკეთებთ?**

— არაფერს განსაკუთრებულს: ვიმოგზაურებ და ახალგაზრდობაში ნაშოვნ ფულს აქეთ-იქით გავფანტავ.

**— ჰობი გაქვთ?**

— მანქანების შეგროვება მიყვარს, განსაკუთრებით „ბე-ემ-ვე" მომწონს. მარტო ამ მარკის სამი მანქანა შევიძინე.

**— ღმერთი გწამთ?**

— დიახ. დღე არ გავა, ბიბლიის ერთი თავი მაინც რომ არ წავიკითხო.

**საქართველოს თასი ჩემპიონატი — ნახევარფინალი, II მატჩი**

**ბასკო — სდასუ 2:0**

2 ივნისი. ბათუმი

**ბასკო 85:71 სდასუ**

I ტაიმი 48:34

ბასკო: მაისურაძე (4), დავითულიანი (11), ქარაბაკი (27), ჭეიშვილი (4), არხიპოვი (6); ბელიაევი (6), აბრამიძე (11), კვაჭაძე (4), კეშელავა, ბეჟანიშვილი (12)

სდასუ: ხოშტარია (29), გ. ჩხეიძე (10), უძილაური (7), ლ. აბულაძე (2), მაჭარაძე (12); ნ. ნოზაძე, ანდღულაძე (3), სუხიშვილი (8)

მსაჯები: როლანდ გელოვანი, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

# ბასკო თბილისში ჩამოსვლას ფინალამდე არ აპირებს

**გიორგი გიკაშვილი ბათუმიდან**

მშობლიურ ქალაქში ვინმეს „ბასკო“ დაემარცხებინოს, ასეთი რამ ჯერ არავის უნახავს და ისეთი პირი უჩანს, წლეულს ნაღდად აღარ დაარღვევენ ბათუმელები ამ უნებლიე ტრადიციას. სდასუ იმთავითვე არ ჰგავდა ზღვისპირეთში მომგებ გუნდს და სულ თავიდან, ნახევარფინალის თბილისური მატჩი რომ დათმო, ფინალისტის ვინაობაც, ვფიქრობ, მაშინ გაირკვა. მეტსაც გეტყვით, აჭარის გუნდი ამ წყვილში ფავორიტად ითვლებოდა იმიტომ, რომ სტუდენტურ კლუბს მართლაც სჯობს და ერთიორად კარგი შემადგენლობაც ჰყავს.

ბევრიც არაფერი, გუშინ ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, „ბასკომ“ ახლა ბათუმში მოუგო სდასუ-ს და მიანიშნა, თბილისში ჩამომსვლელი აღარ ვარ, ფინალისტობით ჩემსავე ქალაქში უნდა გავიხაროო.

ვერ დავიჩემებ, სტუმართა განწყობა მაინცადამაინც საბრძოლო იყო-მეთქი. ცხადი იყო, სდასუ თავისას შეეცდებოდა, უბრალოდ, მეტი პრეტენზიის მქონე გუნდი თამაშის დღეს არ ეწვეოდა ბათუმს.

თავად მატჩი წინასწარ დათქმული საღამოს შვიდი საათის ნაცვლად ხუთზე დაიწყო. მიზეზი რომ გავიკითხე, ორივე გუნდს ასე გვიჯობდაო, მომიგეს და, სიმართლე გითხრათ, აღარ ჩავძიებივარ. დროის გადმოწევამ მხოლოდ ის შეცვალა, რომ როცა მეტოქეები ერთმანეთს შეებნენ, დარბაზი სანახევროდ სავსე თუ იქნებოდა, მერე და მერე კი თითქმის ბოლომდე გაივსო.

სდასუ-მ თბილისში გაცილებით მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს, თუმც თავად თამაში, შინაარსითა და მიმზიდველობით, გუშინდელი სჯობდა. ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ, შეიძლება ითქვას, ექსპერიმენტული ხუთეული განალაგა მოედანზე. ძირითადში ერთბაშად სამ მაღალს, ქარაბაკს, ჭეიშვილსა და არხიპოვს უხმო, რაც „ბასკოს“ მხრიდან ფარის დაპყრობის სურვილზე მიგვანიშნებდა. ვერ ვიტყვი, რომ ამ კომპონენტში, მით უფრო შეხვედრის დებიუტში, მართლაც დაიჩაგრა სდასუ, თუმც მათი ცენტრი შოთა მაჭარაძე საგულდაგულოდ შეებოჭათ ბათუმელებს და სტუდენტებს ისღა დარჩენოდათ, გარედან შეეტიათ.

საწყისმა წუთებმა „ბასკოს“ სრული უპირატესობით ჩაიარა, განსაკუთრებით ალეკო დავითულიანი მარჯვობდა და როცა მან თავისივე ჩაჭრილი ბურთი მოხდენილად ჩატენა, ანგარიში 8:2 გახდა მასპინძელთა სასარგებლოდ. სტუდენტთა დამრიგებელმა ლევან მოსეშვილმა მკვეთრად შეცვალა სათამაშო ტაქტიკა, შეგირდებს დაცვაში ზონური ქმედება უბრძანა და ნაყოფიც უმალ მოიმკო: ირაკლი ხოშტარიამ ორი საჯარიმო ჩააგდო, გიორგი ჩხეიძემ შორი მანძილიდან ივარგა და იმავე ხოშტარიამ სულ მალე წონასწორობაც აღადგინა — 8:8.

მომდევნო ეპიზოდში სდასუ პირველად და როგორც გაირკვა, უკანასკნელად დაწინაურდა, მერე კი ზურაბ ტომარაძემ ხუთეულის იქამდე უცვლელი წევრი, ვლადიმერ ბეჟანიშვილი შემოუშვა მოედანზე და სასწორი კვლავაც ბათუმელთა მხარეს გადაიხარა. სტუმრები ლევან ქარაბაკს ვეღარ უმკლავდებოდნენ, რომელიც კვლავაც ყველა ორთაბრძოლაში გამარჯვებული გამოდიოდა და ქულას ქულაზე ინაგრებდა. მოწინააღმდეგე ბანაკიდან ირაკლი ხოშტარია თითქმის მარტო ებრძოდა „ბასკოს“, მისი თავგამოდების წყალობით სდასუ-მ კარგა ხანს ფეხდაფეხ მისდია მეტოქეს, მერე კი ისევ აჭარის გუნდმა იმძლავრა და ზუსტად ათი წუთის შემდეგ, პირველად მატჩში, ათქულიანი სხვაობაც დაფიქსირდა — 27:17.

თუ ფედერაციისგან დისკვალიფიცირებული ვალერი კილაძის არყოფნაში „ბასკო“ მაინც იოლად გადიოდა ფონს, უნაცვლიშვილოდ დარჩენილ (მასაც დისკვალიფიკაცია აქვს) სდასუ-ს სულ უფრო და უფრო უჭირდა. სტუდენტებმა ნელ-ნელა დათმეს ფარი, ვეღარც სწრაფი პირველი შეტევების განხორციელება მოახერხეს და ანტონ არხიპოვის ზუსტი საჯარიმოების შემდეგ თვალშისაცემად ჩამორჩნენ მოწინააღმდეგეს. ხოშტარიამ და მაჭარაძემ მალე კვლავაც ათქულიანი გახადეს სხვაობა, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამ დროისთვის „ბასკო“ მთლიანად სათადარიგოებით თამაშობდა, ეს აღარც იყო გასაკვირი.

ტაიმის ბოლო წუთებში სდასუ მეტად აქტიურობდა, „ბასკო“ ძირითადად დაჯარიმების ხარჯზე აზშობდა სტუდენტთა შეტევებს, მაგრამ შეცვლაზე შემოსულმა ლადო სუხიშვილმა სამიზნე ვერაფრით გაისწორა და რვაჯერ ნასროლი საჯარიმოდან მხოლოდ სამის ჩაგდება შეძლო. ამით ლევან მოსეშვილის გუნდმა ანგარიშის შემცირების კარგი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, რითაც „ბასკომ“ ისარგებლა და ერთ-ერთმა მისმა სათადარიგო მოთამაშემ, დავით კვაჭაძემ უკანასკნელ წამზე ჩაგდებულით პირველ ტაიმს წერტილიც დაუსვა.

შესვენების შემდეგ სდასუ-ს რიგებში მალხაზ ანდღულაძე გამოჩნდა, რის შედეგადაც ამ გუნდის ზონური დაცვა უფრო შეკრული და შეუვალი გახდა. ანდღულაძემ სამიანი ჩააგდო, ჩხეიძემ სწრაფი გარღვევით ორი ქულა გაქვითა, ორიც — ხოშტარიამ საჯარიმოებით და სტუდენტები შვიდ ქულამდე მიუახლოვდნენ „ბასკოს“.

დაიძაბა სიტუაცია და ზუსტად მაშინ, ასე ხუთიოდ წუთით შეწყდა თამაში. ამ გუნდების თბილისური მატჩისგან განსხვავებით, მიზეზი ჩხუბი და აყალმაყალი არ ყოფილა. ალეკო დავითულიანი დაშავდა მძიმედ, მას სრულიად უწყინარ სიტუაციაში იატაკზე ფეხი აუცურდა და მოედნიდან სხვები თუ გაიყვანდნენ, თორემ თავისით წამომდგომი ნაღდად არ იყო.

ამ ეპიზოდის შემდეგ გახსნილი და ქაოსური თამაში გაგრძელდა. მეტოქენი ბევრს და უხეშად სცოდავდნენ, „ბასკომ“ ლიდერობის განმტკიცების არაერთი შანსი გაანიავა, სდასუ-მ კი ანგარიშში სხვაობის შემცირების.

მთელი შეხვედრის მანძილზე ოსტატურად მოთამაშე სდასუელთა კაპიტანს, ირაკლი ხოშტარიას, დავითულიანის მოედნიდან გასვლის შემდეგ (ხოშტარიას სწორედ იგი მეურვეობდა) კიდევ უფრო გაეხსნა ხელ-ფეხი და მთელი ძალით შეუტია. თავისიანთა ზედიზედ ორი იერიში ზუსტი სამქულიანებით დააგვირგვინა, შემდეგ სუხიშვილმა ფარქვეშიდან ჩააგდო, ისევ ხოშტარიას გარღვევა და ბათუმელებს ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდათ. დამთავრებამდე 8,23 წუთით ადრე ისინი მხოლოდ ორ ქულასღა იგებდნენ — 64:62.

ამ მომენტამდე „ბასკოს“ სრული ჩავარდნა ჰქონდა, იფიქრებდით, ჩემპიონობის ფავორიტი კი არა, რომელიმე აუტსაიდერია მოედანზეო. ისიც უცნაურად ჩანდა, რომ სტუდენტთა გამთამაშებელს მასპინძელთა თავდასხმელი ლევან ქარაბაკი იჭერდა. იგი მთლიანად ხოშტარიას ამოკეტვაზე იყო ორიენტირებული და მისმა გუნდმა ფარქვეშ პოზიციები დათმო.

უცებ გამოერკვა „ბასკო“. მას შემდეგ, რაც ანდრეი ბელიაევის ნაცვლად ტომარაძემ ირაკლი მაისურაძე ჩართო თამაშში, ზღვისპირელთა შეტევებიც აჩქარდა, კვლავ აბობოქრდა ლევან ქარაბაკი და აქედან მოყოლებული, მთლიანად ბათუმელთა გუნდი დომინირებდა. ოთხი წუთი რჩებოდა და „ბასკო“ ათ ქულას (75:65) იგებდა, სდასუ-ს კი უფრო და უფრო ეტყობოდა დაღლა. სწორედ მაშინ მიხვდა ყველა, რომ სტუდენტური გუნდი ამ მატჩს სათავისოდ ვეღარ შეატრიალებდა, უკლებლივ ყველას ყურადღებაც რუსთავისკენ იყო მიპყრობილი...

**საქართველოს თასი ჩემპიონატი — ნახევარფინალი, II მატჩი**

**აზოტი — სტუ 1:1**

2 ივნისი. რუსთავი

**აზოტი 66:73 სტუ**

I ტაიმი 36:35

აზოტი: ა. ჟღენტი (7), გაბისონია (2), გოგობერიშვილი (26), წიკლაური (4), ბაბიაშვილი (20); გოგოლაძე, ლ. ჩაჩუა, ჯიმშელეიშვილი (7)

სტუ: თორთლაძე (20), ტულუში (7), ლოსაბერიძე (16), ჩუბინიძე (14), ორმოცაძე (8); დ. მოისწრაფიშვილი (2), სულაძე, მინაშვილი (1), კორძაძე (5), მიქაძე

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

# ამ სერიაში სტუმრობა სჯობს

**როლანდ ლაბუჩიძე რუსთავიდან**

ნათქვამია, იცინის ის, ვინც ბოლოს გაიცინებსო. „აზოტსა“ და სტუ-ს ნახევარფინალურ სერიაშიც ალბათ ბოლოს ის გუნდი გაიცინებს და ფინალში გასვლით გაიხარებს, ვინც მესამე, გადამწყვეტ გამარჯვებას მოიპოვებს. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ პირველ შეხვედრაში სტუმრად ოცდაექვსი ქულით (99:73) გამარჯვების შემდეგ, მომდევნო ორი მატჩის საკუთარ კედლებში ჩამტარებელ „აზოტს“ სადარდელი და საფიქრალი გაუჩნდებოდა. ნაადრევად დაიგულეს თავი რუსთაველებმა ფინალში. თუ გავითვალისწინებთ, რომ „აზოტს“ მოკლე სკამი აქვს, რაც უფრო გაიწელება სერია, მით უარესი ვიცე-ჩემპიონისთვის. სტუ-ს კი, თუნდაც ხუთივე მატჩის ჩატარება გახდეს საჭირო, სულაც არ ედარდება, რადგან ორი სრულფასოვანი გუნდის გამოყვანა შეუძლია. ვინც არ უნდა მოიგოს მესამე შეხვედრა, რომელიც დღეს უნდა შედგეს ორშაბათს „აზოტს“ აუცილებლად მოუწევს თბილისში ჩამოსვლა. ოთხ დღეში კი, მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველები დისკვალიფიკაციამოხდილ მიხეილ ბერუაშვილსაც დაიმატებენ, სამი უმძიმესი მატჩის სრულფასოვნად ჩატარება გაუჭირდებათ.



აზოტელი რამაზ გოგობერიშვილი (ბურთით) დავით მოისწრაფიშვილის წინააღმდეგ

მაინც რა მოხდა რუსთავში, რატომ ვერ შეძლეს ოთარ ხმელიძის ბიჭებმა სტუმრად მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება? მოსალოდნელი იყო, რომ „აზოტი“ იგივე შემადგენლობით დაიწყებდა შეხვედრას, რომლითაც თბილისში გამოვიდა მოედანზე. სამაგიეროდ, არავის გაჰკვირვებია ცვლილებები სტუ-ს სასტარტო ხუთეულში, სადაც სრულფასოვან გამთამაშებელ დავით მოისწრაფიშვილის ნაცვლად სტუდენტების დამრიგებელმა ნუგზარ ჭეიშვილმა მოიერიშე უკანახაზელი კოტე ტულუში დააყენა. ცენტრ ვასილ ოთიურიძეს კი ფარზე დაგეშილი ახალგაზრდა ფორვარდი ლაშა ლოსაბერიძე შეუნაცვლა.

სტუდენტების სასტარტო შემადგენლობაში მომხდარმა ცვლილებებმა აშკარად გაამართლა და შედეგიც მალე გამოიღო. თბილისელთა ელვისებურ შეტევებს კარგად ხელმძღვანელობდა გამოცდილი თორთლაძე, რომლის დაღეჭილ პასებსაც ასევე კარგად იყენებდნენ ჩუბინიძე და, განსაკუთრებით, ლოსაბერიძე.

რაც შეეხება „აზოტს“, პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში მისი თამაშის მნახველი კაცი ვიცე-ჩემპიონებს ვერ იცნობდა. მასპინძლებს არაფერი გამოსდიოდათ, ხოლო სტუმრად მყოფი სტუ უმნიშვნელო შეცდომასაც არ პატიობდა მეტოქეს და ბურთს ბურთზე ათავსებდა კალათში. დაცვაში ეულად მყოფი ბაბიაშვილი მოძალებულ მომხდურებს ვერ აუდიოდა, ხოლო შეტევაში გოგობერიშვილი თუ გაიბრწყინებდა ხოლმე და ისიც პარტნიორების გარეშე. ვერ ვიტყვი, რომ „აზოტი“ ძალას და ენერგიას იშურებდა, პირიქით, ყველანაირად ცდილობდა მოედანზე სიტუაციის თავის სასარგებლოდ შემობრუნებას, მაგრამ ამაოდ.

როდესაც მეოთხე წუთის ბოლოს გოგობერიშვილმა მერვე ქულა მოუტანა „აზოტს“, სტუმრები ორ ქულასღა უგებდნენ მეტოქეს — 10:8. დაახლოებით 20 წამის შემდეგ რუსთაველებს პირველად მიეცათ წინ გასვლის შანსი, მაგრამ გოგობერიშვილის სამქულიანმა მიზანს ვერ უწია. ამის შემდეგ დაიწყო თბილისელთა შტურმი, ხოლო მასპინძლებს კი დაახლოებით ექვსი წუთის განმავლობაში მაყურებლის როლში იყვნენ. მეათე წუთის ბოლოს ანგარიშში სხვაობამ თექვსმეტ ქულას მიაღწია (25:9) სტუ-ს სასარგებლოდ, ვიცე-ჩემპიონები მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდნენ.

ჯერ ჟღენტმა ესროლა ზუსტად სამქულიანი, შემდეგ ნერვებს აყოლილი გოგობერიშვილის ნაცვლად მოედანზე შესულმა ჯიმშელეიშვილმა მიბაძა გამოცდილ თანაგუნდელს, ბაბიაშვილიც გააქტიურდა თავდასხმაში და ტაიმის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე მასპინძლებმა თექვსმეტქულიანი სხვაობა ხუთ ქულამდე დაიყვანეს — 31:26. როდესაც დასვენებული და ნერვებდაწყნარებული გოგობერიშვილი მოედანზე დაიგულა, „აზოტი“ ისე გააქტიურდა, რომ ბოლო წამებზე ტაიმის მოგებაც კი შეძლო. ანგარიში 35:34 იყო სტუ-ს სასარგებლოდ, როცა „აზოტის“ ფართან ბურთისთვის ბრძოლაში გამარჯვებულ ზვიად ბაბიაშვილს გოდერძი კორძაძე ეუხეშა. საჯარიმოს ხაზზე მყოფმა ბაბიაშვილმა თანაგუნდელები პირველად დააწინაურა — 36:35. სათამაშოდ დარჩენილი ერთი წამის იმედად მყოფ სტუ-ს კი მორიგი შეტევისთვის დრო არ ეყო.

მეორე ტაიმში ზუსტად ექვსი წუთი და ოცდაათი წამი შეძლო „აზოტმა“ უპირატესობით შენარჩუნება, შემდეგ კი, შეხვედრის ძირითადი დროის დამთავრებამდე 13,30 წუთით ადრე კორძაძის უნაკლოდ შესრულებული სამქულიანით სტუ კვლავ დაწინაურდა — 50:49. დარჩენილ დროში მასპინძლები ბევრს ეცადნენ, მაგრამ წინ გასვლაც ვეღარ მოახერხეს, რომ აღარაფერი ვთქვათ საერთოდ თამაშის მოგებაზე. „აზოტი“ ხშირად იყო მიზანთან ახლოს, მაგრამ ხან ბედი არ სწყალობდა და ხანაც მეტოქე იყო მოწოდების სიმაღლეზე.

დამთავრებამდე 2,28 წუთით ადრე დარბაზში შუქი გამოირთო. მართალია, დენი მალე მოვიდა, მაგრამ ლოდინში გატარებული მცირე დროც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მასპინძელთა იმ ექვს კალათბურთელს, რომელთა იმედადაც იყო „აზოტი“, ძალა მოეკრიბა. თამაშის განახლებიდან რვა წამიც არ იქნებოდა გასული, როდესაც ბაბიაშვილმა ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა — 66:64. დაძაბულობამ ზენიტს მიაღწია. მწვრთნელებმა წუთშესვენებებს მოუხშირეს. აშკარა იყო, რომ ბურთის პირველი ჩამგდები გუნდი უდიდეს ფსიქოლოგიურ უპირატესობას მოიპოვებდა. 1,30 წუთი რჩებოდა, როდესაც კოტე ტულუშმა მეტოქეს ფლანგიდან მეტად მნიშვნელოვანი სამქულიანი ჩაუგდო. ამ ბურთმა გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

ტულუშის სამქულიანმა ფრთები შეასხა სტუდენტებს, ხოლო მასპინძელთა ბანაკში არეულობა შეიტანა. უმართივეს სიტუაციაში ცდებოდნენ „აზოტის“ გამოცდილი კალათბურთელები. დრო კი არ ითმენდა. ჯარიმებზე მოთამაშე რუსთაველებს ჯერ ჩუბინიძემ ჩაუგდო ერთი ქულა, შემდეგ კი თორთლაძემ. ნერვებს აყოლილმა „აზოტმა“ ვერც ბოლო შეტევის დროს ივარგა, რითაც ისარგებლა თორთლაძემ და ფარის ქვეშ მარტოდ დარჩენილმა წერტილი დაუსვა შეხვედრას. რევანში შედგა. დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შვეიცარია

XII ტური
გრასჰოპერი 3:0 ბაზელი
ლოზანა 1:3 სენტ გალენი

## ამხანაგური მატჩი

პორტუგალია 3:0 უელსი
1:0 ფიგუ (21), 2:0 პინტუ (44), 3:0 ნუნუ კაპუჩო (66)

REUTERS ჰანოვერიდან



# გრაფის თავი

ათასწლეულის პირველი EXPO ანუ მსოფლიო გამოფენა გერმანულ ჰანოვერში ტარდება. 1 ივნისიდან 31 ოქტომბრამდე იქ მისულ დამთვალიერებელს, სხვა რამ-რუმე სიახლეებთან ერთად, სპორტული პავილიონიც ელის. იქ მასპინძლებს შტეფი გრაფის გიგანტური სკულპტურა დაუდგამთ.

# ჰასანთან, დიდად შესარგი

საფრანგეთის ნაკრები მთიდან დაეშვა, თუმცა სანამ ბენილუქსში ჩავიდოდეს, მაროკოში გაუხვია. იქ მეფე ჰასან მეორის ტურნირი ტარდება და ფრანგებიც ბოლო რეპეტიციებს აფრიკულ სტადიონებზე ჩაატარებენ. გუშინწინ კასაბლანკაში ჩასულ ფაბიენ ბარტეზსა (სათვალით) და ლორან ბლანს იქაური კერძებისთვის აეროპორტშივე გაუკრავთ კბილი.

REUTERS კასაბლანკიდან



# NEW WEMBLEY

ესეც ახალი „უემბლი". ცხადია, ორ დღეში ძველის დანგრევა და ახლის აშენება თვით ლონდონშიც შეუძლებელია. ეს მხოლოდ ესკიზია, რომელიც ადგილობრივმა გამგეობამ გუშინ დაამტკიცა. მუშაობა ნოემბერში დაიწყება.



# შუა ზღვაში ცხელ ზამთარში

ჰარმია ავსტრალიაში. ზამთარშიც კი. მაინც ცხელა და ხალხი ზღვაშია. აი, გუშინ კი, სერფინგით მოსრიალეებს შავ ტალღებთან ჭიდილი მოუწიათ — სიდნეიში რატომღაც ცუდი ამინდი იდგა.



# მსა ვარ, რაცა ვარ!

ალო, ამირან! ოლიმპიური ცეცხლი ვარ, ბიჭო. დღეს ტონგაზე ჩამოვედი. რა თქმა უნდა, ჩემი თვითმფრინავით. დამხვდნენ ნაშები და ბავშვები. ხვალ ოკეანეთში გავისეირნებ, 15 სექტემბერს კი სიდნეიში ჩავფრინდები. აბა, იქ ვივიზვიზებ, აი!




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

[მთ]ავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
[...] რედაქტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქრო-პირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიო-რგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირა-შვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge